ISSN 2233-3606

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია
GEORGIAN ACADEMY OF BUSINESS SCIENCES

საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

მოამბე
XL
MOAMBE

INTERNATIONAL PRECISED AND REVIEWED
SCIENTIFIC-PRACTICAL MAGAZINE

თბილისი 2021 TBILISI

უაკ (UDC) 33 (479.22) (051.2)
ს-323

„მოამბე" გამოდის 1995 წლიდან
„MOAMBE" IS PUBLISHED SINCE 1995

სტატიები მიიღება შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით

1. ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს Word-ში, AcadNusx-ში, შრიფტის ზომა 12, ინტერვალი სტრიქონებს შორის 1.5, ველების დაშორება მარჯვენა-მარცხენა მხარეს 2 და 3 სმ. შესაბამისად, ზედა და ქვედა 2.5 და 2.5 სმ. ტექსტი უნდა აიკრიფოს გადატანების გარეშე. ცხრილები გადაყვანილი JPEG ფორმატში. სტატიის მინიმალური მოცულობა უნდა იყოს 5 გვერდი A4 ფორმატის.
2. ავტორის სახელი, გვარი, სამეცნიერო წოდება და თანამდებობა, საკონტაქტო კოორდინატები (ტელეფონები, ელ-ფოსტა).
3. სტატიას უნდა ახლდეს რეზიუმე ქართულ და ინგლისურ ენებზე. მოცულობით 120-150 სიტყვა, აკრეფილი შესაბამისად AcadNusx-ში და Times New Roman-ში, შრიფტის ზომა 12, სამეცნიერო სტატიას უნდა დაერთოს გამოყენებული ლიტერატურის სია.
4. სტატია შეიძლება გამოქვეყნდეს ინგლისურ, რუსულ, გერმანულ ენებზეც. ასეთ შემთხვევაში, ჩვენი მოთხოვნაა რეზიუმე მოგვაწოდოთ ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სტატიის გამოქვეყნების ღირებულება შეადგენს: ჟურნალის ერთი გვერდი 8 ლარი, რომელსაც ავტორი გადაიხდის დადებითი რეცენზიის მიღების შემდეგ, ხოლო ჟურნალის ღირებულება 5 ლარი. უცხოელი ავტორებისთვის სტატიის სრული გადასახადი 50 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში.

სტატიების გადმოგზავნა შესაძლებელია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე:
temur.babunashvili@mail.ru; mariizoria@mail.ru;
ტელეფონები: 593 23 99 58; 593 95 92 47
ვებ-გვერდი: www.sbma.ge

Continiues taking articles according to this requests:
1. Text must be gathered in Word, size of AcadNusx font 12, interval between lines – 1.5; borders in right and left side – 3 and 2 sm. Also, up and down borders – 2,5 and 2,5 sm. Text must be picked up without transferring. Tables should be in JPEG. The minimal size of article is Spages of A4 format.
2. The first name of author, last name, scientific rank and post, coordinates (telephone number, e-mail).
3. 3. The article must have reziume in Georgian and English languages. The size should be 120-150 words, it must be picked up in AcadNusx and in Times New Roman, size of font – 12. Scientific article must have list of used literature.
4. The article may be published in English, Russian, German languages. So, it is also our request to prepare reziume in Georgian and English languagues too.
The price of article's publication is one page of Journal 8 Gel (lari). And author will pay tjis price after getting positive respond. Also, the price of Journal is 5 GEL (lari). For foreign authors the full tax of the article is 50 USD equivalent in GEL.

E-mail: temur.babunashvili@mail.ru; **mariizoria@mail.ru;**
Tel: 593 239 958; 593 959 247
www.sbma.ge

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია დაფუძნდა 1995 წლის 23 მარტს. აკადემია საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ რეგისტრაციაში გაატარა 1995 წლის 9 აპრილს, რეგისტრაციის სერტიფიკატის №1982

THE GEORGIAN ACADEMY OF BUZINESS SCIENCES WAS ESTABLISHED ON MARCH 23, 1995. THE ACADEMY WAS REGISTERED ON APRIL 9, 1995 BY MINISTRY OF GEORGIA (CERTICATE #1982)

„მოამბე“
საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი
სამეცნიერო ჟურნალი, №40, 2021 წელი

თეიმურაზ ბაბუნაშვილი- *მთავარი რედაქტორი და სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ქ. თბილისის საპატიო მოქალაქე.*

სარედაქციო კოლეგია
მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები

აბდუშელიშვილი გივი, აბესაძე რამაზი, აბრალავა ანზორი, ბაბუნაშვილი გიორგი (აშშ), ბაკაშვილი ნიკოლოზი, ბარათაშვილი ევგენი, ბერიძე თეიმურაზი, გვალია ნარგიზი, გოგოხია რევაზი, გველესიანი მერაბი, გეჩბაია ბადრი, ელიავა ლია, თურნავა ნათია, იზორია მარინა, კურტანიძე დავითი (აშშ), კვალიაშვილი ვაჟა, ლაბარტყავა გულთაზი, ლემონჯავა პარმენი, ლობჟანიძე გივი, ლეკაშვილი ეკა, მალაშხია გიორგი, მელაძე სერგო, მექვაბიშვილი ელგუჯა, ნარმანია დავითი, პაიჭაძე ნუგზარი, როკეტლიშვილი მიხეილი (აშშ), სილაგაძე ავთანდილი (საქ. მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი), უგრეხელიძე მინდია, ქარჩავა ლოიდი, ქეშელაშვილი ომარი, ქუთათელაძე რუსუდანი, ყიფიანი გელა, ყორღანაშვილი ლარისა, შენგელია თეიმურაზი, შენგელია რევაზი, ჩეჩელაშვილი მაია, ჩიხლაძე ნიკო, ჭითანავა ნოდარი, ჭუმბურიძე მამია, ხელაშვილი იოსები, ჯავახიშვილი რევაზი, მამედოვი ფიზული (აზერბაიჯანის რესპუბლიკა), მელნიკი ტატიანა (უკრაინა), სერქაიანი ნაიკი (სომხეთი), ალირზაევი ალი (აზერბაიჯანის რესპუბლიკა), ბორზდოვა ტატიანა (ბელორუსია), ალუხანოვი ესბერგერი (ყაზახეთის რესპუბლიკა), გალინა ლოპუშნიაკ (უკრაინა), ზალენიენი ინგა (ესტონეთი), ვდოვენკო ნატალია (უკრაინა), მიხაილ ვარჩოლა (სლოვაკეთი), გალინა კუზმენკო (უკრაინა), ტადეუშ ტროციკოვსკი (პოლონეთი). ანატოლი შევჩუკი (რუსეთი), იაცეკ სტროჟნი (პოლონეთი), ალიონა ალეინიკოვა (უკრაინა), ევგენი ჟუკოვი (რუსეთი).

შეიძლება რედაქცია ყოველთვის არ იზიარებდეს ავტორის აზრს

„MOAMBE“
QUARTELY INTERNATIONAL SCIENTIFIC MAGAZINE, PRECISED AND REVIEWED №40, 2021

TEIMURAZ BABUNASVILI- Editor-in-Chief and Head of Editorial Board, Doktor of Ekonomic Sciense, President of Georgian Academy of Business Science, Honored citizen of Tbilisi

EDEDITORIAL BOARD
Doctors of science, Professors

ABDUSHELISHVILI GIVI, ABESADZE RAMAZI, ABRALAVA ANZORI, BABUNASHVILI GIORGI (USA), BAKASHVILI NIKOLOZI, BARATASHVILI EVGENI, BERIDZE TEIMURAZI, GVALIA NARGIZI, GOGOKHIA REVAZI, GVELESIANI MERABI, GECHBAIA BADRI, ELIAVA LIA, TURNAVA NATIA, IZORIA MARINA, KURTANIDZE DAVITI (USA), KUTATELADZE RUSUDANI, KVALIASHVILI VAJA, LABARTKAVA GULTAZI, LEMONJAVA PARMENI, LOBJANIDZE GIVI, LEKASHVILI EKA, MALASHKHIA GIORGI, MELADZE SERGO, MEQVABISHVILI ELGUJA, NARMANIA DAVITI, PAICHADZE NUGZARI, ROKETLISHVILI MIKHEILI (USA), SILAGADZE AVTANDILI (Member of Georgian national Academy of Science), UGREKHELIDZE MINDIA, KARCHAVA LOIDI, KESHELASHVILI OMARI, KIFIANI GELA, KORGANASHVILI LARISA, SHENGELIA TEIMURAZI, SHENGELIA REVAZI, CHECHELASHVILI MAIA, CHIKHLADZE NIKO, CHITANAVA NODARI, CHUMBURIDZE MAMIA, KHELASHVILI IOSEBI, JAVAKHISHVILI REVAZI, MAMEDOVI FIZULI (AZERBAIDJAN), MELNIKI TATIANA (UKRAINA), SERKHAIANI NAIKI (ARMENIA), ALIRZAEVI ALI (AZERBAIDJAN), BORZDOVA TATIANA (BELORUSIA), ALUKHANOVI ESBERGI (KAZAKHSTAN), GALINA LOPUSHNIAK (UKRAINA), ZALENIENI INGA (ESTONIA), VDOVENKO NATALIA (UKRAINA), VARCHOLA MICHAL (SLOVAKIA), GALINA KUZMENKO (UKRAINA), TADEUSZ TROCIKOWSKI (POLAND), ANATOLI SHEVCHUK (RUSSIA), IACEK STROJNI (POLAND), ALIONA ALEINIKOVA (UKRAINA), EVGENI DJUKOV (RUSSIA).

შინაარსი

1. აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა - 85 7
2. გიორგი ბერიკაშვილი, თამარ რევაზიშვილი 8
ადგილობრივი თვითმმართველობა: არსი და მნიშვნელობა
3. ჟანა ბალახაშვილი, ბელა გოდერძიშვილი 13
ტურიზმის წარმატებაში მთავარი ადგილი მომსახურე პერსონალის პროფესიონალიზმს უკავია
4. ნინო ელისაბედაშვილი 18
ჯანმრთელობის დაცვა, როგორც სისტემა
5. ნინო გომართელი 24
თანამედროვე დემოკრატია - ტრანსფორმაციის აუცილებლობა და ახალი ათვლის წერტილის ძიება
6. მანანა გაგოშიძე, ნატალია ბიწაძე 30
ივანე ჯავახიშვილი - სოციალური ისტორიის რეალობის მეცნიერული შესწავლა
7. ვაჟა ნადირაშვილი 35
მეწარმეობის საწყისი საფუძვლები საქართველოში (დიმიტრი მაჩხანელის დაბადებიდან 160 წლისთავის გამო)
8. ნიაზ ბოლქვაძე 39
მეწარმეობის საწყისი საფუძვლები საქართველოში (დიმიტრი მაჩხანელის დაბადებიდან 160 წლისთავის გამო)
9. მანანა მჭედლიშვილი 45
მცირე და საშუალო საწარმოებში ბუღალტრული აღრიცხვის თავისებურებები COVID-19 დროს
10. ნინი აქიმიშვილი 49
სასტუმრო პროდუქტის თავისებურება და მარკეტინგის სტრატეგია
11. კონსტანტინე წერეთელი, ზურაბ გობიანიძე, ჯიმშერ სირაძე 53
მძლავრი ასინქრონული ძრავის გადახურების კვლევა
12. ვასილ ბერუაშვილი 57
წიბოების მქონე სივრცითი კონსტრუქციების გაანგარიშება ღუნვაზე
13. ლელა მესხიშვილი 60
საქართველოს სჭირდება რეგიონების გამოთანაბრებითი განვითარების პოლიტიკის შემუშავება
14. მაყვალა ბექირიშვილი 66
პლასტიკურობის თეორიის ამოცანების ამოხსნის მეთოდიკა ღეროვანი სისტემებისთვის
15. იოსებ გიორგობიანი 70
ფენოვანი თხელკედლიანი სივრცითი კონსტრუქციების გაანგარიშება
16. გივი იასეშვილი 73
საინფორმაციო ფურცელი 80 წლის ასაკში
17. რატი აბულაძე 75
რეცენზია საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, პროფესორ გურამ ჯოლიას მონოგრაფიაზე ,,განათლება და დასაქმება ციფრულ გარემოში“

მილოცვები - აკადემიის წევრების იუბილეებთან დაკავშირებით 77

CONTENTS

1. NODAR CHITANAVA 7
Global Challenges in a Unipolar World ... Conceptual Implications of Breakthrough Strategy
2. GEORGY BERIKASHVILI, TAMAR REVAZISHVILI 8
Local Government: Essence and Meaning
3. ZHANA BALAKHASHVILI, BELA GODERDZISHVILI 13
The Professionalism of the Service Personnel is Key to the Success of Tourism.
4. NINO ELISABEDASHVILI 18
Health as a System
5. NINO GOMARTELI 24
Modern Democracy - the Need for Transformation and the Search for a New Starting Point
6. MANANA GAGOSHIDZE, NATALIA BITSADZE 30
Ivane Javakhishvili - Scientific Research of the Reality of Social History
7. VAZHA NADIRASHVILI 35
Fundamentals of Entrepreneurship in Georgia (to the 160th anniversary of Dmitry Machkhaneli)
8. NIAZ BOLKVADZE 39
Fundamentals of Entrepreneurship in Georgia (to the 160th anniversary of Dmitry Machkhaneli)
9. MANANA MCHEDLISHVILI 45
Features of Accounting for Small and Medium-sized Enterprises with COVID-19
10 .NINO AKIMISHVILI 49
Hotel Product Features and Marketing Strategy
11 KONSTANTIN TSERETELI, ZURAB GOBIANIDZE, JIMSHER SIRADZE 53
Investigation of Overheating of a Powerful Induction Motor
12. VASIL BERUASHVILI 57
Calculation of Spatial Structures With Bending Protrusions
13. LELA MESKHISHVILI 60
Georgia Needs to Develop a Policy of Equal Development of Regions
14. MAKVALA BEKIRISHVILI 66
Methodology for Solving Problems of the Theory of Plasticity of Stem Systems.
15. YOSEB GIORGOBIANI 70
Calculation of Layered Thin-walled Spatial Structures
16. GIVI YASESHVILI 73
Newsletter at the Age of 80
17. RATI ABULADZE 75
Review of the Monograph of the Academician of the Georgian Academy of Business Sciences, Professor Guram Jolia "Education and employment in the digital environment"

Congratulations on the anniversaries of the members of the Academy 77

აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა - 85

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია გულითადად ულოცავს გამოჩენილ მეცნიერს, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეს, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს სოფლის მეურნეობის, საქართველოს ბიზნესისა და ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსს, დიდ მამულიშვილსა და ღირსეულ პიროვნებას ბატონ ნოდარ ჭითანავას დაბადებიდან 85 წლის საიუბილეო თარიღს.

ბატონი ნოდარის ცხოვრება და მოღვაწეობა მისი საქმიანობის ყველა ეტაპზე იმის მაგალითია, თუ როგორ უნდა იცხოვრო ადამიანმა დროში იმ ჭეშმარიტებით, რაც შენ მოგდევს იმ ოდაბადედან, სადაც შენ დაიბადე და გაითავისე სამშობლოს სიყვარული, ისწავლე, თუ როგორ უნდა იშრომო შენი ქვეყნის წინსვლისა და კეთილდღეობისთვის, თუ როგორ უნდა დაიხარჯო ბოლომდე ახალგაზრდობიდან მოყოლებული დღემდე ერისა და ქვეყნის სამსახურში. ეს ყველაფერი ერთი ღირსეული ქართველი მამულიშვილის ჩვენი პატივცემული ბატონი ნოდარ ჭითანავას ფენომენია თავისი დიდი ერისკაცობით, მამულიშვილობით, მეგობრობაში უღალატობით და იმ უმწიკვლო სახელით, რაც მისი ცხოვრების კრედოს წარმოადგენს.

დღეგრძელობა და მზეგრძელობა თქვენ ბატონო ნოდარ, თქვენს ძვირფას მეუღლესთან ქალბატონ ქეთევანთან, თქვენს ბრწყინვალე ქალიშვილებთან და იმ უსაყვარლეს შვილიშვილებთან ერთად, რომლებსაც ანთებული კაშკაშა ლამპარით გაუნათეთ მათი მომავალი ცხოვრების გზა.

ჯანმრთელობა და ბედნიერება, გახარება და სიკეთე არ მოგკლებოდეთ დიდხანს და დიდხანს, იცოცხლეთ მრავალჟამიერ.

უღრმესი პატივისცემითა და კეთილი სურვილების საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის სახელით:

თეიმურაზ ბაბუნაშვილი,

აკადემიის პრეზიდენტი, ეკონომიკის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი, ორგზის ღირსების ორდენის კავალერი,
ქ. თბილისის საპატიო მოქალაქე

ადგილობრივი თვითმმართველობა: არსი და მნიშვნელობა

გიორგი ბერიკაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
თამარ რევაზიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

საკვანძო სიტყვები: ადგილობრივი მმართველობის არსი, სამოქალაქო საზოგადოება, სოციალური წესრიგის ელემენტები.

ადგილობრივი თვითმმართველობის არსის განსაზღვრისას, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ავტორი, რომელიც ამ პრობლემას აშუქებს, არ ესმის სიღრმისეულად პრობლემატიკა. ამრიგად, ზოგი ადგილობრივი თვითმმართველობის არსს განსაზღვრავს, როგორც ცოდნის, ხელოვნებისა და გამოცდილების ერთიანობას, ამ ცნებების კონკრეტულად გამოვლენის გარეშე. ამიტომ ძნელია იმის გაგება, თუ რა არის ადგილობრივი თვითმმართველობის არსი. ჩვენი აზრით, ადგილობრივი თვითმმართველობის არსის გამოსავლენად, საჭიროა გამოხატული იყოს თვით სიტყვა „არსის“ ცნება. არსი, უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოხატავდეს ვისი სახელით და რა მიზნით ხორციელდება სამართლის სუბიექტის გარკვეული ქმედებები, ამ შემთხვევაში - ადგილობრივი თვითმმართველობა. ადგილობრივი მთავრობის მთავარი მიზანი არის სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება, ანუ ისწავლოს როგორ უნდა გადაწყვიტოს ადგილობრივი თვითმმართველობის სოციალური სტრუქტურის ძირითადი ელემენტების განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც განისაზღვრება პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სფეროში საქმიანობით. მოსახლეობას, რომელიც კანონმდებლობით წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის მთავარ სუბიექტს, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში შეუძლია და უნდა მონაწილეობდეს მათი ცხოვრების უშუალო უზრუნველყოფაში. ეს ძალები სამი ძირითადი მიმართულებით უნდა განლაგდეს:

ა) გარანტირებული და უზრუნველყოფილი უნდა იყოს თითოეული მოქალაქის საცხოვრებელი პირობები მოცემულ ტერიტორიაზე (სოციალური გარანტიები, განათლება, ჯანმრთელობის დაცვა და ა.შ.);

ბ) ზოგადად მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფა (საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და სიცოცხლის უსაფრთხოება, საინფორმაციო მომსახურება, გამწვანება, სატრანსპორტო მომსახურება);

გ) მუნიციპალიტეტის მოსახლეობის, მიერ მუნიციპალურ საკუთრებაზე საკუთრების უფლების განხორციელების უზრუნველყოფა.

ადგილობრივი თვითმმართველობის სახელმწიფო-სამართლებრივი ხასიათი მჭიდრო კავშირშია მის გაგებასთან, როგორც პოლიტიკურ და სოციალურ ინსტიტუტთან. ადგილობრივი თვითმმართველობა არ არის მმართველი ორგანოების სისტემის ნაწილი და წარმოადგენს მისი მართვისა და განკარგვის დამოუკიდებელ ინსტიტუტს, რომელიც ჩვენ გვესმის სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების თვალსაზრისით და ამის საფუძველზე, როგორც დემოკრატიული კანონის უზენაესობის სახელმწიფოს განხორციელება (ფორმირება). შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის არსი უნდა გამოიხატოს იმაში, რომ სწორედ ამ ინსტიტუტის საშუალებით უნდა ჩამოყალიბდეს თითოეული ადამიანის იურიდიული ცნობიერება.

მუნიციპალური მმართველობის პრინციპებია ფუნდამენტური იდეები, სახელმძღვანელო პრინციპები, რომელთა საფუძველზეც უნდა განხორციელდეს

მუნიციპალიტეტის საზღვრებში მცხოვრები მოქალაქეების ღირსეული ცხოვრების საკითხი. ამავე დროს, კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის საგანი ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობაა, რომელიც გამოხატავს თავის ნებას რეფერენდუმის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების და ნების პირდაპირი გამოხატვის სხვა ფორმების საშუალებით. ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა სუბიექტებს შორის მოსახლეობის დომინანტური ადგილი ასევე განისაზღვრება იმით, რომ მან დამოუკიდებლად უნდა გადაწყვიტოს ადგილობრივი მნიშვნელობის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა მუნიციპალური ქონების საკუთრება, გამოყენება და განკარგვა, ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების დაწესება. ... ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირება და შესრულება და ა.შ. ამ შემთხვევაში უნდა განხორციელდეს სოციალური სტრუქტურის ელემენტების (ობიექტების) დამოუკიდებელი მართვა, როგორც პოლიტიკურ, ეკონომიკურ სფეროში, ისე საზოგადოების სოციალურად ორიენტირებულ ბაზაში.

დღეს ადგილობრივი თვითმმართველობა, როგორც მოსახლეობის წარმომადგენლობითი სტრუქტურა და სოციალური-ეკონომიკურ-პოლიტიკური ცხოვრებისორგანიზაცია,პირველადიმკვიდრებსსაკუთარადგილსსაზოგადოებრივ სისტემაში. სწორედ ადგილიბრივი თვითმმართველობის მეშვეობით შეუძლიათ მოქალაქეებს საკუთარი ინტერესების გამოხატვა, მათი „ქვემოდან წამოსული“ პოლიტიკური ინიციატივის სახით ფორმირება და ხელისუფლების ორგანოებზე ზემოქმედება, ვინაიდან თვითმმართველობა საზოგადოებრივი პოლიტიკური სისტემის უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს.

ადგილობრივი თვითმმართველობის სოციალური ხასიათი საშუალებას გვაძლევს ვისაუბროთ მასზე, როგორც მოსახლეობის აღორძინების მთავარ მამოძრავებელ ძალაში არა მხოლოდ დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ცალკეული მოქალაქეების, არამედ მართვის სისტემის სხვადასხვა დონეზე - მუნიციპალური, რეგიონალური, ცენტრალური.

სამოქალაქო საზოგადოების დემოკრატიის არსი, წინასწარ განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის სოციალურ-პოლიტიკურ ხასიათს.

ადამინთა ინტეგრაციის უმაღლესი ფორმა, რომელიც შეესაბამება ადამინის ბუნებას - სწორედ ეს არის თვითმმართველობის შინაარსი. თავისუფალი და ნებაყოფლობითი გაერთიანების შესაძლებლობა თვითმმართველობის შესაძლებლობასთან ერთდროულად ვლინდება. ამ კონცეფციის განხილვისას აუცილებელია აღინიშნოს შემდეგი:

* **პირველი,** დემოკრატიული საზოგადოების მთავარი მახასიათებელი ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებული სისტემაა. სწორედ ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე შეიძლება განხორციელდეს დემოკრატიის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპი სრულად დანერგილი - თანაბარი უფლება და შესაძლებლობა ყველა ქმედითი მოქალაქისთვის მართონ სათემო საქმეები;

* **მეორეც,** ადგილობრივი თვითმმართველობა არის დემოკრატიის პროდუქტი, ხალხის ერთ-ერთი აღიარებული ფორმა, რომელიც ახორციელებს თავიანთ ძალაუფლებას;

* **მესამე**, დემოკრატიული პრინციპების შემუშავება ქმნის სამოქალაქო საზოგადოებას, რომელსაც ახასიათებს დამოუკიდებლობა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული, იურიდიული, ორგანიზაციული და სხვა ურთიერთობების განხორციელებისას.

სამოქალაქო საზოგადოების ელემენტებია - ადამიანების ნებაყოფლობითი თვითმართვადი პირველადი ფორმირებები, არასამთავრობო საზოგადოებრივ

ურთიერთობათა ერთობლიობა, ადამინების საწარმოო და პირადი ცხოვრება, თავისუფალი ინდივიდებისა და მათი ორგანიზაციების თვითმმართველობის სფერო, ყოველივე ჩამოთვლილში სახელმწიფოს ჩაურევლობა და კანონით დაცულობა, განვითარებული და დამოუკიდებელი მასმედია. დეცენტრალიზაციის პრინციპები, რომელთა თანახმად საქართველოში ტარდება ადმინისტრაციული რეფორმა, გულისხმობს სახელმწიფო პროგრამების რეალიზაციის ორიენტირების ჩანაცვლებას მართვის შედარებით დაბალი, კერძოდ – მუნიციპალური დონით. ამ შემთხვევაში ადგილობრივი თვითმმართველობა არათუ ფლობს შედარებით დამოუკიდებლობას საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში, არამედ ძალუძს სახელმწიფოსთან ურთიერთქმედება.

თვითმმართველობა და თვითგანვითარება, პლურალიზმი, გახსნილობა, თავისუფლება, წარმოადგენს რა სამოქალაქო საზოგადოების ძირითად ნიშნებს, გამოიხატება ეკონომიკური თავისუფლებით, საკუთრების ფორმათა მრავალფეროვნებით, საბაზრო ურთიერთობებითა და საონტროლო ტერიტორიის სოციალური ორიენტაციით. ადამიანისა და მოქალაქის ბუნებრივი უფლებების აღიარება და დაცვა, ლეგიტიმური და დემოკრატიული ხელისუფლება, კანონისა და სამართლიანობის უზენაესობა ყველასთვის, პიროვნების საიმედო სამართალდაცვა – ყოველივე ეს მიმართულია კონკრეტული მოქალაქის სამართლებრივი ცნობიერების განვითარებაზე და ნერგავს მასში მშობლიური ტერიტორიის მეპატრონის შეგრძნებას. აი, სწორედ ამაში მდგომარეობს სამოქალაქო საზოგადოების შინაარსი – ეს არის ადგილობრივი თვითმმართველობის ფორმირება, ორგანიზება და საქმიანობის განხორციელება.

ეს პირველ რიგში განპირობებულია სოციალური ურთიერთობების შეცვლით, რომლებიც ახალ პირობებში განვითარდა. ამავე დროს, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება: რაც არ უნდა განხორციელდეს რადიკალური პირობებით ადგილობრივი თვითმმართველობის გაუმჯობესების მიზნით, ისინი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს პრინციპებს და კონსტიტუციური ნორმების დაცვას პრაქტიკულ რეალობაში. ამიტომ, დღეს განსაკუთრებით აქტუალური ჩანს კანონმდებლის ნების გამოვლენა და განხორციელება, როგორც ეს გათვალისწინებულია საქართველოს კონსტიტუციაში.

დასკვნა :

ადგილობრივი თვითმმართველობის არსისა და მნიშვნელობის ანალიზის შედეგად შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

* პირველ რიგში, ადგილობრივი თვითმმართველობა ერთგვარი ადგილობრივი ხელისუფლებაა, რომელიც ამავე დროს, ერთგვარად საპირისპიროა ნებისმიერი გარე მმართველობისა, ვინაიდან ეს არის თვითმმართველობა. კონკრეტულ ადგილას შეიძლება მოქალაქეების მართვა მოხდეს "ზემოდან", უმაღლესი იერარქიის საჯარო ხელისუფლების ზოგიერთი სტრუქტურის მეშვეობით, მაგრამ აუცილებელია გვესმოდეს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა ადგილობრივი თემისა და მენეჯმენტის თვითრეალიზაციაა. მისი შიდა საქმეები ხორციელდება დამოუკიდებელი უფლებამოსილების ფარგლებში;
* მეორე, საქართველოს კონსტიტუცია იძლევა ადგილობრივი თვითმმართველობის საკონსტიტუციო სამართლის იმ სუბიექტად აღიარების საშუალებას, რომელიც ახორციელებს საკუთარ უფლებამოსილებას, მათ შორის მართვის ადგილობრივი ორგანოების მეშვეობით;
* მესამე, ადგილობრივი თვითმმართველობა ადგილობრივი საზოგადოების უფლებაა, შესაბამისად, ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ თვითმმართველობაში, ხოლო უფლება გულისხმობს ვალდებულებას, ანუ იმპერატივს, რომელიც არ იძლევა რაიმე

გადახრას. ადგილობრივი თვითმმართველობის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ორგანიზაციული და სამართლებრივი გარანტიები ასახულია საქართველოს კონსტიტუციაში. ისინი მოიცავს მისი სამართლებრივი სტატუსის დაცვას (სასამართლო დაცვის ჩათვლით), ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გარკვეულ სახელმწიფო უფლებამოსილებას. ამავე დროს, სახელმწიფო უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის გარანტიას მთელი რიგი სამართლებრივი აქტებით, რომლებიც უზრუნველყოფილია მთელი მისი სისტემის ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად;

* **მეოთხე,** ადგილობრივი თვითმმართველობის დამოუკიდებლობას კონსტიტუციურად უზრუნველყოფს ის ფაქტი, რომ მისი ორგანოები არ შედიან მმართველობითი ორგანოების სისტემაში. ადგილობრივი თვითმმართველობა დამოუკიდებელია და, როგორც იქნა, "გამოყოფილია" სახელმწიფოსგან, რომელიც ქმნის ორგანოებს, რომლებიც ახორციელებენ სახელმწიფო ძალაუფლებას ფედერაციის სუბიექტებში.

2018 წელს მიღებული ადმინისტრაციული რეფორმის კურსი სახელმწიფო და მუნიციპალური მმართველობის სფეროში, მიზნად ისახავდა ადგილობრივი მმართველობის განვითარებას, მოსახლეობისა და სამოქალაქო საზოგადოების როლის გაზრდას ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მენეჯმენტში და მისი სამართლებრივი ცოდნის გაზრდას.

კანონით განსაზღვრული მოსახლეობის უფლება, დამოუკიდებლად გადაწყვიტონ თავიანთი კომპეტენციის საკითხები, რომლებიც გავლენას ახდენს საზოგადოების მთლიან ინტერესებზე, მოქალაქეთა თვითშემეცნების განვითარება სამოქალაქო საზოგადოების სახით, მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ადგილობრივი თვითმმართველობა შეესაბამება არა მხოლოდ მარეგულირებელ ჩარჩოს, არამედ რეალურ პრაქტიკულ მოქმედებებს.

References:

1. საქართველოს კოსნტიტუცია 1995 წ.
2. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი 2014 წ.
3. ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობების შესახებ 1985 წ.
4. ა.ზენაიშვილი, ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის კომენტარები, , 2014 წ.
5. Almond G., Verba S. the Civic Culture: Political Attitudes and Democracy in Five Nations. Princeton: Princeton Univ. Press, 1963.
6. Dahl R.A. Democracy, Liberty and Equality. Oslo, 2016. - P. 191-225.
7. Janda, J. M. Berry, J. Goldman, K.W. Hula. The Challenge of Democracy/ 5 th edition. Houghton Mifflin Company. Boston, New York, 2014.-566 p.
8. J. St. Considerations on Representative Government. Benson, Chalidze Publications, 1863.
9. Lijphart A. Democracy in Plural Societies. A Comparative Exploration. — New Haven. London. Yale Univ. Press, 2007.
10. Popper K. The Open Society and its Enemies Revisited // Economist. April, 2018. P.26.

რეზიუმე

სტატიაში მოცემულია ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივი ანალიზი პოლიტიკურ-სოციალური და სახელმწიფო-სამართლებრივი თვალსაზრისით. ავტორები მიიჩნევენ, რომ თვითმმართველობის მთავარ სუბიექტს მოსახლეობა წარმოადგენს, რომელიც საკუთარ ნებას რეფერენდუმის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების, ანდა ნების პირდაპირი გამოხატულების სხვა ფორმის საშუალებით გამოხატავს. ავტორები აღნიშნავენ, რომ საქართველოს მოქალაქე-ინდივიდი, რომელიც მუდმივად ცხოვრობს მუნიციპალიტეტის შესაბამის ტერიტორაზე, შეიძლება გახდეს მუნიციპალური კანონის ზემოქმედების ობიექტი. გარდა ამისა, სტატიაში აღნიშნულია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა არის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სამართლებრივი ცნობიერების განვითარების მთავარი პირობა და მხოლოდ მისი აქტიური განვითარება მისცემს საშუალებას თანამედროვე ქართულ საზოგადოებას, რათა განიხილებოდეს, როგორც სამოქალაქო.

RESUME

LOCAL SELF-GOVERNMENT: ESSENCE AND SIGNIFICANCE

Giorgi Berikashvili
The Doctoral Student of Georgian Technical University
Tamar Revazishvili
Associate Professor of Georgian Technical University

Abstract: The article provides a legal analysis of local self-government from the standpoint of a political and social institution and state-legal nature. According to the author, the main subject of local self-government is the population, which expresses its will through a referendum, elections of local self-government bodies, and other forms of direct expression of the will, through elected and other local self-government bodies. The author notes that an individual citizen of Georgia who permanently resides in the corresponding territory of the municipality can be a subject of municipal law. The article notes that local self-government is the main condition for the development of the legal consciousness of the population living in the territory of the municipality, and only its active development will allow the modern Georgian society to be considered civil.

Keywords: the essence of local government, civil society, elements of the social order.

ტურიზმის წარმატებაში მთავარი ადგილი მომსახურე პერსონალის პროფესიონალიზმს უკავია

ჟანა ბალახაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
ზელა გოდერძიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

საკვანძო სიტყვები: პროფესიონალიზმი; პერსონალი; პროფესიაში დაოსტატება; ტურისტის ფსიქოლოგია.

საქართველოს არაერთ სამთავრობო დოკუმენტში არის ნათქვამი, რომ ტურიზმის განვითარება საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი პირორიტეტია. ყოველწლიურად მზარდია ვიზიტორების ნაკადი და ტურიზმის სფეროდან მიღებული შემოსავლები ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი ძალაა [1, გვ. 27].

ამ მიზნის შესასრულებლად ჯერ კიდევ 2016 წელს საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა ხელი შეეწყო სხვადასხვა ტიპის (სამედიცინო, სპორტული, საქმიანი და სხვა) ტურიზმის განვითარებისთვის, დაცული ტერიტორიების გაფართოებისთვის, საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისა და განვითარებისთვის, ზამთრის კურორტების განვითარებისთვის, ოთხი სეზონის ტურისტულ ქვეყნად საქართველოს გადაქცევისთვის და ა. შ.

რა თქმა უნდა, ამ მიმართულებით ბევრი რამ გაკეთდა. მარტო ტურისტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციაზე 2019 წელს დაიხარჯა 2776,6 ათასი ლარი, 2020 წელს 6000 ათასი ლარი [2, გვ. 4], მთლიანად ტურიზმის განვითარებაზე კი გამიზნულია 2024 წელს დაიხარჯოს 32000,0 ათასი ლარი [3, გვ. 99]. ეს ყველაფერი უკვე იმის მეტყველია, რომ „საქართველოს მთავრობას აქვს ამბიციური განზრახვა, რომ ქვეყანა რეგიონის ტურისტული ჰაბი გახდეს“ [4, გვ. 129]. ამ მიზნის განსახორციელებლად საქართველოს საუკეთესო პირობები აქვს. ძნელად თუ მოიძებნება სხვა რომელიმე ქვეყანა, რომელსაც გააჩნდეს მსოფლიოში ცნობილი ყველა ტიპის ტურისტულ-საკურორტო ფაქტორები - ზღვის და მთის კლიმატი, 2400-მდე მინერალური წყარო, ულამაზესი ბუნება და ლანდშაფტები, 35000 ისტორიული ძეგლი და მრავალი სხვა [5, გვ. 166]. მაგრამ ამ პერსპექტივის მიღწევის გზაზე დგას ერთი დიდი წინააღმდეგობა. იგი ტურიზმის კადრების დაბალ პროფესიონალიზმში გამოიხატება. ამ აზრის არიან ტურიზმის დარგის არაერთი სპეციალისტები. მაგალითად:

* **კაციტაძე ნ.**: „ტურიზმისადმი ინტერესს აბრკოლებს საკმარისი გამოცდილების და პროფესიონალიზმის ნაკლებობა მართვის თითქმის ყველა დონეზე...“ [4, გვ. 128].
* **ღვედაშვილი ნ., ღუდუშაური ზ.**: „...ტურიზმს საქართველოში ვერ განვითარდება, თუ ქვეყანაში არ შეიქმნა ევროდონის პროფესიული ტურისტული განათლების სისტემა, რომელიც ტურისტულ ბაზარს უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციური კადრებით“ [6, გვ. 116].
* **ქათამაძე დ., ქათამაძე გ.**: „ჩვენს ქვეყანაში ტურიზმის განვითარების შემაფერხებელ ფაქტორთა შორისაა დარგის კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის პრობლემა“ [7, გვ. 846-847].

ზემოთნათქვამი დასკვნები გაკეთებულია იმ კვლევების შედეგად, რომლებიც დასახელებულმა მეცნიერებმა სხვადასხვა დროს ტურიზმის სფეროში ჩაატარეს. გვაქვს უფრო ახალი გამოკვლევებიც. მაგალითად, მეცნიერმა თ. ზოიძემ 2018 წელს ჩაატარა გამოკვლევა აჭარის სასტუმრო ბიზნესში და დაადგინა, რომ საკუთარ მოვალეობებს

ვერ უმკლავდება დასაქმებულთა 5,9% [8, გვ. 94]. დასახელებული მეცნიერი ამის მიზეზებად ასახელებს ასაკს (ის ადამიანები, რომლებიც ვერ ასრულებენ საკუთარ მოვალეობებს 59 წელზე მეტი ხნის არიან), განათლება (მათ არა აქვთ არც უმაღლესი და არც დაუსრულებელი უმაღლესი) და მომხმარებლებთან დაბალი კონტაქტი. იმავე გამოკვლევით დადგენილი იქნა, რომ გამოკითხულთა 65-81%-ის დასაქმების ინტერესი არის მაღალი ხელფასი, 15-20%-ის ინტერესია ზოგადად დასაქმების პრესტიჟულობა, ხოლო 4-5%-ის ტურიზმის სფეროს ცნობისმოყვარეობა (აქტიური ცხოვრება, ახალი ადამიანების გაცნობა) [8, გვ. 100]. მის მიერვე დადგენილია დასაქმებილთა ინოვაციური ინტერესი და ინოვაციურ პროგრამებში მონაწილეობის დონეც. გამოკვლეული პერსონალიდან 16,6% რაციონალიზატორული წინადადებების ინიციატორები იყვნენ. ესენი აღმოჩნდნენ ის ადამიანები, რომლებსაც ძირითადად სპეციალური, უნაღლესი, ანდა რამდენიმე უმაღლესი განათლება აქვთ მიღებული და დასაქმებული არიან ტურიზმში ხელმძღვანელ პოზიციებზე [8, გვ. 102]. ამას ვერ ვიტყვით ქვედა დონის დასაქმებულებზე, რომლებსაც უშუალოდ შეხება აქვთ ტურისტებთან. ისინი არა თუ სიახლეების ინიციატორები არიან, არამედ არასაკმარისი ხარისხისაა მათი მომსახურების დონე და ეს დონე შეუსაბამოა ამ მომსახურების ფასთან. ამას აღნიშნავენ როგორც თავად ქართველები, ისე უცხოელი ტურისტები. საქართველოში ტურისტულ მომსახურების ხარისხზე არ მართლდება არც უცხოელი და არც ადგილობრივი ტურისტის მოლოდინი. ასეთ დროს ტურისტი თავის უკმაყოფილების პროფოცირებას ახდებს ტურისტული მომსახურების წარმომადგენელზე, რაც ცუდად აისახება ტურიზმის სპეციალისტის პროფესიის სტატუსსა და პრესტიჟზე.

სათქმელია ისიც, რომ დასაქმებულთა 25-26% თავისი შრომის მთავარ ფასეულობად ადექვატურ შრომის ანაზღაურებას მიიჩნევს, 23,3% - კარიერული ზრდის პერს¬პექტივას, და, მხოლოდ 15,8%-ს მიაჩნია პროფესიული პრესტიჟი მთავარ ღირებულებად [8, გვ. 117]. ჩვენი აზრით, ამის პირველი მიზეზი არის საქართველოს მოსახლეობის სიღარიბე, ხოლო მეორე მიზეზი მათი საბჭოური მენტალიტეტი, როდესაც მომსახუ¬რება, თვით ტურისტული მომსახურებაც კი, არ ითვლებოდა პრესტიჟულა პროფესიად. ეს მენტალიტეტი საქართველოში თანდათან იცვლება (თუმცა, ჯერჯერობით კიდევ არსებობს). ადამიანები ხედავენ, რომ მსოფლიო გლობალური გახდა და საქართველოს ამ გლობალურ სამყაროში ტურიზმით შეუძლია დაიკავოს თავისი ადგილი. ქვეყანას საამისო პოტენციალი გააჩნია, მაგრამ მომხმარებლებისთვის ტურისტული პროდუქტის მიწოდება უნდა მოხდეს უმაღლესი პროფესიული ოსტატობით. იმის მიუხედავად, რომ საქართველოში ტურიზმის ხაზით გახსნილია უამრავი პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლის ცალკეული სპეციალობები, გამოშვებული კურსდამთავრებული სპეციალისტები მაინც ვერ აკმაყოფილებენ მოთხოვნებს. არადა, უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველოში ტურიზმი პრიორიტეტული დარგია (განსაკუთრებით შემომყვანი ტურიზმი), რომელიც მოიაზრება ქვეყნის ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთ ძირითად წყაროდ. ამასთან, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ უცხოელი ტურისტი ფულს იხდის მომსახურების პაკეტში, რომელშიც მთავარი ადგილი უკავია მომსახურე პერსონალის პროფესიონალიზმს, რომელიც მთლიანად განაპირობებს ტურისტების განწყობას და კმაყოფილებას საქართველოში დასვენებით.

ტურისტული მომსახურების გაყიდვა ჩვეულებრივი საქონლის გაყიდვისგან იმით განსხვავდება, რომ ტურისტული მომსახურება განუყოფელია მისი შემომთავაზებელი პერსონალისგან. ამიტომ ტურისტი ამ მომსახურების მიღებისას დიდ ყურადღებას უთმობს თავად მომსახურე პერსონალს. შედეგად, ტურიზმის პერსონალს, განსაკუთრებით მათ, ვინც მუდმივად ურთიერთობენ ტურისტებთან, მოეთხოვებათ შექმნან სტუმართმოყვარეობის ატმოსფერო, კეთილი განწყობით შეასრულონ ტურისტების მოთხოვნა, გამოიჩინონ მათ მიმართ მოთმინება და

თავშეკავება მაშინაც კი, როდესაც მათი მოთხოვნები არასწორად მიაჩნიათ და ა. შ.

სპეციალისტები წერენ, და, ჩვენც ვეთანხმებით მათ, რომ საქართველოში ტურისტული კადრების მომზადება ამ მიმართულებით უნდა განვითარდეს. მას „მოთხოვნა-დაკმაყოფილების“ მიმართულება უნდა მიეცეს, ე. ი. როგორ კადრზეც არის მოთხოვნა, ისეთი კადრი უნდა მომზადდეს. ეს ფაქტიურად არის ევროდონის პროფესიული ტურისტული განათლება, რომელიც ტურისტულ ბაზარს უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით. დღევანდელ ტურიზმის ბაზარს, რომელიც მაღალი კონკურენციით ხასიათდება, სჭირდება ასევე, მაღალპროფესიონალი სამუშაო ძალა, ამის გარეშე საქართველოს ტურისტული დარგი ღირსეულ ადგილს ვერ დაიკავებს ტურისტული მომსახურების ბაზარზე. აღსანიშნავია ისიც, რომ ტექნიკური პროგრესის პირობებში სწრაფად ძველდება ადრე მიღებული ცოდნა. ეს ბუნებრივია, ამცირებს დასაქმებულთა კომპეტენციის დონეს. ამისათვის ტურიზმში დასაქმებული პერსონალი მუდმივად უნდა იახლებდეს ცოდნას, ანუ მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლობდეს.

ეს განსაკუთრებით ეხება მენეჯერთა ფენას. მენეჯერები მუდმივად საქმის კურში უნდა იყვნენ რა ახალი ტექნოლოგიები, ტექნიკა და მეთოდები შეიქმნა და ინერგება მოწინავე მაღალგანვითარებული ქვეყნების ტურიზმში. მათ არამხოლოდ უნდა შეძლონ აქ, საქართველოში მათი დანერგვა, არამედ, არ უნდა დააყოვნონ, ანუ დროში არ უნდა გაწელონ იგი, რადგან საქართველოში ტურისტები ძირითადად ამ მაღალგადახდისუნარიან ქვეყნებიდან შემოდიან და მათ აქ უნდა დახვდეთ ისეთივე მაღალი დონის სერვისი, როგორიც მათი ქვეყნების პრაქტიკაშია.

დასახელებული მიზნები ვერ გადაწყდება თუ საქართველოში არ შეიქმნება ევროდონის პროფესიული ტურისტული განათლების სასწავლებლები. ადრეც აღვნიშნეთ, და, კიდევ ვიმეორებთ, რომ ტურიზმის სპეციალისტებს საქართველოში მრავალი პროფესიული თუ უმაღლესი დაწესებულება ამზადებს, მაგრამ მათში ძირითადად სტუდენტების თეორიული მომზადება ხდება. სტუდენტები პრაქტიკას ან საერთოდ ვერ გადიან, რადგან ტურფირმები არ იღებენ მათ, ანდა გადიან, მაგრამ მეტად მოკლე ხნით (10-11 დღე) და ისიც მხოლოდ და მხოლოდ ნაცნობ-ნათესაური კავშირების მეშვეობით. საქართველოში არ არსებობს რაიმე სამთავრობო ნორმატიული აქტი, რომელიც დაავალებდა საქართველოში მოქმედ ტურფირმებს, სასტუმროებს, რესტორნებს და სხვა დაწესებულებებს, რომ მათ სავალდებულო წესით მიიღონ პრაქტიკაზე მათი პროფილის სტუდენტები გარკვეული გასამრჯელოს გადახდით.

ამის გარდა, რადგან ტურისტულ მომსახურებაში მთავარი მაინც არის ტურისტებთან პიროვნული ურთიერთობა და ვიცით, რომ სხვადასხვა ქვეყნის ხალხები ერთმანეთისგან არა მხოლოდ სასაუბრო ენით განსხვავდებიან, არამედ, ჩვევებით, გამოთქმული აზრის აღქმით და ა. შ., ჩვენი აზრით, საჭიროა, ყველა ჩვენი პროფესიული თუ უმაღლესი ტურიზმის სასწავლებლები სავალდებულო წესით მხოლოდ უცხო ენებს კი არ უნდა ასწავლიდნენ, არამედ, უნდა ისწავლებოდეს „მენეჯმენტის ფსიქოლოგია“, „მოლაპარაკებების ფსიქოლოგია“, „მარკეტინგის ფსიქოლოგია“. ჩვენი აზრით, ეს საგნები უნდა იყოს წინა პლანზე წამოწეული, რადგან ტურისტული მომსახურების დროს ადამიანებთან გვაქვს საქმე და თუ გვინდა, რომ ეს ურთიერთობები წარმატებული იყოს, ჩვენ უნდა ვიცოდეთ მათი ფსიქოლოგიური ტიპაჟები [9, გვ. 415]. ადამიანების ფსიქოლოგია არა მხოლოდ ქვეყნებს შორის არის განსხვავებული, არამედ, დღე-ღამეს შორისაც. ე. წ. „დილის ადამიანთან“, რომელსაც „ტოროლა“ ეწოდება, მნიშვნელოვანი საქმე დილით უნდა შევასრულოთ, ხოლო ე. წ. „ღამის ადამიანთან“, რომელსაც „ბუ“ ეწოდება - საღამოს. ჩვენ ამ საკითხებს არც ტურსფეროს მომავალ სპეციალისტებს ვასწავლით, და, არც სხვა სფეროების სპეციალისტებს, საზღვარგარეთ კი ეს საგნები ისწავლება.

ამრიგად, იმ მიზნით, რომ საქართველოს ტურიზმის მომსახურე პერსონალი

ევრო¬სტანდარტების დონეზე მოემსახუროს ტურისტებს, უცხო ენების და სტუმარ-მასპინძლობის წესების გარდა, მათ უნდა ვასწავლოთ „ურთიერთობის ფსიქო¬ლოგია“, „მენეჯმენტის ფსიქოლოგია“, „მოლაპარაკების ფსიქოლოგია“ და „მარკე¬ტინგის ფსიქოლოგია“.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა, სამთავრობო პროგრამა - 2016-2020“. ნოემბერი. 2016.
2. ინფორმაცია საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალის-წინებული კაპიტალური პროექტების შესახებ. თბ., 2020.
3. ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2021-2024 წლებისთვის (გადამუ¬შავებული ვარიანტი). საქართველოს მთავრობა. თბ., 2020.
4. კაციტაძე ნ. სახელმწიფო პოლიტიკა ტურიზმში - საქმიანი (MICE) ტურიზმი საქართველოში. ჟ. „ეკონომიკა და ბიზნესი“. #4. 2015.
5. მეტრეველი მ. ტურიზმი. თბ., 2003.
6. ღვედაშვილი ნ., ღუდუშაური ზ. საქართველოს სასტუმრო და ტურისტულ მეურ¬ნეობას კვალიფიციური პერსონალი სჭირდება. ჟ. „სოციალური ეკონომიკა“. #3. 2007.
7. ქათამაძე დ., ქათამაძე გ. საერთაშორისო ტურიზმი. ბათუმი. შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის უნივერსიტეტი. 2013.
8. ზოიძე თ. საქართველოს ტურიზმის საექსკურსიო მომსახურების თანამედროვე ტენდენციები და მათი განვითარების პერსპექტივები. თბ., 2018.
9. ჯოლია გ. საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები. თბ., მეცნიერება. 1998.

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ტურიზმის მნიშვნელობა საქართველოს ეკონომი-კისთვის და ის როლი, რომელიც ამ საქმეში ტურიზმის პერსონალმა უნდა შეასრულოს. სტატიაში ნათქვამია, რომ მიუხედავად ტურიზმის სპეციალობით საქართველოში მრავალი პროფესიული თუ უმაღლესი სასწავლებლის არსებობისა, მათი კურსდამთავრებულების პროფესიონალიზმი უკეთესის სურვილს ტოვებს. ამას აღნიშნავენ უშუალოდ ტურისტებიც და სხვა ქართველი მეცნიერებიც (ნ. კაციტაძე, ნ. ღვედაშვილი, დ. ქათამაძე და სხვები).

სტატიის ავტორის აზრით, ამის მიზეზია ტურიზმის სპეციალისტების პრაქტიკული დაოსტატების სირთულე, რასაც იწვევს პრაქტიკის ობიექტების მიერ სტუდენტების მიღებისგან თავის არიდება. სტატიის ავტორი აყენებს წინადადებას, რომ სამთავრობო დონეზე შეიქმნას შესაბამისი ვალდებულების სამართლებრივი აქტი, რაც დღეს არ არსებობს.

ამის გარდა, ავტორი საჭიროდ მიიჩნევს ტურიზმის სტუდენტებისთვის სავალდებულო წესით ფსიქოლოგიური საგნების (ურთიერთობის ფსიქოლოგია, მენეჯმენტის ფსიქოლოგია და სხვა) სწავლებას. ეს პრაქტიკა ევროპაში დიდი ხანია არსებობს.

S U M M A R Y

THE PERSONAL'S PROFESSIONALISM TAKES THE MAIN PLACE IN THE SUCCESS OF TOURISM

In the article it is discussed the importance of tourism for the Georgian economy and the role that tourism staff should play in this matter. The article says that the existence of many vocational and higher education institutions in Georgia, the professionalism of their graduates provokes a desire for better. This is directly mentioned by tourists and other Georgian scientists (N. Katsitadze, N. Gvedashvili, D. Katamadze and others).

According to the author of the article, the reason for this is the difficulty of practical training of tourism specialists, which leads to the avoidance of accepting students by the objects of practice. The author of the article proposes to create a relevant legal act of obligation at the governmental level which does not exist today.

Besides, the author considers that it is necessary for tourism students to study psychological subjects (relationship psychology, management psychology, etc.) in a mandatory rule. This practice has existed in Europe for a long time.

Key words: Professionalism; Character; To master in the profession; Tourist Psychology.

ჯანმრთელობის დაცვა, როგორც სისტემა

ნინო ელისაბედაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების
ფაკულტეტის დოქტორანტი

შესავალი

მსოფლიოში მრავალი ჯანდაცვის სისტემაა. თითოეული ქვეყანა თავად ირჩევს ჯანდაცვის მოწყობის ფორმას, ანუ სისტემას. ასევე სხვადასხვა აქვთ მათ სისტემური პრობლემები. საქართველოს ჯანდაცვის სისტემის პრობლემებია მის დასაფინანსებლად სახელმწიფოს შეზღუდული რესურსები, პაციენტთა უსაფრთ-ხოებაზე, დაბალი პასუხისმგებლობა, ინოვაციების სიმცირე და სხვა. სხვა ქვეყნებს სხვა პრობლემები აქვთ - ბრიტანეთს არ ყოფნის საწოლები, ამერიკაში მოსახლეობის 15%-ს არა აქვს სამედიცინო დაზღვევა, „სისტემა ავადაა“ აცხადებენ გერმანელი ექიმები და ა. შ. [1, გვ. 19]. წინამდებარე სტატიაში ვისაუბრებთ ზოგადად სისტემაზე, კერძოდ, კი, ჯანდაცვის სისტემაზე. გავარკვევთ საკითხს იმის შესახებ, თუ რა არის ჯანდაცვის სისტემა და რა იგულისხმება მასში.

ჯანმრთელობის დაცვის სისტემა სისტემის საერთო თეორიის შუქზე

ჯანდაცვის როგორც სისტემის არსის განსაზღვრისთვის და მასზე მსჯელობის წარმართვისთვის, უწინარესად საჭიროდ მივიჩნევთ სისტემის შინარსის განმარტებას. ეს საშუალებას მოგვცემს სხვადასხვა რაკურსში განვიხილოთ ჯანდაცვა და დავასაბუთოთ მისი სისტემური მდგომარეობა.

სისტემის თეორია XX საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს წარმოიშვა. სისტემა არის სხვადასხვა ურთიერთდამოკიდებული ნაწილების ერთობა, რომელთაგან თითოეულს მთელში შეაქვს რაღაც კონკრეტული და უნიკალური, ანუ სისტემა არის ელემენტების და ურთიერთობების კომპლექსი, რომლებიც ერთ მთელ ერთეულად არიან შეკრულნი.

არსებობს ორი სახის სისტემა [2, გვ. 82]:

1. დახურული სისტემა (ამ სისტემის მოქმედება გარე გარემოს ზემოქმე-დებისგან გარკვეულად იზოლირებულია).
2. ღია სისტემა (ხასიათდება გარე გარემოსთან მჭიდრო კავშირით).

ყველა დარგი, სფერო, ორგანიზაცია, მათ შორის ჯანდაცვა, ღია სისტემები არიან. თავის მხრივ, თითოეული მათგანი ქვესისტემებისგან შედგება. მასთან მიმართებაში ისინი ქვესისტემებია, ცალკე, დამოუკიდებლად აღებული კი - სისტემები.

მეცნიერრ.აკოფისმიხედვით„სისტემაარისორიანმეტიურთიერთდაკავში¬რებული ელემენტი შემდეგი თვისებებით [3, გვ. 15-16]:

1. თითოეულ ელემენტზე გავლენას ახდენს მთელის ფუქნციონირება.
2. სისტემის თითოეული ელემენტი სულ მცირე ერთი ელემენტის გავლენას განიცდის.
3. სისტემის ელემენტების ყველა ქვეჯგუფი აუცილებლად ხასიათდება პირველი ორი თვისებით.

რაც შეეხება ჯანდაცვის სისტემას, მას მეცნიერები მიურაი და ფრენკი ასე

განმარ¬ტავენ: „ჯანდაცვის სისტემა წარმოადგენს ჯანდაცვის ღონისძიებების გასა-ტა¬რებლად მიმართულ ყველა ორგანიზაციის, დაწესებულებების და რესურსების ერთობლიობას, რომლის მიზანია ადამიანთა ჯანმრთელობის ხელშეწყობა და გაუმჯობესება“ [4, გვ. 717].

მისგან საკმაოდ განსხვავებულია რუსი მეცნიერების - ლ. ზენინას, ი. შეშუნოვის და ო. ჩერტუხინას განმარტება: „ჯანდაცვის ეროვნული სისტემა არის სახელმწიფოებრივი „სოციალ-ეკონომიკური, საზოგადოებრივი და სამედიცინო ღონისძიებების ერთობლიობა, რომელთა მიზანია, მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და ჯანმრთელობის დონის ამაღლება“ [5, გვ. 30].

მაშასადამე, პირველი განმარტების მიხედვით, ჯანდაცვის სისტემაში ჯანდაცვის ორგანიზაციები და დაწესებულებები მოიაზრებიან, მეორეში კი - ჯანმრთელობის დასაცავად მიმართული ღონისძიებები.

განსხვავებულად ფიქრობენ ჯანდაცვის სისტემის კომპონენტებზეც. მეცნიერ თ. ვერულავას აზრით, მასში შედის [6, გვ. 627}:

1. მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების მიწოდება (მასში შედის პირველადი და მეორადი პროფილაქტიკა, მკურნალობა, ზრუნვა და რეაბილიტაცია).
2. ქმედებებს, რომლებიც მიმართულია სამედიცინო მომსახურების მიწოდე-ბისთვის (მასში იგულისხმება დაფინანსება, სხვადასხვა რესურსების ფორმირება და ზოგადად მართვის ფუნქციები).
3. ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ სხვა სექტორებში განხორციელებულ ქმედებები.

არსებობს სხვა დაყოფაც. იგი მეცნიერმა მილტონ რომერმა წარმოადგინა და ოთხ კომპონენტს შეიცავს [6, გვ. 628]:

1. რესურსების წარმოება (ცოდნა, პერსონალი, დაწესებულებები, მოხმარების საგნები).
2. პროგრამების ორგანიზება (ჯანდაცვის სამინისტრო, ჯანდაცვის დაწესებულებები, სააგენტოები და სხვა).
3. ეკონომიკური მხარდაჭერა (გადასახადები, დაზღვევა, ადამიანები და მათი სოციალური დაცვა).
4. მართვა (კანონმდებლობა, დაგეგმვა, რეგულირება, ადმინისტრირება).

საჭიროდ ვთვლით, ერთმანეთისგან განვასხვავოთ, ტერმინები - ჯანმრთელობის დაცვა და ჯანმრთელობის დაცვის სისტემა.

სამედიცინო საქმიანობის მიზანია ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა, შემარჩუნება, აღდგენა, მისთვის ტანჯვის შემსუბუქება [7, გვ. 14]. ნებისმიერ ქვეყანაში ამ მიზნით მუშაობს ჯანდაცვის მთელი სფერო (დარგი). ასეა საქართველოშიც. საქართველოში ჯანდაცვის სფეროს მუშაობას საფუძვლად უდევს მრავალი პრინციპი. მათ შორის ძირითადია [7]:

* მოსახლეობისთვის სამედიცინო დახმარების საყოველთაო და თანაბარი ხელმისაწვდომობა;
* ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა და თავისუფ-ლებათა დაცვა, პაციენტის პატივის, ღირსების და ავტონომიის აღიარება;
* ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სამედიცინო ეთიკის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების დამკვიდრება;
* სახელმწიფოს მიერ ჯანმრთელობის დაცვის დაფინანსება და ა. შ.

ყოველივე ზემოთნათქვამი არის ჯანმრთელობის დაცვის შინაარსი. თუ სისტემატიზირებულ ჯანდაცვას დავშლით, იგი წარმოგვიდგება ცალკეულ პროფილაქტიკურ, დიაგნოსტიკურ, სამკურნალო და სარეაბილიტაციო ღონისძიებების სახით, და აგრეთვე, ჯანდაცვის ხელშემწყობ ქმედებების სახით (შესაბამისი კანონების მიღება, კადრების აღზრდა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ქმედებები და სხვა (ნახაზი 1).



ნახაზი 1. ჯანდაცვის შინაარსი (შესრულებული ღონისძიებების კონტექსტში)

ეხლა რაც შეეხება ჯანდაცვის სისტემას. ტერმინი „სისტემა“ ბერძნული წარმოშობის სიტყვაა და ელემენტების სიმრავლეს ნიშნავს, რომელთა შორის არსებული კავშირები და მიმართებები ქმნის ერთ მთლიანობას. ასეთივე შინაარსით იკითხება დეფინიცია - „სისტემა“ ფილოსოფიურ ლექსიკონში. მაგრამ აუცილებლად დასამატებელია ერთი დაზუსტება, კერძოდ, სისტემა ნებისმიერი სიმრავლის ერთობაა თუ არა. სისტემა არ არის ნებისმიერი ელემენტების „გროვა“. მათ შორის აუცილებლად უნდა იყოს ისეთი კავშირი და მიმართებები, რომლებიც თვისობრივად ახალ მთლიანობას ქმნიან. მაშასადამე, სისტემის თვისებები არ წარმოადგენს მასში შემავალ ელემენტების თვისებათა არითმეტიკულ ჯამს. იგი ამ ჯამზე უფრო მეტია, რადგან, სისტემაში მოხვედრილი ელემენტები ურთიერთქმედებით სინერგიას, ანუ, ახალ, განსხვავებულ ენერგიას და ეფექტს ქმნიან.

შესაბამისად, ჩვენი აზრით, სისტემა ცალკეული ქმედებების და ღონისძიებების ერთობლიობა კი არ არის, არამედ, ამ ქმედებების და ღონისძიებების შემსრულებელ (განმახორციელებელ) სტრუქტურების (დაწესებულებების) ერთობლიობაა, რომელთა სახეებს, სამართლებრივ და ორგანიზაციულ ფორმებს, მართვის აპარატის კონსტრუირების ფორმას, მათ რაოდენობას და ასე შემდეგ, სახელმწიფოს ხელისუფლება განსაზღვრავს. ჯანმრთელობის დაცვის სფეროსთან მიმართებაში, სისტემა, ჩვენი აზრით, უნდა წარმოადგენდეს სწორედ სამკურნალო, პროფილაქტიკურ, სადიაგნოსტიკო და სხვა მსგავსი ფუნქციების შემსრულებელ დაწესებულებათა ისეთ ერთიანობას, რომელიც გარკვეულ ურთიერთკავშირებზე არის დაფუძნებული. როგორც წესი, ნებისმიერ ქვეყანაში ჯანდაცვის სისტემა

იქმნება არა თავისუფალი, თვითპროდუცირების გზით, არამედ, ჯანდაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკით. და რადგან ეს პოლიტიკა სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარია, შესაბამისად, ჯანდაცვის სისტემის სტრუქტურაც მსოფლიოს ქვეყნებში არის ერთგვაროვანი.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოს ჯანდაცვის სფეროში მოქმედ არც ერთ ნორმატიულ ოფიციალურ დოკუმენტში არ არის მოცემული ჯანდაცვის სისტემის განმარტება. ამას ჩვენ ამ სფეროს საკანონმდებლო ბაზის ნაკლად ვთვლით. შესაბამისად, რადგან საქართველოს ჯანდაცვის სფეროსთვის ვერ აღმოვაჩინეთ მისი სისტემის განმსაზღვრელი ოფიციალური დეკლარირებული სამთავრობო პოზიცია, ვეყრდნობით ჩვენს გამოცდილებას ამ სფეროში და ჯანდაცვის სისტემაში მოვიაზრებთ შემდეგ სტრუქტურებს: პოლიკლინიკებს და ამბულატორიებს, საავადმყოფოებს, დისპანსერებს, სასწავლო და კვლევით სამედიცინო დაწესებულებებს, საკურორტო დაწესებულებებს, სასწრაფო დახმარებას, აფთიაქებს, სანიტარულ-ეპიდემოლოგიურ სადგურებს, დედათა და ბავშვთა სახლებს, სამედიცინო-საექთნო პუნქტებს და ექიმთა ასოციაციებს (იხ. ნახაზი 2).



ნახაზი 2. ჯანდაცვის ეროვნული სისტემა (ჯანდაცვაში მომსახურე ორგანიზაციების კონტექსტში)

ჯანდაცვის სისტემაში შემავალ ამ ჩამონათვალში ჩვენ არ მოვახვედრეთ არც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო და არც საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტი. მართალია, ისინი ქვეყნის ჯანდაცვის მართვის სტრუქტურაში მოიაზრებიან, მაგრამ, რადგან ისინი მხოლოდ ჯანდაცვის ზოგად პოლიტიკას ქმნიან და არა იმ სინერგიას, რომელსაც სისტემის ყველა დანარჩენი სტრუქტურები, მათი შეყვანა ჯანდაცვის სისტემაში ჩვენ არამართებულად მიგვაჩნია.

ჯანდაცვის ასეთივე სტრუქტურა აქვთ რუსეთის ფედერაციას [5, გვ. 116], თუმცა, ჩვენგან განსხვავებით შესაბამის ჯანდაცვის სამინისტრო იგი ჯანდაცვის სისტემაში მოიაზრებს, ხოლო ექიმთა ასოციაციაში - არა. ექიმთა ასოციაცია არის ისეთი ორგანიზაცია, სადაც იმართება დებატები სამედიცინო სერვისებზე, კრიტიკულად იხილება გედლაინები, დაავადებების მკურნალობის მეთოდები და ა. შ. ეს კი ის საკითხებია, რომლებიც უშუალო კავშირში არიან პაციენტის ჯანმრთელობის

დაცვასთან, მის უზრუნველყოფასა და განმტკიცებასთან. ამიტომ ჩვენ მტკიცედ გვჯერა, რომ ექიმთა ასოციაცია ჯანდაცვის სისტემაში უნდა შედიოდეს.

ჯანდაცვის სისტემის ასეთი განსხვავებულობის მიუხედავად, ძირითადად, ყველა ქვეყნისთვის ერთნაირია ამ სისტემის ფუნქციები, ამოცანები და მიზნები (ცხრილი 1).

ცხრილი 1

ჯანდაცვის სისტემის ფუნქციები, ამოცანები და მიზნები [6, გვ. 629]

ფუნქციები	ამოცანები	მიზნები
1.ჯანდაცვის პოლიტიკის ფორმულირება და სისტემის მართვა-ხელმძღვანელობა. 2.ჯანდაცვის დაფინანსება (შემოსავლების აკუმულირება და რესურსების განაწილება). 3.რესურსების წარმოება. 4.სამედიცინო სერვისების მიწოდება.	1.ხარისხი. 2.რესურსების სამართლიანი განაწილება. 3.შედეგების მაქსიმალიზაცია. 4.გამჭირვალობა და საჯაროობა.	1.მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესება და სამედიცინო მომსახურებაში თანასწორობა. 2.ჯანდაცვის საჭიროებებზე ოპერატიული რეაგირება. 3.ფინანსური დაცვა. 4.რესურსების ეფექტური გამოყენება.

ჯანდაცვის სისტემის ფუნქციებსა, მიზნებსა და ამოცანებს შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. ეს კავშირები ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციამ გრაფიკულად ასე გამოსახანა (ნახაზი 3).



ნახაზი 3. ჯანდაცვის სისტემის ფუნქციების, ამოცანების და მიზნების ურთიერთკავშირი [5, გვ. 637]

დასკვნა. დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ დღესდღეობით ჯანმრთელობის დაცვის საკითხების მრავალი ასპექტები შესწავლილია, მაგრამ არ არის შესწავლილი ამ ასპექტების მთლიანობა, ანუ სისტემა. მხედველობაში გვაქვს სისტემაში მათი ადგილი, როლი, ურთიერთგავლენა და სისტემაში წარმოქმნილ სინერგიაში თითოეული ელემენტის (კომპონენტის) წილი.

ჯანდაცვის სისტემის გააზრებისას, ვფიქრობთ, უნდა ამოვიდეთ თავად

სისტემის მეცნიერული განმარტებიდან, რაც ცალსახად დაგვანახვებს ჯანდაცვის სისტემის ხედვის ამოსავალ პრინციპს, რომ სისტემაში შემავალი ელემენტები ერთი და იგივე ფუნქციის მატარებელი, არამედ, შინაარსობრივ დონეზეც ურთიერთგანპირობებულნი უნდა იყვნენ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვერულავა თ. ჯანდაცვის ეკონომიკა და დაზღვევა. თბ., **2009.**
2. Клинический менеджмент, под ред. А. Вялкова, В. Кучеренко, М., Медицина. 2006.
3. Ackoff R. L. (1981). Creating the Corporate Future Now-York: John wiley.
4. Murray C. J., Frenk J. (2000). A Framewark for Assessind the Performance of Health System. Bulleten of the World Health Organization. 78(6).
5. Зенина Л. А., Шешунов И. В., Чертухина О. Б. Экономика и управление в здравохранении. М., Академия. 2014.
6. ვერულავა თ. ჯანდაცვის ეკონომიკა და დაზღვევა. თბ., გამომცემლობა „საქართველოს უნივერსიტეტი“. თბ., 2009.
7. საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“. თბ., 2018.

რეზიუმე

სტატიაში - „ჯანმრთელობის დაცვა, როგორც სისტემა“ უპირველესად განხილულია სისტემის საერთო თეორია, შემდეგ კი, მის ფონზე ჯანდაცვის სისტემა.

ავტორი ცალ-ცალკე იხილავს როგორც ჯანდაცვის კატეგორიას, ისე ჯანდაცვის სისტემის კატეგორიას, აყალიბებს მათ შორის განსხვავებებს და აღნიშნავს, რომ ჯანმრთელობის დაცვა ეს არის ამ მიზნისკენ მიმართულ ღონისძიებათა - სამკურნალო, პროფილაქტიკური და ა. შ. კომპლექსი, ხოლო ჯანმრთელობის სისტემა არის იმ დაწესებულებების ერთობლიობა, რომლებიც ამ ქმედებებს ახორციელებენ.

სტატიის ავტორი საქართველოს ჯანდაცვის საკანონმდებლო ბაზის ნაკლად თვლის იმ ვითარებას, რომ მის მარეგულირებელ არცერთ ნორმატიულ აქტში ჯანდაცვის სისტემა არ არის განმარტებული.

საკვანძო სიტყვები: სისტემა; ჯანდაცვა; ჯანდაცვის სისტემა; ქვესისტემები; სისტემის ფუნქციები და მიზნები.

HEALTH CARE AS A SYSTEM

S U M M A R Y

In the article- «Health Care as a System», first of all it is discussed the general theory of the system and then the health system in its background.

The author looks at both the category of healthcare and the category of the healthcare system separately, makes a difference between them and notes that the protection of healthcare is a measure aimed to this goal: for treatment, prophylatics, etc. and for the complex, while the health system is a set of devices that perform these actions.

The author of the article considers that the defect of regulation basis is the situation where healthcare system isn't defined in none of normative acts.

Key words: System; Healthcare; Health care system; Subsystems; System Functions and Objectives.

თანამედროვე დემოკრატია - ტრანსფორმაციის აუცილებლობა და ახალი ათვლის წერტილის ძიება

ნინო გომართელი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

„დემოკრატია ყველაზე საშინელი მმართველობის ფორმაა, მაგრამ მასზე უკეთესი არ არსებობს"
უინსტონ ჩერჩილი

თანამედროვე დემოკრატია გაცილებით ჯანმრთელი, მობილური და ეფექტური გამოდგა, ვიდრე ისტორიულად ჩვენთვის ცნობილი სხვა სისტემები – იქნება ეს ჩინური ცინის იმპერია, ძველი ევროპული მონარქიები, ბაღდადის სახალიფო, ფაშისტური თუ კომუნისტური ტოტალიტარული სახელმწიფოები და ა.შ. რაში მდგომარეობს ამ სისტემის სიძლიერე და უპირატესობის წინაპირობა? მის რეალიზმში! ეს არის ე.წ. პოლიტიკური რეალიზმის პოზიცია, რამაც სძლია ისეთ უტოპისტურ წარმონაქმნებს, როგორიც იყო ფაშიზმი და კომუნიზმი. უტოპიზმი, როგორც ავადმყოფური მოვლენა პოლიტიკაში სერიოზულად დამარცხდა.

დედამიწაზე – ევროპაში, ამერიკის კონტინენტებზე, აზიაში და ა.შ. დემოკრატიების დამკვიდრება თავდაპირველად „დიდი იდეალების" შთამაგონებელ, მასულდგმულებელ ფაქტორებთან იყო დაკავშირებული. იყო დრო, როდესაც ადამიანების დიდ ენთუზიაზმს იწვევდა ლოზუნგი – „ძმობა, თანასწორობა, თავისუფლება". გავიხსენოთ XVIII საუკუნის საფრანგეთის რევოლუციის პერიოდი. ისეთი პრინციპები, როგორიცაა „კანონის უზენაესობა", „ადამიანის უფლებები", „სამოქალაქო საზოგადოება", „ხალხის ძალაუფლება" ნამდვილად ასრულებდა სასიცოცხლო „სტიმულატორების" ფუნქციას საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის, ისინი აღმოჩნდნენ დიდი ენერგიის მიმნიჭებელი იმ პროცესებისათვის, რომლის შედეგად დემოკრატიულმა პოლიტიკურმა სისტემამ თანმიმდევრულად დაიმკვიდრა მყარი და დომინანტური ადგილი დედამიწაზე. დღეისათვის მათ დაკარგეს ენერგეტიკული ფუნქცია და ჩვენი სოციალურ-პოლიტიკური ყოფის აუცილებელ რეგულატორებად გვევლინებიან, მათი დანიშნულებაა საზოგადოებრივი ცხოვრების ეფექტური რეგულირება, რეგლამენტირება. დემოკრატიამ მოგვცა უამრავი რამ – ჩვენ ვართ თავისუფალნი – სიტყვით, რწმენით, აზრის გამოხატვით... ჩვენი შესაძლებლობების დიაპაზონი საკმაოდ დიდია, მაგრამ დემოკრატიამ ვერ მოგვცა საზრისი, ანუ ორიენტირი. ჩვენ ვეძებთ ამ ორიენტირებს (ლიგატურებს) და ვგრძნობთ უკმარისობას. თანამედროვე საზოგადოება პულსირებს, ცვალებადობს, ფუნქციონირებს, მაგრამ არ ეფუძნება არავითარ სუბსტანციას. არის მოძრაობა, მაგრამ არ ჩანს არავითარი მიზანი, არის სიმრავლე, მაგრამ არ ჩანს ათვლის წერტილი, არის შანსები, მაგრამ სად არის სარწმუნო სინამდვილე? მუდმივი ხიფათი დამოკლეს მახვილივით ჰკიდია მის თავზე, რომელიც მას დესტრუქციით ემუქრება. მართალია, სხვა ეპოქების კუთვნილება იყო „ომი და მშვიდობა", მაგრამ ჩვენ მაინც ვიმყოფებით მუდმივი საფრთხის, მუქარის გარემოში. უსაფრთხოება დღევანდელი მსოფლიოს მთავარი ტენდენცია და ამოცანაა.

ერთ დროს, განათლებული ადამიანების აზრით, დემოკრატია იყო უნივერსალური

მოდელი, რომელიც ყველა ერის, კულტურის, საზოგადოებისათვის იქნებოდა მისაღები. ისტორიამ დაადასტურა ამ პოზიციის მცდარობა. საბჭოთა იმპერიის და აღმოსავლეთ ევროპის დაშლის შემდეგ მსოფლიო დემოკრატიზაციის მზარდი პროცესი დამუხრუჭდა, შეჩერდა მისი მსვლელობა. საეჭვოა, ეს სისტემა ისევე ეფექტურად მოირგოს ჩინეთმა, არაბულმა სამყარომ, ან ირანმა, როგორც დასავლეთ ევროპის ისეთმა ქვეყნებმა, როგორებიც არიან ჰოლანდია, დანია თუ სხვ. ჩინეთიც და ირანიც სერიოზულ რეფორმებს ატარებენ და მყარად არიან დამკვიდრებულნი პლანეტაზე. ისინი სხვა ხაზის მატარებლები არიან. დემოკრატია ადეკვატური მოდელი არ აღმოჩნდა რუსეთისათვის. რუსულმა სახელმწიფო მენტალიტეტმა, რომლის სათავეებიც ივანე მრისხანეს (XV ს.) პიროვნებასა და პოლიტიკაში უნდა ვეძებოთ, ნამდვილად ვერ შეითვისა თავის ორგანიზმში ეს დასავლური სისტემა, თავისი სერიოზული კორექტივები შეიტანა მასში და ამ კორექტივებით შეეცადა მის მორგებას. იმპერიალიზმის ძველი, ძალისმიერი ფორმა და თანამედროვე დემოკრატია პრინციპულად შეუთავსებელი კატეგორიებია. ყველა დიდმა თუ მცირე განვითარებულმა ქვეყნებმა, რომლებიც დღეს დასავლური დემოკრატიის ნიმუშებად არიან მიჩნეული, ცხადია, დიდი ხანია გადაიგდეს კოლონიალიზმისა და იმპერიალიზმის უღელი. მართალია, საბჭოთა კავშირი დაიშალა, მაგრამ რუსეთი მაინც ჩაეჭიდა თავისი ყოფილი „ქვემდებარე სივრცის“ მოდერნიზებული სახით ძალისმიერი რეინტეგრაციის იდეას და მოიგონა ჯერ „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა“, შემდეგ „ევრაზიული კავშირი“..., სადაც სხვადასხვა მეთოდებით შეიყვანა ახლად ფორმირებული სუვერენული სახელმწიფოები. რუსეთი ყველანაირად ცდილობს აწარმოოს შეურიგებელი ბრძოლა უკრაინაში, საქართველოში, ცენტრალურ აზიაში დასავლეთის ინტერესების გაბატონების წინააღმდეგ. რუსული ძველი იმპერიალისტური ტენდენციების რეანიმაცია ნათელს ხდის, რომ ამ ქვეყანამ ვერ მოირგო თანამედროვე დემოკრატიის სტანდარტული მოდელი, ვინაიდან ვერ განთავისუფლდა თავისი ტრადიციული, ორგანული იმპულსებისაგან. „ორი რომი დაემხო, მესამე – მოსკოვის – დგას, მეოთხე აღარ იქნება“ – იმპერიის იდეა იყო და რჩება რუსეთის პოლიტიკაში წარმმართველ პრინციპად.

ცნობილი ესპანელი ფილოსოფოსი ორტეგა ი გასეტი „მასების ამბოხში“ გვაფრთხილებდა: დაირღვა საზოგადოების ტრადიციული და ალბათ, ერთადერთი ჭეშმარიტი სტრუქტურა – მასების და რჩეული უმცირესობის დინამიკური ერთიანობა – მთვარი სუბიექტი გახდა მასა. ახალმა დრომ დაბადა მასა – ადამიანი, რომელიც იქცა ჰეგემონად. ამ ტენდენციის გამარჯვებას ემსახურებოდა ლიბერალური დემოკრატიის ტრიუმფი და ტექნიკური მიღწევების გიგანტური ნახტომები. საზოგადოების, როგორც ცოცხალი რეალობის ნაცვლად მოგვევლინა ფორმალური მთლიანობა – საზოგადოება, როგორც მისი შემადგენელი ნაწილების მექანიკური ჯამი. ბერდიაევის აზრით, სახელმწიფო დაეფუძნა საზოგადოების აგებულებაში უთნასწორობას, დიფერენციაციას, განსხვავებას, აქვე, აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს ფორმირების არსებითი მომენტი ისტორიულად ყოველთვის იყო შერჩევა-გადარჩევის პროცესი. მძიმე გამოცდასა და მკაცრ ბრძოლაში ყალიბდებოდა რჩეულთა, საუკეთესოთა ფენა. იმავე დროს, ეს პროცესი იყო საზოგადოების, როგორც ორგანული მთლიანობის და ფორმირების პროცესი. ხალხმა უნდა თავის წიაღში დაბადოს საკუთარი რჩეული, რაც საზოგადოების ინტეგრირებულობის, სიცოცხლისუნარიანობისა და შემოქმედებითი ევოლუციის საწინდარია. სად არის დღეს საზოგადოება? არიან ადამიანები, მასები, სოციალური ჯგუფები, პოლიტიკური პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები, მაგრამ არ არის საზოგადოება, როგორც მთელი. თვალსაჩინო გერმანელი ფილოსოფოსი კოზლოვსკი მას მარგინალურ საზოგადოებას უწოდებს, რომელსაც

არ აერთიანებს საერთო კულტურული და ღირებულებითი მრწამსი; მასში ადგილი არა აქვს სიცოცხლის მთლიანობით კულტურულ სახეს და ყოფიერების მთლიანობით ხედვას, მასში არაფერია არსებითი, სუბსტანციური. დარენდორფს ხშირად მოჰყავს არისტოტელეს სიტყვები: „სავსებით თანასწორთაგან ვერ მივიღებთ სახელმწიფოს“. მხოლოდ არაერთგვაროვნება არის საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობის პირობა და, ამავე დროს, სახელმწიფო სტრუქტურების სტაბილურობის, სიმყარის გარანტი.

დემოკრატებმა ევრაზიის, ჩრდილოეთ თუ სამხრეთ ამერიკის კონტინენტებზე, აფრიკასა თუ ავსტრალიაში ერთიანი, გლობალური და დომინანტური სალტე შეკრეს ჩვენ პლანეტაზე. მყარად შეკრული სალტე, რომელიც დღემდე ქმნიდა „მსოფლიოში ამინდს“, შესაძლებელია მალე დაიბზაროს, დასკდეს, და შემდგომ დაიშალოს და საბოლოოდ დაკარგოს დომინანტური ფუნქცია. ორტეგა ი გასეტი სავსებით მართებულად აღნიშნავდა, რომ ადამიანი – მასა, რომელიც დღესდღეობითაც თანამედროვე დემოკრატიებში ძალაუფლების განხორციელების მთავარი წყაროა, თავისი ბუნებით სუსტია, მისთვის დამახასიათებელია ინფანტილიზმი, ეს კი უაღრესად საშიში, საგანგაშო ვითარებაა პოლიტიკურ ცხოვრებაში. მასის ფსიქიკა წინასწარ გათვლას ძნელად ექვემდებარება – სიმპათია შეიძლება მოულოდნელად გადაიქცეს ანტიპათიად, დაფასება – დამცირებად, რწმენა – უნდობლობად, ხოტბა – გინებად, აღტკინება – გულგრილობად. მასის სიღრმისეული მოთხოვნილებაა – თაყვანისცემა და კერპი. დემოკრატია არ არის თვითმიზანი. ჯერ კიდევ ბერდიაევი აღნიშნავდა, რომ იგი უნდა იყოს საშუალება, ანუ ეფექტური მექანიზმი საზოგადოების რჩეული, გონიერი ფენის გენერირებისათვის. მხოლოდ მას შეუძლია საზრისთა, ანუ ლიგატურთა მინიჭება სოციუმისა და ინდივიდებისათვის, რწმენა, დაფასება, თაყვანისცემა გამორჩეული პიროვნებების – ლიდერების, ავტორიტეტების – ჩვენი სასიცოცხლო სამყაროს ერთ-ერთი უდიდესი ენერგეტიკული რესურსია, მისი მაცოცხლებელი სტიმულია... უნდა დაიბადოს საუკეთესოთა ფენა, ვინაიდან მას ძალუძს დოვლათის შექმნა, ღირებულებათა და ორიენტირების დადგენა, ვინაიდან მას აქვს პოტენცია იყოს მმართველი და წარმმართველი პოლიტიკაში, კულტურაში მეცნიერებაში... მას დინამიკაში მოჰყავს საზოგადოება, ერთ მთლიანობად ჰკრავს და ხსნის შესაძლებლობათა ფართო სივრცეს.

დღევანდელი დასავლური კულტურა აღარ არის მასობრივი იმ თვალსაზრისით, როგორიც მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში. „განსაკუთრებულ ინდივიდუალობას“, „ვარსკვლავს“ მნიშვნელოვანი ფუნქცია და ადგილი უჭირავს თანამედროვეობაში. ვარსკვლავების ბუმი, კულტი, მოდური ხდება პოსტინდუსტრიულ ცივილიზაციაში: ჩვენ ვცხოვრობთ კინო-ვარსკვლავების, ფეხბურთის ვარსკვლავების, ესტრადის ვარსკვლავების და ა.შ. სამყაროში. დიახ, ისინი მრავლადაა, მაგრამ მხოლოდ ე.წ. საყოველთაო სანახაობის განზომილებაში, ვინაიდან ვინმეს ვარსკვლავობას განსაზღვრავს ერთადერთი სუბიექტი – მასა.

ჩვენ გვჭირდება ისეთი „ლიდერები“ და „ავტორიტეტები“, რომლებმაც თავის მხრებზე უნდა ზიდონ საზოგადოების ტვირთი, სული შთაბერონ, ენერგია მიანიჭონ მას. ავტორიტეტი და არა ბელადი, კერპი... პირველი ხალხისანი, ხალხისათვის სამსახური მისი ცნობიერების არსებით ინსტანციას შეადგენს. იგია ხალხისგან და ხალხისთვის. მეორე არის მასისგან და მასისთვის, მისთვის არსებითია პოპულიზმი და არა მსახურება.

დემოკრატიის ტრანსფორმაცია უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს ხელისუფლების ფორმირების მექანიზმის თვისობრივ შეცვლას. ამ სისტემის მთავარი ნაკლოვანება ისაა, რომ შემთხვევითობას მასში დიდი ნაწილი აქვს, რაციონალურობას კი – მცირე. ხომ წარმოუდგენელია ფიზიკოსი, არქიტექტორი ან ფეხბურთელი გახდეს

ვინმე ე.წ. არჩევითი მეთოდით, ანუ ხმათა უმრავლესობით. ჩვენს საზოგადოებაში პროფესიული მოღვაწეობა და სათანადო სტატუსი მოითხოვს თავისებური ფილტრის, ანუ სკოლის გავლას, რასაც ვერ ვიტყვით პოლიტიკის სფეროზე. აქ ბატონობს შემთხვევითობის სრულიად არარაციონალური პრინციპი, ვინაიდან ყველაფერი საბოლოოდ ემყარება მასების კეთილგანწყობას და ხმებს. პარლამენტის წევრი შიძლება გახდეს ნებისმიერი ადამიანი, ვინც სხვადასხვა ფაქტორებისა, თუ ბერკეტების გამო მასების სიმპატიებსა და შესაბამისად, საკმარის ხმებს მოიპოვებს. საჭიროა ქვეყანაში დემოკრატიული სისტემის შიგნით შეიქმნას ე.წ. ხელისუფლების სკოლა, რომლის გავლა სავალდებულო იქნება იმ მოქალაქისათვის, ვისაც აქვს სურვილი და პრეტენზია პოლიტიკურ ასპარეზზე მოღვაწეობისათვის, არ შეიძლება ქვეყნის ბედი ჩავაბაროთ მოუმზადებელ, შემთხვევით ადამიანებს. დემოკრატიის ერთ-ერთი მიზანია მოახერხოს საზოგადოებაში საუკეთესოთა ფენის ფორმირება და კონსოლიდირება თავის ირგვლივ და უნდა შეადგინოს მათგან ერთიანი სუბსტრანტი. უნდა მოხდეს კონსოლიდირება, შეკავშირება ყველა იმ რჩეულისა, ვისაც ძალუძს ღირებულებათა შექმნა, ვისაც ძალუძს იყოს საზოგადოების წარმმართველი ძალა სხვადასხვა სფეროში. სწორედ იმ რჩეულების მოწოდება უნდა გახდეს საკუთარი ხალხის მსახურება: არა მოხმარება, არამედ გაღება და მსახურება!

უნდა მოხდეს დემოკრატიის ტრანსფორმაცია, მისი დაცვა რეფორმების გზით. ეს იქნება ახალი ღირებულებების ეწ. „ინპლანტაცია“ მის ორგანიზმში, რაც მის მობილობასა და თავისუფლებას ხელს არ შეუშლის, პირიქით, მას შეკრავს, გაამთლიანებს და დაიცავს დეზინტეგრაციისაგან.

ჩვენ XXI საუკუნეში უპრეცედენტო და არნახული მასშტაბების, რევოლუციური გარდაქმნების ეპოქაში ვცხოვრობთ. ძველი იშლება – ახალი არ ჩანს. როგორი იქნება სამყარო XXII საუკუნეში... მომავლის ზუსტი პროგნოზირება შეუძლებელია. არ არის გამორიცხული დაისვას კითხვა – ვინ ვარ მე? და ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შეიძლება ყველაზე რთული აღმოჩნდეს კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე. რას უნდა დაეყრდნოს ადამიანი მომავალში, გამოცდილებას, თუ მომავლის ტექნოლოგიებს? ტექნოლოგია დაგეხმარებათ მიზნის მიღწევაში, მაგრამ თუ არ გეცოდინებათ რა გინდათ, მაშინ ძნელია. ხელოვნური ინტელექტი დაგიგეგმავთ ყველაფერს და თქვენ მას დაექვემდებარებით. მაშინ აღმოაჩენთ, რომ იგი თქვენ კი არ გემსახურებათ, თქვენ გიმსახურებთ. რამდენი საუკუნეა ბერძენი ფილოსოფოსები მოუწოდებდნენ ადამიანებს „შეიცანი თავი შენი“! ეს განსაკუთრებით აქტუალურია XXI საუკუნეში. კომპიუტერი, საბანკო ბარათი, სახელმწიფო მანქანა ცდილობენ გაიაზრონ ჩვენს ნაცვლად რა გვსურს!!! რა გვაინტერესებს!!! ხელოვნური ინტელექტი გაგვიკონტროლებს ცხოვრებას მომავალში. შევძლებთ კი ჩვენ თავად ვაკონტროლოთ საკუთარი ცხოვრება და შევიცნოთ მომავლის სამყარო, თუ ამას შევძლებთ, უფრო სწრაფად შევიცნობთ საკუთარ თავს, და მაშინ აუცილებლად გავთავისუფლდებით ილუზიებისაგან. ადამიანმა არ უნდა დაკარგოს რწმენა, რადგან სწორედ რწმენაა სამყაროს ნათელი წერტილი. ადამიანს შეუძლია დარჩეს სამყაროს ცენტრი, თუ შეძლებს იყოს „ჰომო საპიენსი“.

მსოფლიოში უკანასკნელ პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა ერთ წუთში დაამსხვრია განმანათლებლობის ეპოქიდან დღემდე გაბატონებული მითი ადამიანის როგორც სამყაროს ცენტრის შესახებ. მითი – ადამიანი ბუნების მბრძანებელია, ქმნილების გვირგვინია, რაციონალური გონების ყოვლისშემძლეა – დაიმსხვრა. პოლიტიკური ვნებათაღელვა, ძალაუფლების მანიით შეპყრობილ ადამიანთა ხმაური უმნიშვნელო გახდა. ეს შეიძლება ბევრმა ვერ გაიაზრა, მაგრამ ყველამ იგრძნო. ვფიქრობთ, რომ საზოგადოებაში ყოველთვის მოიძებნება ძალა, იქმნება მუხტი,

ითქმება სათქმელი, ხორციელდება გარკვეული ქმედება. არსებობს კანონზომიერება, რომელსაც ექვემდებარება ნებისმიერი საზოგადოება. უნდა ვიწამოთ, რომ ჩვენი ქვეყანა გადარჩება არა მოლოდინით, არამედ მოქმედებით. ეროვნული ენერგია გამოიხატება იმაში, რომ ერი არასოდეს არ დაკარგავს თავის ძალას, ანუ, როგორც ინდოელი ფილოსოფოსი სვამი ვივეკანანდა ამბობდა: მთავარია „ცენტრალური ძალა, რომლის გარშემო თავს იყრის ჰარმონიის ყველა ნაწილი". საკმარისია ეს ცენტრალური ბგერა უკუაგდო, ერი დაკარგავს თავის ცხოველმყოფელობას. ეს ბგერა, ეს მუხტი საქართველოში მუდამ არსებობდა, ჩვენ წინაპრებისაგან მემკვიდრეობით მივიღეთ ერის საუკეთესო თვისებები, შემოქმედებითი პოტენციალი, რომელიც ეყრდნობა ზნეობრივ ორიენტირებს. სად არის ჭეშმარიტება, ჩვენ სად ვართ? ჰერაკლიტე ამბობდა: „დრო არ არის უცვლელი, ის მიედინება", ჩვენც ვიცვლებით ამ დროში და იცვლება გარემომცველი სამყაროც. ამიტომ, ვალდებულნი ვართ, უპირველეს ყოვლისა, ვიპოვოთ საკუთარი თავი ახალ დროში, რომელიც დიამეტრალურად შეიცვალა. ხშირად ის არის ჩვენი ძირეული პრობლემა; არა და ნაცვლად იმისა, რომ ვიპოვოთ ჩვენი თავი, ვებრძვით განსხვავებულს. საჭიროა ვიპოვოთ საკუთარი თავი, არ უნდა შეგვაშინოს განსხვავებულად აზროვნებამ, თუ არ იცი, ვინ ხარ, იოლად გახდები ის, ვინც არ ხარ. ვისაც არ აქვს საყრდენი, მიაჩნია, რომ ვერ დამკვიდრდება. ფილოსოფოსები ამბობენ, მოგვეცით საყრდენი და ჩვენ გადავაბრუნებთ სამყაროს. მართლაც, თუ ადამიანს აქვს თავისი პიროვნული საყრდენი ამ სამყაროში, მას აღარ ეშინია გარემოსი, მას იღებს, როგორც რეალობას და პასუხობს ან მტრულად, ან მოყვრულად, მაგრამ, რაც მთავარია, გამოვხატავთ საკუთრ ქცევას. აი, ამის დეფიციტია დღეს. ჩვენ არ ვიცით როგორები ვართ, ეს პრობლემა გვიდგას და ამიტომ ჩვენთვის რთულია დღევანდელ ვითარებაში, და რაც მთავარია, მომავალში გარკვევა. ჩვენ ვამბობთ – სამყარო შეიცვალა, და ვერც ჩვენ ვხედავთ ნათლად მომავალს, რეალობას. ქაოსში მყოფი ადამიანი კი ძალიან უმწეოა. რა მოგვიტანა სულის დამძიმებამ, მატერიალური გაუმაძღრობისაკენ ლტოლვამ, თუ ამაზე პასუხი გვექნება, მაშინ შევძლებთ გადარჩენას, სულის გასპეტაკებას. ჩვენი ცხოვრება ეფემერულია, რამდენიმე ათეულ წელში სრულდება და ალბათ არა ღირს მისი დახარჯვა უსაგნოდ, სიძულვილზე, სიბრიყვეზე, სისულელეზე... მთელ მსოფლიოს აკლია სულიერება და მათ შორის, ჩვენც.

უნდა აღვნიშნოთ რა პროცესები მივიღეთ მსოფლიოში უკანასკნელ პერიოდში მიმდინარე პრობლემების შედეგად... ადამიანები სივრცის დამოკლების მიუხედავად ერთმანეთს დაშორდნენ. მსოფლიომ ახალ რეალობაში გაიღვიძა, დადგა დრო, როცა სამყაროში ადამიანმა ვეღარ დაინახა თავისი როლი, ვერ დაინახა, რომ ის, როგორც უმაღლესი ღირებულება აღარ არის საჭირო. იგი ვერ ქმნის რაიმე სასარგებლოს, ზედმეტი ხდება, კარგავს საკუთარი თავის პატივისცემას, რასაც მოჰყვება სხვისადმი პატივისცემის დაკარგვის განცდაც. განშორება, მონატრება, სიკვდილი – ყველაზე მძიმე განცდებია. მერე, ნელ-ნელა განშორება დროის მონაკვეთი ხდება, სიკვდილს ვღებულობთ, როგორც რეალობას, მონატრება თითქოს ცვდება, ილევა და სიცარიელე დგება. ეს ხდება დაცალკევების პირველი ნაბიჯი. ადამიანებისათვის სამყარო უცხო ხდება. არ უნდა გადავიდეს უკანა პლანზე სულიერება, ადამიანები მსოფლიოში მხოლოდ თვითგადარჩენაზე ფიქრობენ და აზროვნებენ. მე არ ვარ ერთიანი მსოფლიოს შექმნის მომხრე, არ მინდა ტრადიციებისა და ეროვნულობის გარეშე ცხოვრება.

პანდემიამ მთელ მსოფლიოს დიდი გაფრთხილება მისცა, სულის ერთგვარი განსაწმენდელი მოგვევლინა, ეს აპოკალიფსი არაა, ეს გაფრთხილებაა. ჩვენ დავინახეთ, რომ იმ ქვეყნებს, რომლებიც თავს ზესახელმწიფოებად მიიჩნევენ და გვკარნახობენ როგორ ვიცხოვროთ, სერიოზული პრობლემები აქვთ და სულაც არ არიან ზესახელმწიფოები. ჩვენ დავინახეთ, რომ დასავლეთი, თითქოს, აღარ

არის ე.წ. აღქმული ქვეყანა, ცხოვრების სრულყოფილი ორგანიზებით, მაღალი კულტურით, განვითარებული და ორგანიზებული მოქმედებით. ევროპა აღარ არის სოლიდური ერთმანეთთან. ეპიდემია გახდა სისტემის დიდი ტესტი და საშუალება სახელმწიფო მმართველობის უნარის შესამოწმებლად. ევროპელობამ ევროპელები ზედმეტად გაანებივრა. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ყველაფერს მარტივად მოაგვარებდნენ – ევროპაცენტრიზმი – ჩვენ ყველაფერში მართლები ვართ! ევროპული ერთიანობა თითქმის დაიშალა, ევროპამ ვერ მოიცალა ერთმანეთისათვის. ევროპელთა უდიდესი ნაწილი მიიჩნევს, რომ ისინი არიან ჭკვიანები, გონიერები, მდიდრები, წარმატებულები. გაჩნდა დიდი ბზარი!!! და დაუდევრობამ მძიმე შედეგები მოუტანა დასავლეთს.

XXI საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში მსოფლიოში დაიწყო განსხვავებული პროცესები, ნგრევის ხელოვნურად გამოწვეული ტალღა, რომელიც ამერიკას და ევროპას ისტორიული კანონზომიერების ბუნებრივ ტალღად მოუბრუნდა და სერიოზულად დაემუქრა არსებული ვითარების შეცვლის მოთხოვნით. გვახსენდება თომას ჯეფერსონის უაღრესად დამაფიქრებელი წინადადება: „შიშით ვცახცახებ ჩემი ქვეყნის მომავლის წინაშე, როდესაც ვფიქრობ, რომ ღმერთი სამართლიანია...“ რა სიურპრიზს უმზადებს მსოფლიოს მომავალი... პროგნოზის გაკეთება ძალიან ძნელია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. არისტოტელე, პოლიტიკა, თბ., 1996, გვ.131;
2. ასათიანი გ., დასავლური პოლიტიკურ-ფოლოსოფიური მოძღვრების ისტორია, თბ., 2003;
3. ნარკვევები ფილოსოფიის ისტორიაში. თბ., 1999, გვ. 79-83;
4. ხოსე ორტეგა ი. გასეტი, მასების ამბოხი, თბ., 1999;
5. https://www.britannica.com/topic/democracy
6. https://www.newyorker.com/news/the-future-of-democracy?verso=true
7. Snyder, Jack, From Voting to Violence: Democratization and Nationalist Conflict (2000)
8. Cammack, Paul A., Capitalism and Democracy in the Third World (1997)

RESUME

MODERN DEMOCRACY - THE NEED FOR TRANSFORMATION AND THE SEARCH FOR A NEW STARTING POINT

Winston Churchill: “Democracy is the worst form of government, except for all the others”

Nino Gomarteli, PHD of History, Professor

Our democracy is in crisis. Democratic government, which is elected by and accountable to its citizens, protects individual rights so that citizens in a democracy can undertake their civic obligations and responsibilities, thereby strengthening the society as a whole. Many institutions of our government are dysfunctional and getting worse. Democracy must be transformed, protected through reforms. This will be a new set of values. «Implanting» into his body, which does not limit his mobility and freedom, on the contrary, binds him, unites and protects him from decay.

ივანე ჯავახიშვილი - სოციალური ისტორიის რეალობის მეცნიერული შესწავლა

მანანა გაგოშიძე -
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ნატალია ბიწაძე -
თელავის ი.გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ივანე ჯავახიშვილის შემოქმედებით მემკვიდრეობაში უპირველეს ყოვლისა ჩვენს ყურადღებას იპყრობს იდეები, რომელიც ძირითადად ისტორიის მიზნისა და მისი მიღწევის გზების თეორიას და მოძღვრების მეთოდებს შეეხება. ისტორიული რეალობის მეცნიერულად შესწავლის პროცესში ივანე ჯავახიშვილის აზრით, მკვლევარი ვალდებულია გაარკვიოს თუ რა ცვლილება განიცადა ისტორიული ფაქტის შესახებ ინფორმაციამ – იქნება ეს ეპოქის, მემატიანის, სოციალური ჯგუფების თუ პიროვნებების ინტერესთა საფეხურის გათვალისწინებით. ისტორიულ წყაროთა კრიტიკისთვის, როგორც ივანე ჯავახიშვილი მიიჩნევს, ეფექტურია შედარებითი მეთოდის გამოყენება. 1908 წელს გაკეთებულ მოხსენებაში თემაზე: "ისტორიის ფილოსოფია და შედარებითი მეთოდი" ივ.ჯავახიშვილი აჩვენებს, თუ რა უპირატესობას ანიჭებს ისტორიულ კვლევას შედარებითი მეთოდით ხელმძღვანელობა. წყაროთა კრიტიკა, მხოლოდ წყაროთა შედარების საფუძველზეა შესაძლებელი. ეს მეთოდი არა მხოლოდ ისტორიის, არამედ ყველა სოციალური მეცნიერების კვლევაშია განმსაზღვრელი.

ივანე ჯავახიშვილის აზრით, შედარებით-ისტორიული მეთოდის საშუალებით არის შესაძლებელი ანალიზი და მოვლენათა სიმრავლის გამაერთიანებელი თუ განმასხვავებელი ნიშნების დადგენა. მკვლევარის აზრით, მეთოდი საშუალებას გვაძლევს განსხვავებათა და იგივეობათა საფუძველზე შევიმუშაოთ სოციალური რეალობის მოდელები და დავაჯგუფოთ ისინი გარკვეულ კლასებად. თუ, მაგალითად, გვინდა გაავანალიზოთ საზოგადოებათა ისტორიული ტიპები, უნდა შევადაროთ სხვადასხვა ეპოქაში არსებული საზოგადოებანი, რომელთა შორის, განმასხვავებელ ნიშანთა საფუძველზე, მოვახდენთ მათ ტიპოლოგიას. შედარებითი მეთოდი სოციალურ პროცესთა შემეცნების საქმეში მეცნიერს ათავისუფლებს პროვინციალიზმისა და საკუთარ თავზე კონცენტრირების საფრთხისაგან. ეს მეთოდი მკვლვარს აიძულებს გავიდეს საკუთარი ეთნოსტრუქტურის სფეროდან, რაც საშუალებას მისცემს, განსაზღვროს საკუთარი და სხვისი ადგილი ეთნოსტრუქტურათა სისტემაში. შედარებითი მეთოდი ასევე ეფექტურ შედეგს იძლევა კულტურათა თუ ხელოვნების ცალკეული დარგების ისტორიის კვლევისას. ისტორიის დიდი მკვლევარი განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებიდა გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობას შედარებითი მეთოდის სახით. 2.

მე-20 საუკუნის დასაწყისში ადამიანი ბიოსოციალურ არსებად მიიჩნეოდა. კვლევის ძირითადი საგანი იყო ადამიანის არსების რაობა და ის, თუ რა ფორმას იღებს ეს არსება სოციალურ გარემოში. ივ. ჯავახიშვილი ამ მიმართულებით განიხილავს საკითხს სამ განზომილებაში: პირველი, სადაც დგინდება ადამიანის არსება და მისი შესაძლებლობანი. მეორე, ადამიანის სოციალურ-ეთიკური იდეალები. ეს იგივე ღირებულებათა სისტემა და ცხოვრების წესი, რომლის არჩევანი ადამიანებზეა დამოკიდებული..

საინტერესოა მკვლევარის აზრი იმასთან დაკავშირებით თუ რა შესაძლებლობას უქმნის ადამიანს ბიოლოგიური ზრდა, რომელიც გამოხატულია მის ასაკობრივ ცვლილებებში. რას უნდა მოველოდეთ და რას უნდა მოვითხოვდეთ უპირველესად

ადამიანისაგან. ივ. ჯავახისვილის აზრით, ადამიანის არსება უპირველეს ყოვლისა მის ინტელექტუალურ უნარშია გამოვლენილი. სწორედ ის, რასაც ძველი ქართველი მოაზროვნეები "გონების ხედვასა და მოსმენას" უწოდებედნენ, გამოყოფს ადამიანს ცხოველთა სამყაროდან და აახლოებს მას ღმერთთან; ყოველივე ეს კი ადამიანურ გრძნობებსაც განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და სპეციფიკას ანიჭებს. ივ. ჯავახიშვილის მტკიცებით, "ადამიანი ითვლებოდა "საკრველად გრძნობადისა და გონიერისა მეფობისად",1. გრძნობადისა და გონიერების, სამყაროსა და ნიჭის შემაერთებლად. ეს თვისება ადამიანს თვით ღვთაების სატებას ამსგავსებდა (დავით აღმაშენებელი "გალობანი სინანულისანი"). ივ. ჯავახიშვილის აზრით, ადამიანის აზროვნების უნარი მოიცავს კომუნიკაციასაც, რამეთუ აზრის სინამდვილე ენა და მეტყველებაა. მკვლევარის მტკიცებით, ენათა კომუნიკაცია ორსახოვანია: მეტყველებითი და უხმო. ეს უკანასკნელი "შინაგანი გონებითი მეტყველების გზით" ხორციელდება, რომელსაც "გონების ენა ერქმეოდა". ენისა და აზროვნების განუყოფლობას ასაბუთებს ავტორი შემდეგ დებულებებში: "გონება ადამიანის საუკეთესო ნიჭი და სამკაულია, იმიტომ რომ "გონება ადამიანის მთელ მოქმედებას განაგებს ფარულად და უხილავად", თვით მეტყველების ნიჭიც ხომ " შობილ არს გონებისაგან" და "სიტყუაი" მხოლოდ იმას "თარგმანებს, რაიცა იყოს გონებასა შინა" როცა კაცი დუმს და "ვიდრემდის არა იშვეს სიტყუაი მისგან", მანამდის აკი არც "არვინ იცის თუ რა არს გულსა მოყვასისა თვისისა". ადამიანის არსებობის ეს ორი ძირითადი ნიშანი- გონიერება და კომუნიკაბელურობა – განსაზღვრავს ყველა სხვა დანარჩენ ღირებულებას. ივ.ჯავახიშვილის აზრით, ადამიანის ზოგადი განსაზღვრულობანი: გონიერება, კომუნიკაბელურობა, მეტყველება ყველა ასაკში ერთნაირად არ ვლინდება.

საინტერესო მასალებს ვპოულობთ ასაკობრივი კონცეფციების შესახებ. მკვლევარი აანალიზებს მომწიფების და ჩამოყალიბების პროცესის გავლენას ადამიანის შესაძლებლობების გამოვლენაზე. ადამიანი სხვადასხვა მიმართულებით ავითარებს თავის უნარებს, იქნება ეს სექსუალური, ინტელექტუალური, პოლიტიკური თუ სხვა სახის საქმიანობა და ყოველ მათგანს ჭირდება შესაბამისი ბიოლოგიური მომწიფებულობა. ადამიანი ისე როგორც ყველა ორგანიზმი წარმოიშობა, იზრდება, ყალიბდება, მწიფდება, ჭარმაგდება, ხანდაზმული ხდება, ბერდება და კვდება. მონაკვეთი ადამიანის დაბადებას და სიკვდილს შორის შეადგენს მისი სიცოცხლის პერიოდს. ადამიანს დიდი დრო სჭირდება სოციალიზაციისათვის. რომლის პროცესში ის ითვისებს სოციალურ ყოფიერებაში მონაწილეობის პრინციპებს, მისი ქცევისა და მოქმედების განმსაზღვრელ ნორმებს და ღირებულებებს. ადამიანს სოციალურ გარემოში დამკვიდრებისათვის სჭირდება აღზრდისა და განათლების მთელი სისტემა. ეს ჯავახიშვილის აზრით, ხანგრძლივი პროცესია, რომელიც სოციალიზაციის სახით მომწიფებულობის ასაკში უნდა მთავრდებოდეს, ფაქტობრივად კი მთელი სიცოცხლე გრძელდება. ასაკს, როგორც ბიოლოგიურ ფენომენს, არსებითი მნიშვნელობა აქვს ადამიანის სოციალურ სამყაროში და სხვა ადამიანებთან დამოკიდებულების თვალსაზრისით. მეცნიერი ქართული ისტორიოგრაფიის წყაროებზე დამყარებით აჩვენებს, რომ ქართული მხატვრული და ისტორიული ცნობიერება ადამიანის ცხოვრებაში ორ ძირითად პერიოდს განასხვავებდა: "ადამიანის სიცოცხლე ორ მთავარ ნაწილად იყოფოდა. პირველ ნაწილს ყრმობა ეწოდებოდა, მეორეს ჰასაკს ეძახდნენ. "ჰასაკი" ქართულში სქესობრივი სიმწიფის ხანითგან იწყებოდა და "ჰასაკად მოსვლაი" ამ სქესობრივ სიმწიფეს ეწოდებოდა". სიმწიფის ასაკი განსხვავებული იყო სქესის მიხედვით. სქესობრივი სიმწიფის ასაკად ქალისთვის განმსაზღვრელი იყო 13 წელი, ვაჟისთვის 15-16. ქართული საერო და საეკლესიო წესები კრძალავდა უასაკოთა დაქორწინებას, რასაც ივანე ჯავახიშვილის აზრით რუის-ურბნისის ძეგლიც

ადასტურებს. მასში ნათქვამია, რომ 12 წლისაზე ნაკლები არ უნდა დაქორწინდეს. სიყრმეში განასხვავებდნენ ორ პერიოდს-ბავშვობასა და ახალგაზრდობას. "ყრმობასაც და ჰასაკსაც, თავის მხრივ ცალ-ცალკე რამდენადმე ნაწილად ჰყოფდნენ ხოლმე და თითოეულ მათგანს საკუთარი სახელი ეწოდებოდა... ადამიანს პირველ წლოვანობისას "ჭაბუკი" ერქვა, მეორე წლოვანობისას "შუა-კაცი", უკანასკნელ ხანში შესულობისას "ბერი". ბერიკაცობის ღრმა მოხუცებულიობის ხანასაც თავისი სახელი ჰქონდა და ამ წლოვანობის ადამიანს "დღეთა სიმრავლითა მომხცოვნებული" ეწოდებოდა- წერს ივ. ჯავახიშვილი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა სიმწიფის, ანუ სიჭარმაგის ასაკი; სრულწლოვანება სხვადასხვა მიმართებაში სხვადასხვა ასაკით განისაზღვრებოდა. ის, რაც სამეფო საქმისათვის სრულწლოვანებად ითვლებოდა, სამხედრო საქმიანობისთვის არ იყო საკმარისი. "ჰასაკი სისრულისა" სხვადასხვა გვარი არსებობდა: - სამოქალაქო, პოლიტიკური, სამხედრო. ივ. ჯავახიშვილი ასკვნის რომ 16 წელი შეიძლებოდა საკმარისად მიეჩნიათ სამეფო საქმიანობისათვის, მაგრამ არა სამხედრო საქმისათვის, რომელსაც როგორც ჩანს, უფრო დიდ ასაკში თუ დაძლევდა ახალგაზრდა. თუმცა ამ ასაკის მეფეს სიბრძნეც მიეწერებოდა და თუ რატომ იყო სიბრძნეზე და სამეფო საქმეზე უფრო მეტი ასაკი საჭირო სამხედრო საქმისთვის, არაა გარკვეული. სამხედრო სრულწლოვანების საწყისად, მკვლევარის თქმით 21-22 წელს მიუთითებენ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მსჯელობა სწავლა-განათლებების ასაკის შესახებ. განათლება ორი მიმართულებით ვითარდებოდა – საეკლესიო და საერო. 8 წლის ასაკში შესაძლებელი ყოფილა სამღვდელმსახურო წიგნების შეგნებული კითხვა. ეს ნიშნავს იმას, რომ ბავშვის სწავლება იწყებოდა 5-6 წლის ასაკიდან. ისე როგორც ევროპელი მოაზროვნეები, განსაკუთრებით ლოკი, თვლიდნენ, რომ ბავშვის ცნობიერება სუფთა დაფაა, რომელზეც რასაც გადასცემ ის დაიწერება, ქართველ მოაზროვნეებსაც შეგნებული ჰქონდათ, რომ ბავშვის ცნობიერება ყოველივეს ადვილად ითვისებს და "ვითარცა ცვილი საბეჭდავსა, ეგრე მიიღებს სწავლულებასაც".

მეორე განასერი, რომელშიც ივ.ჯავახიშვილი ადამიანის არსებას განიხილავს "ადამიანის სოციალურ-ეთიკური იდეალებია". აქ რამდენიმე ფუნდამენტური საკითხია დაყენებული. პირველ რიგში, პიროვნებისა და სოციალური გარემოს მიმართება. სოციალური გარემო, ივ, ჯავახიშვილის აზრით, პიროვნების თავისუფალი ნებელობის ზღვარმდებელია. აქვე განიხილება საზოგადოებისა და პიროვნების იდეალები და ცხოვრებია წესი – თუ რას ესწრაფვის საზოგადოება და პიროვნება, რა არის მათთვის სასურველი და როგორ აისახება ის ზნეობრივ მოძღვრებაში. აქვეა განხილული სოციალური სტრატიფიკაციისა და მობილობის საკითხი – როგორაა საზოგადოება დიფერენცირებული და შეიძლება თუ არა ერთი ფენიდან მეორეში გადასვლა; განიხილება ცხოვრების ორი წესი – საერო და საეკლესიო. შესაბამისად საზოგადოების ორი წოდება – ერისკაცები და მოწესენი. ნაჩვენებია, თუ რა უქმნის პიროვნებას სოციალურ პრესტიჟს. წარსულში სოციალური მოძრაობა, სოციალური დიფერენციაციისა და სოციალური პრესტიჟის თუ პოზიციის მემკვიდრეობითობის გამო, არ იყო თავისუფალი მოძრაობა. ივ. ჯავახიშვილი ქართული სინამდვილის ანალიზის საფუძველზე აღნიშნავს იმ ტენდენციას, რაც მემკვიდრეობით სტატუსთან იყო დაკავშირებული, მაგრამ პარალელურად აღიარებს, რომ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პიროვნების მიერ გამოჩენილ უნარსაც. "უნდა აღინიშნოს, რომ წოდებრივ განაწილებასთან ერთად არსებობდა ორი დიდმნიშვნელოვანი და ძლიერი გარემოება, რომელიც წოდებრიობის გამოისობით შექმნილ განცალკევებას ასე თუ ისე ასუსტებდა და საზოგადოების ცხოვრებას ცვალებადობის კვალს ამჩნევდა. Aამის წყალობით იყო, რომ წოდებრიობა საქართველოში ერთხელ და სამუდამოდ დახშულ და უცვლელ ოდენობას არ წარმოადგენდა და როგორც ამაღლება "აღზევება", ისევე დამდაბლება

და “ჩამომცრობა” შეიძლებოდა”- წერდა მკვლევარი.

ორი ფაქტორი, რომელიც ერთი შეხედვით ამ ჩაკეტილ თუ დახშულ წოდებრივ საზოგადოებაში შესაძლებელს ხდიდა ვერტიკალურ მობილობას, როგორც აღზევების, ისე დაცემის თვალსაზრისით, ივ.ჯავახიშვილის თქმით, შემდეგია: პირველი,ადამიანის პირადი ღირსების შედეგია მის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის კარგად შესრულება. საპირისპირო შემთხვევაში მისი პრესტიჟი დაეცემოდა. როცა “სამსახური წოდებრიობას ღირსებას უმატებდა და ამაღლებდა, ადამიანს “საპატიო” და “საჩინო” პიროვნებად ხდიდა”. მეორე გარემოება კი ქონებრივი მდგომარეობა იყო. ქონების შენარჩუნებისა და გამრავლების შემთხვევაში ადამიანის სტატუსი თუ არ მაღლდებოდა, არ ეცემოდა. უმეტეს შემთხვევაში კი ამაღლებას განიცდიდა, მაგრამ თუ ქონებას ვერ შეინარჩუნებდა, კეთილშობილური წარმოშობა ვერ შველოდა და მისი პრესტიჟი გლეხის დონეზე ჩამოქვეითდებოდა.

თუ რამდენად მნიშვნელოვნად მიაჩნდა ივ.ჯავახიშვილს საზოგადოების წოდებრივი იერარქიისათვის ქონების ფაქტორი, გამოვლინდა იმაშიც, რომ მან სპეციალური ნაშრომი შექმნა საქართველოს ეკონომიკურ ისტორიაზე. სამსახურებრივი ფაქტორის მნიშვნელობაც ასეა გააზრებული, რომ ერთი და იმავე წოდებას ადამიანები, იმისდა მიხედვით შინაკაცად ითვლებოდნენ თუ სამსახურშიც იყვნენ, განსხვავებულ სოციალურ სტატუს ფლობდნენ. ვინც მსახურობდა, ის უფრო მაღალი სოცილაური პრესტიჟის მქონე იყო, ვიდრე იმავე წოდების მატარებელი შინაკაცი. ადამიანის სოციალური პრესტიჟის განმსაზღვრელ ფაქტორებს ივ. ჯავახიშვილი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს არა მარტიო ადამიანის ნამსახურობის, უნარის და საზოგადოებრივ საქმიანობაში თავის გამოჩენის, არამედ იმ კრიტერიუმის მიხედვითაც, რა კრიტერიუმითაც უდგებოდგნენ ადამიანს სხვადასხვა ფორმაციულ საზოგადოებებში, რომელშიც “ უმთავრესი მნიშვნელობა ადამიანის პირად კაცურ თვისებებს-მამაცურ სიქველეს, განუსაზღვრელ სიყვარულს და უმწიკვლო ერთგულებას ჰქონდა.”

გამოყენებული ლიტერატურა

1. ი.ჯავახიშვილი - თხზ.თორმეტი ტომი (IVტ).1993 წ. თსუ,თბილისი
2. ე.კოდუა - ივ. ჯავახიშვილის სოციოლოგიური და ისტორიის ფილოსოფიური ძიებანი, თბ.თსუ, 1997 წ.

რეზიუმე

მანანა გაგოშიძე - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ნატალია ბიწაძე - თელავის ი.გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ივანე ჯავახიშვილის შემოქმედებით მემკვიდრეობაში უპირველეს ყოვლისა ჩვენს ყურადღებას იპყრობს იდეები, რომელიც ძირითადად ისტორიის მიზნისა და მისი მიღწევის გზების თეორიას და მოძღვრების მეთოდებს შეეხება. ისტორიული რეალობის მეცნიერულად შესწავლის პროცესში ივანე ჯავახიშვილის აზრით, მკვლევარი ვალდებულია გაარკვიოს თუ რა ცვლილება განიცადა ისტორიული

ფაქტის შესახებ ინფორმაციამ - იქნება ეს ეპოქის, მემატიანის, სოციალური ჯგუფების თუ პიროვნებების ინტერესთა საფეხურის გათვალისწინებით. ივ. ჯავახიშვილი აჩვენებს, თუ რა უპირატესობას ანიჭებს ისტორიულ კვლევას შედარებითი მეთოდით ხელმძღვანელობა. წყაროთა კრიტიკა, მხოლოდ წყაროთა შედარების საფუძველზეა შესაძლებელი. ეს მეთოდი არა მხოლოდ ისტორიის არამედ ყველა სოციალური მეცნიერების კვლევაშია განმსაზღვრელი.

RESUME

Manana Gagoshidze - Sokhumi State University

Natalia Bitsadze - I. Gogebashvili Telavi State University

In the creative legacy of Ivane Javakhishvili, first of all, our attention is drawn to the ideas, which mainly concern the theory of the purpose of history and the ways of its achievement, and the methods of doctrine. In the process of scientifically studying the historical reality, according to Ivane Javakhishvili, the researcher is obliged to find out how the information about the historical fact has changed - be it according to the epoch, historian, social groups or interests of individuals. Iv. Javakhishvili shows the advantages of historical research over comparative leadership. Criticism of sources is possible only on the basis of comparison of sources. This method is defining not only in the study of history but in all social sciences.

მეწარმეობის საწყისი საფუძვლები საქართველოში (დიმიტრი მაჩხანელის დაბადებიდან 160 წლისთავის გამო)

ვაჟა ნადირაშვილი

დაბადებიდან 160 წელი შესრულდა მე-19 საუკუნის მეწარმის და ქველმოქმედის, საზოგადო მოღვაწის და მწერლის დიმიტრი მაჩხანელის - ნადირაშვილის დაბადებიდან.

დიმიტრი ნადირაშვილი-მაჩხანელის ბიუსტი

იგი დაიბადა სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო მაჩხაანში 1861 წლის 11 იანვარს.

სოფელი ქვემო მაჩხაანი ქიზიყის მხარის ძირძველი სოფელია. ისტორიული წყაროები ადასტურებენ, რომ იგი სტრატეგიული და ყველა მნიშნელოვანი მოვლენის ეპიცენტრი იყო. აქ თავმოყრილმა სავაჭროებისა და სახელოსნოების უმრავლესობამ სოფელს მნიშვნელოვანი ფუნქცია შესძინა. მის ირგვლივ განლაგებული სოფლების მაცხოვრებლები აქტიურად იყვნენ ჩართულები ქვემო მაჩხაანის საზოგადოებრივ, ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაში. ეწყობოდა ხელოსანთა, მევენახეთა, მეცხვარეთა ერთობლივი კრებები. ისინი ერთიანი ძალით აარსებდნენ მაღაზიებს და საამქროებს არა მარტო ამ სოფელში, არამედ მის გარეთაც. ეს გახდა საფუძველი იმისა, რომ 1895 წელს, ქვემო მაჩხაანში დაარსდა ამიერკავკასიაში პირველი სავაჭრო-სახელოსნო დეპო. ეს ფაქტიურად ორგანიზაციულ-სამართებლივი ფორმით იყო პირველი კოოპერატივი. იმ პერიოდში გაზეთი ,,ივერია“ იუწყებოდა, რომ 1884 წელს ქვემო მაჩხაანში გაიმართა ქიზიყელთა ერთობლივი კრება და დაფუძნდა სახალხო დეპო-ბანკი. დეპო-ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს ამ საქმის ინიციატორი და დამაარსებელი დიმიტრი ნადირაშვილი, წევრებად მასწავლებელი დ. ჯავრიშვილი, პროვიზორი ს. კურცხალია და ვაჭარი ი. მატიაშვილი. რევიზიის წევრებად მღვდლები ი. ტუკუშაშვილი, ა. ბენაშვილი, ვ. ღვთისავარიშვილი და ვაჭარი ა. ნადირაძე (სავარაუდოდ ნადირაშვილი, ამ სოფელში ნადირაძეები არ ცხოვრობდნენ).

1895 წელს ააშენეს დეპო-ბანკისათვის შენობა. ათთვიანი მუშაობის შედეგად საწყისი 9030 მანეთით უვაჭრიათ 40529 მანეთის და მოგება ყოფილა 4398 მანეთი. აქედან წესდების თანახმად გამოურიცხავთ 20% საქველმოქმედოდ და 20% ძირი თანხის გასადიდებლად. აარსებენ დედაქალაქში ღვინის, მატყლის, თამბაქოსა და სხვა ნაწარმის მაღაზიებს, ასევე შალის, ხურჯნებისა და ფარდაგის საფეიქროებს.

იზრდება ადგილობრივი დუქნების რიცხვი. საქველმოქმედო საქმიანობის ფარგლებში 1901 წელს შეუძინეს მოსახლეობას ფქვილი, ვინაიდან იმ წელს გვალვა და მოუსავლიანობა იყო.

დეპო-ბანკის თავმჯდომარემ დ. ნადირაშვილმა დაამყარა კონტაქტები საფრანგეთის სავაჭრო კოპერატივებთან. შემოიტანა საქონელი, დაასაქმა მოსახლეობა და ხელი შეუწყო ვაჭრობის განვითარებას.

შიო მღვიმელი, დიმიტრი ნადირაშვილი-მაჩხანელი, ვაჟა-ფშაველა

როგორც ირკვევა ქვემო მაჩხაანში განათლებული და აქტიური ახალგაზრდობა იყო. მეწარმეობის განვითარებასთან ერთად ხორციელდებოდა საზოგადოებრივ-კულტურული ღონისძეებები. იმართებოდა სპექტაკლები, კომედიური და საცეკვაო წარმოდგენები ადგილობრივი ძალებით. ისინი თბილისშიდაც მართავდნენ წარმოდგენებს. ეს ღონისძიებები იმართებოდა საზოგადოებრივი დაწესებულებების გახსნისათვის თანხის შესაგროვებლად, საქველმოქმედოდ, ღარიბი და სნეული სტუდენტების დასახმარებლად. ვისაც ბილეთების ფული არ ჰქონდა უფასოდ ასწრებდნენ სპექტაკლებს.

მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქვემო მაჩხაანში 1891 წელს სამკითხველოს გახსნა, ანუ როგორც მაშინ უწოდებდნენ ქართული წიგნსაცავი. იმ პერიოდში სიღნაღის მაზრაში წიგნის შეძენა შეუძლებელი იყო. ამისათვის თბილისში უნდა ჩასულიყვნენ. ამიტომ 1889 წელს სოფელში გაიხსნა წიგნის მაღაზია.

1894 წელს სოფელში იხსნება აფთიაქი და მასთან ერთად საავადმყოფოც.

საგანმანათლებლო დაწესებულებებსაც აქცევდნენ დიდ ყურადღებას. 1894 წელს გაიხსნა სამკლასიანი სახელოსნო სასაწვალებელი. ამავე პერიოდში დაარსეს ,,საერო სამინისტრო სკოლა“ ორი მიმართულებით - სახელოსნი და სამეურნეო განყოფილებებით.

1895 წელს ადგილობრივმა მცხოვრებმა ქეთევან ზარაფიშვილმა გასხნა კერძო მოსამზადებელი სასწავლებელი. 1898 წელს გაიხსნა ქალთა სკოლა.

გაზეთი ,,ივერია“ იუწყებიდა, რომ დიმიტრი ნადირაშვილმა საქალებო სკოლას გადასცა საკუთარი შენობა-ადგილი. ამ სკოლაში დაწყებით სწავლასთან ერთად ჭრა-კერვასაც და რთვა-ქსოვასაც ასწავლიდნენ.

როგორც ზევით აღინიშნა ქვემო მაჩხაანის ახალგაზრდობა აქტიურად დგამდა სპექტაკლებს. შემოსული თანხები გროვდებოდა და შედეგიც გამოიღო. ათწლიანი შრომის შედეგად შესაძლებელი გახდა 1899 წელს ქვემო მაჩხაანში დასრულებულიყო თეატრის მშენებლობა. ეს იყო ერთ-ერთი პირველი თეატრი საქართველოში. აღსანიშნავია, რომ მას მოძრავი სცენა ჰქონდა. თეატრმა საკუთარი დასიც შექმნა და მართავდა როგორც ადგილობრივ ისე გასვლით სპექტაკლებს.

მემორიალური დაფა

ყოველივე ამ საქმეებში დიდი წვლილი მიუძღვის დიმიტრი ნადირაშვილს-

მაჩხანელს. სამწუხაროდ ბევრს ადგილზე მისი გვარი მოხსენიებულია როგორც ნადირაძე.

დიმიტრი ნადირაშვილი-მაჩხანელის საფლავის ქვა

საქართველოს საისტორიო არქივის საეკლესიო წიგნში ნაწერებით ირკვევა, რომ დიმიტრი ნადირაშვილი დაიბადა 1861 წლის 11 იანვარს ქვემო მაჩხაანში. მისი საფლავის ქვა გვაუწყებს: ,,აქ განისვენებს სოფელ ქვემო მაჩხაანის მკვიდრი მწერალი და საზოგადო მოღვაწე დიმიტრი ნადირაშვილი-მაჩხანელი. 1861-1903 წწ“. სოფელ ქვემო მაჩხაანში დგას დიმიტრი მაჩხანელის ბიუსტი.

არსებობს მემორიალური დაფა, რომელზედაც წერია: ,,მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ დიმიტრი ნადირაშვილმა-მაჩხანელმა 1895 წლის 23 თებერვალს სოფელ ქვემო მაჩხაანში დაარსა სავაჭრო დეპო“.

დიმიტრი ნადირაშვილი-მაჩხანელი სწავლობდა მოსკოვში. იყო მოსკოვის უნივერსიტეტის თავისუფალი მსმენელი. იყო მწერალი, პუბლიცისტი. 1880 წელს გამოსცა ლექსების პირველი კრებული “ახალი სიზმარი.” მისი მოთხრობები, პიესები, პუბლიცისტური წერილები იბეჭდებოდა ქართულ პრესაში-”ივერიაში,” “მოამბეში”, “აკაკის კრებულში”, “ჯეჯილში” და სხვა ჟურნალ-გაზეთებში.

1887 წელს გამოქვეყნდა მისი წიგნი “ძმური სიტყვა”, რომელიც ადრე პუბლიცისტური ფელეტონების სახით იბეჭდებოდა “ივერიაში.”

დიმიტრი ნადირაშვილი-მაჩხანელი განიცდიდა ხალხოსნების გავლენას. ძირითადი ფსევდონიმის გარდა წერდა “თერგდალეულის”, “მთადიდელის”, “ლახვარაძის”, ფსევდონიმებით. დიმიტრი ნადირაშვილის-მაჩხანელის ზოგიერთი ლექსი იქცა სიმღერად - “ ჩემს საყვარელ სამშობლოს”, “ვედრება”, “ლურჯავ მოდი, ნუ ხარ მტრულად”. მუსიკა ამ სიმღერებისთვის ეკუთვნის ნიკოლოზ სულხანიშვილს. დიმიტრი ნადირაშვილს-მაჩხანელს მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ილია ჭავჭავაძესთან, აკაკი წერეთელთან, ვაჟა-ფშაველასთან, შიო მღვიმელთან და სხვებთან.

დიმიტრი ნადირაშვილი-მაჩხანელი გარდაიცვალა 1903 წელს 42 წლის ასაკში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კრებული - ,,ინიციატივა ცვლილებებისათვის, თვითორგანიზებისა და თანამშრომლობის გამოცდილება საქართველოში, საბჭოთა ოკუპაციამდე“. -თამარ სიხარულიძე-სოფელი ქვემო მაჩხაანი-ქიზიყის კულტურულ-ეკონომიური ცენტრი.
2. ინტერნეტ-პუბლიკაცია-დიმიტრი მაჩხანელი.

რეზიუმე

ქიზიყის მხარის სოფელი ქვემო მაჩხაანი ერთ-ერთი პირველი იდგა მეწარმეობისა და ბიზნესის განვითარების სათავეებთან. ამ სოფელში 1895 წელს დაარსდა პირველი სავაჭრო-სახელოსნო დეპო. ეს იყო ფაქტიურად პირველი კოოპერატივი საქართველოში. ასევე დაფუძნდა დეპო-ბანკი. ქვემო მაჩხაანი გადაიქცა ქიზიყის მხარის სავაჭრო-სამრეწველო და კულტურულ ცენტრად. აქ განვითარებული იყო ლიტერატურული

და კულტურული სფეროც, რომელიც ვითარდებოდა ადგილობრივი ბიზნესის ფინანსური ბრუნვით. ამ საქმეების ორგანიზატორი და აქტიური მონაწილე იყო მეწარმე და ქველმოქმედი, საზოგადო მოღვაწე და მწერალი, პუბლიცისტი და პოეტი დიმიტრი ნადირაშვილი-მაჩხანელი, რომელსაც მიმდინარე წელს დაბადებიდან 160 წელი შეუსრულდა.

RESUME

The village of Kvemo Machkhani in the Kiziki region was one of the first to stand at the forefront of entrepreneurship and business development. The first Trade-Workshop Depot was established in this village in 1895. It was literally the first cooperative in Georgia. A depot bank was also established. Kvemo Machkhani has become the trade-industrial and cultural center of Kiziki region. The literary and cultural spheres were also developed here, developing with the financial turnover of local businesses. The organizer and active participant of these works was entrepreneur and philanthropist, public figure and writer, publicist and poet Dimitri Nadirashvili-Machkhaneli, who turned 160 this year.

მეწარმეობის საწყისი საფუძვლები საქართველოში (დიმიტრი მაჩხანელის დაბადებიდან 160 წლისთავის გამო)

ნიაზ ბოლქვაძე
ფილოსოფოსი, ფილოსოფოსთა საზოგადოებისა და საქართველოს
მწერალთა კავშირის წევრი, ბაშკირეთის შ. რუსთაველის სახელობის
ეროვნული კულტურის ცენტრისა და ბაშკირეთის ქართველთა
სათვისტომოს საპატიო პრეზიდენტი, საქველმოქმედო
ფონდის ,,წინაპართა მემკვიდრეობის გადასარჩენად“
დამფუძნებელი და თავმჯდომარე

უძველესი და ანტიკური ხანის ეგვიპტური, ხეთური, ბერძნული, ურარტული და სხვა ისტორიული წერილობითი წყაროები მოწმობენ საყოველთაოდ გავრცელებულ აზრს იმის შესახებ, რომ ძველი კოლხური ტომები - ხალიბები რკინის პირველი მწარმოებლები იყვნენ. ანუ მადნიდან გამოდნობის წესით რკინის მიღება დედამიწაზე პირველად ჩაისახა და იწყო განვითარება შავიზღვისპირეთში, ძველ კოლხეთში.

1959-2000 წლებში მთელი კოლხეთის ტერიტორიაზე უძველესი კოლხური რკინის სადნობი სახელოსნოების აღმოჩენამ, რომლებიც ყველაზე ძველი კოლხური ძეგლებია და თარიღდებიან ძვ.წ. XIII-VII საუკ. (მდ. ჭოროხის, ჩაქვის წყლის, ჩოლოქის, სუფსა-გუბაზეულის, ხობი-ოჩხომურის აუზებში და სხ.) ნივთიერი მტკიცებულებებით დაადასტურეს ზემოაღნიშნული ისტორიული წერილობითი წყაროებით გაბატონებული აზრი იმის შესახებ, რომ საქართველო რკინის წარმოების ისტორიული სამშობლოა.

ძვ.წ. XII საუკუნიდან დასავლეთ ამიერკავკასია უკვე წარმოადგენდა რკინა-ფოლადის მწარმოებელ მთავარ რეგიონს, მაშინ როდესაც ძველი სამყაროს ცივილიზებული ქვეყნებისათვის რკინის წარმოება უცხო იყო.

ცივილიზაციის განვითარების გზაზე ასეთი დიდი გარდატეხა არ იყო შემთხვევითი. მას წინ ბრინჯაოს მეტალურგიის მდიდარი გამოცდილება ედო საფუძვლად. საბადოებით მდიდარი ამიერკავკასია იზოლირებული ვერ იქნებოდა მსოფლიო ისტორიული პროცესებისაგან. კოლხეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ძველი მელითონეებიც ჩართული იყვნენ წინააზიური კულტურების განვითარების ერთიან სისტემაში.

წინაპართა ამ უდიდესი ღვაწლის დამადასტურებელი ნივთიერი მტკიცებულებები, ძველი კოლხური რკინის სადნობი სახელოსნოები, რომელთა აღმოჩენებსაც აკადემიკოსმა ნიკო ბერძენიშვილმა აღფრთოვანებით ,,დიდი საქმის დასაწყისი“ უწოდა, (1964 წ.) საბოლოო განადგურების რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდა.

უძველეს ქართველთა დიადი წარსული, კოლხური რკინის მეტალურგიის ისტორია სამუდამო დაკარგვის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა.

მუზეუმებში დაცულ ათასობით სხვადასხვა სახის ექსპონატების გვერდით რკინის წარმოების ნიმუშები ვერ ახდენენ იმ შთაბეჭდილებას მნახველზე, როგორიც შეიძლება მოახდინოს უძველესმა, დედამიწაზე ერთ-ერთი პირველი ისტორიული რკინის სადნობი სახელოსნოების ნახვამ.

ზემოაღნიშნული მდგომარეობიდან გამომდინარე თანამოაზრეებთან ერთად ჩემთვის შესაძლებელი გახდა კოლხეთის სხვადასხვა მხარეს მდ. ჩაქვის წყლის, მდ. ჭოროხის და მდ. ჩოლოქის აუზებში უფლის ნებით, სასწაულებრივად ჯერ კიდევ

უვნებლად შემორჩენილი, დაკარგული ისტორიული კოლხური მეტალურგიის კერების მოძიება, ტერიტორიების შემოღობვა, გადარჩენა და დაცვა. მათ შორის ჩაქვის ჩაისუბნის ისტორიულ რკინის სადნობ სახელოსნოს 2019 წლის ნოემბერში უძრავი მატერიალური კულტურის ძეგლის სტატუსი მიენიჭა. მიმდინარეობს მუშაობა დანარჩენ ძეგლებთან მიმართებაში.

ამ ნაშრომით შევეცდები იმ ისტორიული მოვლენების ახსნას, რომელიც ყურადღების მიღმა იყო დარჩენილი, არასწორი წარმოდგენა დამკვიდრდა მასზე და დღემდე პასუხს მოელოდა.

საქმე ეხება მეტად საინტერესო ისტორიულ ფაქტს: თუ როგორ იყო შესაძლებელი ძველი კოლხეთის მართველებისთვის საუკუნეების მანძილზე რკინის წარმოების ტექნოლოგიის საიდუმლოდ დაცვა, მაშინ, როცა საქართველოს უკვე მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ჰქონდა მაშინდელ მსოფლიოს ცივილიზებულ ქვეყნებთან, ასევე იყო სხვა ათასი დაუპატიჟებელი მომხდური თუ მოგზაური. ამის ერთ-ერთი მაგალითია არგონავტების მოგზაურობა საქართველოში, რომელთა მთავარ მიზანს უპირველესად სწორედ, რომ რკინის წარმოების საიდუმლოების მოპოვება წარმოადგენდა. ამ აზრის ჭეშმარიტებას უნდა მოწმობდეს ჩვენს წინაშე არსებული ერთ-ერთი ის რეალური ისტორიული ფაქტი, რომ ჩოლოქისა და ჩაქვის რკინის სადნობი სახელოსნოები არგონავტების საქართველოში მოგზაურობის დროს (დაახ. ძვ.წ. XIII-XI საუკ.) მოქმედი ობიექტები იყო, სადაც რკინის წარმოება იწყებდა განვითარებას. ამ დროისათვის როგორც ძვ. ხეთური და ბერძნული წყაროები მოწმობენ რკინა ოქროზე 10-ჯერ მეტად ფასობდა.

ოქროს საწმისი კი მატერიალურად მდიდარი კოლხეთის სიმბოლო იყო, რომელმაც მაშინდელი სამყაროს შემოქმედებით წრეებში პოეტურად ასახვა ჰპოვა...

ისტორიული ფაქტები მოწმობენ, რომ კოლხი მეტალურგების მიერ რკინის წარმოების ტექნოლოგიის საიდუმლოება მრავალი საუკუნის მანძილზე მტკიცედ იყო დაცული.

ძვ. წ. XII საუკუნიდან დასავლეთ ამიერკავკასია, კერძოდ კოლხეთი წარმოადგენდა რკინა-ფოლადის მწარმოებელ მთავარ რეგიონს. მანამდე ქართველ მეტალურგებს, ბრინჯაოს ხანიდან სხვა ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების უკვე ათასწლოვანი გამოცდილება ჰქონდათ, სადაც ბუნებრივია შემდგომ უკვე რკინის ნაწარმი და თვით რკინის მასალა გაჰქონდათ. ზემოაღნიშნულიდან ისმება მთავარი კითხვა: სხვადასხვა ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების, ასევე სხვა ათასგვარი შემოსევებისა და მომხდურების ფონზე, როგორ ხერხდებოდა საუკუნეების მანძილზე რკინის მეტალურგიის წარმოების საიდუმლოების დაცვა?

ისტორიის ამ დარგის სპეციალისტთა შორის გავრცელებული არის აზრი იმის შესახებ, რომ ისტორიული რკინის სადნობი სახელოსნოები საიდუმლო წარმოება იყო, მაგრამ ჩემს ხელთ არსებულ წერილობით წყაროებში ამის შესახებ არსად არ არის გაკეთებული განმარტება.

ჩემს მიერ დასმულ კითხვაზე, თუ რატომ იყო საიდუმლო წარმოება იქ, იმ ტერიტორიაზე, სადაც არის განთავსებული მივიღე შემდეგი პასუხი:

,,მეტალურგებს საწვავი მასალის ადგილზე მოპოვება და მაგნეტიტური ქვიშის ზღვის სანაპიროდან მოტანა უფრო უადვილდებოდათ, ვიდრე პირიქით, საწვავი მასალის შორს გადატანა“.

ასეთი პასუხი, ჩაქვის, ჩაისუბნის ისტორიული სახელოსნოს და მისი შემოგარენი ტერიტორიის დათვალიერებისას თავიდანვე საეჭვოდ მეჩვენა. თანდათან ვრწმუნდებოდი, რომ მას სიმართელსთან არავითარი კაშვირი არ ჰქონდა, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ საწვავი ხის მასალა, რომელიც რკინის წარმოებისათვის ამ

მხარეში გამოიყენებოდა: წყავის, შკერის, წაბლის, რომელიც მაღალ ტემპერატურას (დახ.1600 გრადუსზე მეტს) იძლევა, ზემოაღნიშნულ მთავარი მდინარეების ზღვის შესართავთანაც ახლოს, სადაც მადანი-მაგნეტიტური ქვიშა მოიპოვებოდა საკმაოდ უხვად იქნებოდა. ამ ხის ჯიშების კვალი ამ ტერიტორებზე დღესაც საკმაოდ კარგად შეიმჩნევა.

ამდენად ეს ვერსია, რომლიც დღემდე იყო დამკვიდრებული თავიდანვე გამოირიცხა, პასუხი სხვაგან უნდა მეძია.

ამ პრინციპიდან გამომდინარე, ჩაქვის ჩაისუბნის შემდეგ ჩოლოქის და ჭოროხის აუზებში განთავსებული ისტორიული რკინის სადნობი სახელოსნოების მიმდებარე ტერიტორიების დათვალიერების, ამასთან ერთად რუკაზე სადაც ისტორიული სახელოსნოები არის განთავსებული ყურადღებით დაკვირვების შედეგად უძველეს კოლხთა რკინის წარმოების საიდუმლოდ შენახვის სქემა ჩვენს წინაშე მთელი თავისი სინამდვილით იშლება:

რკინის სადნობი სახელოსნოები კოლხეთის ტერიტორიაზე განთავსებული იყო ერთიდაიგივე, კარგად გააზრებული საერთო პრინციპით. მაგ. ისტორიული რკინის სადნობი სახელოსნო, რომელიც ითვლება ჩაქვის წყლის აუზის სახელოსნოდ, არ არის განთავსებული მთავარ მდინარეზე - ჩაქვის წყალზე. იგივე მდგომარეობაა მდ. ჩოლოქზე, მდ. ჭოროხზე, მდ. სუფსაზე , მდ. ხობზე და სხვაგან.. არამედ იგი განთავსებულია ზღვის შესართავიდან მთავარი მდინარის გასწვრივ, რამდენიმე კილომეტრის (დახ. 4-7 კმ.) გავლის შემდეგ ერთი რომელიმე პატარა შენაკადით შიგნით, პატარა ხეობაში, შენაკადი მდინარის განაპირად, დაბურულ ტყეში. იგი მთლიანად ჩაფლული იყო ზღვასა და მთებს შორის არსებულ ხეობებს შორის არსებულ პატარა ხეობებში.

უძველეს დროში, კოლხეთის ტერიტორიაზე საქალაქთაშორისო და საერთაშორისო მთავარი სახმელეთო გზა გადიოდა ზღვისპირად, ასევე გარკვეულ ადგილებზე იყო საზღვაო ტრანსპორტისათვის მისადგომები- ნავსაყუდელები. პარალელურად იყო მეორე გზა-სამთო ბილიკებით, რომელიც კოლხეთში შემავალ ჭოროხის, ჩაქვის და სხვა მდინარეთა ხეობებს აკავშირებდა ერთმანეთთან. სამივე გზებით: საზღვაო, ზღვისპირა და სამთო ბილიკებით მიმავალი მგზავრისათვის რკინის წარმოების სახელოსნოები იყო უხილავი, დაფარული. როგორც უკვე ვთქვით იგი მთლიანად ჩაფლული იყო ზღვასა და მთებს შორის ასრებულ ხეობების შიგნით არსებულ პატარა ხეობებში.

უცხო მგზავრი ვინც მოგზაურობისას გადაკვეთავდა მთავარ მდინარეს, ან კიდევ შეჩერდებოდა ამ მიდამოებში და შეუყვებოდა მთავარ მდინარეს ზღვის შესართავიდან მის სათავეებამდე, (ან პირიქით) ვერაფერს შენიშნავდა. მაგრამ თუ ის მდინარის შენაკადებით ხეობის სიღრმეებში, გაუვალ ტყეებში დაიწყება მოგზაურობის გაგრძელებას, რაც უკვე აშკარა ინტერესს ავლენდა რაღაცის მიმართ, მაშინ მათთვის ეს მოგზაურობა უდავოდ საბედისწერო აღმოჩნდებოდა. (შესაძლებელია მთავარ მდინარეზე, მაღალ მთებში სადმე ყოფილიყო განთავსებული რკინის სადნობი სახელოსნეობი, მაგრამ იგი აუცილებლად იქნებოდა მოცილებული დასახლებული პუნქტებისაგან და უხილავი, დაფარული და მიუწვდომელი მგზავრებისათვის.)

ზემოგანხილულისსაფუძველზეშეიძლებაგაკეთდესშემდეგიდასკვნა:ხეობები, სადაც განთავსებული იყო რკინის სადნობი სახელოსნოები, ეს იყო აკრძალული ზონები, დახურული ხეობები თავისი საგუშაგოებით, კარგად ორგანიზებული თავდაცვითი სისტემით, სადაც დაუპატიჟებელი ,,სტუმარი“ სიკვდილით ისჯებოდა, რათა არ გაეტანა საიდუმლო ინფორმაცია რკინის წარმოების ადგილმდებარეობის შესახებ. მსგავსი მაგალითები მოიპოვება სხვადასხვა ერის ცხოვრებიდან, მაგ. ტიბეტის

ისტორიიდან. როგორც ცნობილია ტიბეტი საუკუნეების მანძილზე XVIII საუკუნის ბოლომდე იზოლირებული იყო გარე სამყაროსაგან. მისი არსებობის შესახებ მხოლოდ მითებითა და ლეგენდებით იყო ცნობილი. დაუპატიჟებელი მგზავრი, ვინც ტიბეტში აღმოჩნდებოდა მათი კანონის თანახმად სიკვდილით ისჯებოდა, რათა არ გაეტანა ამბავი ტიბეტის შესახებ.

როგორც ჩანს მხოლოდ ასე შეეძლოთ უძველეს ქართველ წინაპრებს ამ უდიდესი სტრატეგიული დანიშნულების, ახალი აღმოჩენის - მადნიდან გამოდნობის წესით რკინის მიღების საიდუმლოების თითქმის 1000 წლის მანძილზე დაცვა.

როგორც ცნობილია რკინის ათვისების ადრეული ეტაპი საქართველოში აღინიშნება ძვ.წ. XIII-XI საუკუნეებით.

რკინის წარმოების განვითარებული ეტაპი აღინიშნება ძვ.წ. X-VIII საუკუნეებით.

ამიტომ, რკინა იშვიათი ფუფუნების საგანს წარმოადგენდა. პირველ ხანებში იგი რკინის არა მწარმოებელი ქვეყნებისათვის საუველირო ნაკეთობებისათვის და ფუფუნების საგნებისათვის გამოიყენებოდა. რკინისაგან ამზადებდნენ სამეფო რეგალიებს, რკინის ნივთებით, რომელიც ოქროზე მეტად ფასობდა, აჯილდოვებდნენ გმირებს:

ეგვიპტის ფარაონის ამენჰოტეპ III-ის და ეხნატონის არქივში მოპოვებული წერილობითი წყაროები (ძვ.წ. XV-XIV საუკ.) პირველია, რომელიც მოგვითხრობს კოლხეთში რკინის წარმოების შესახებ, კერძოდ: კოლხეთის მართველს ეგვიპტის ფარაონისათვის მონა ქალებთან ერთად საჩუქრად რკინის ხანჯლები და ბეჭდები გაუგზავნია;

,,რადგან მხოლოდ ყოგი, ბაშანის მეფე იყო დარჩენილი რეფაიმთა მოდგმიდან... აჰა, მისი საწოლი, რკინის საწოლი“... მოგვითხრობს ბიბლია ამის შესახებ (ბიბლია, წიგნი მეხუთე, 3.11).

ბიბლიაში აღწერილი ეს ისტორია მოციქულ მოსეს მოღვაწეობის ხანაა (ძვ.წ. XIII საუკ). ბიბლიაში მოცემული ისრაელიანების ისტორიის პარალელურად იგივე ეპოქაში, ჰომეროსის ,,ილიადა“, აქ აღწერილი ტროას ომი ასევე ადასტურებს, რომ ამ დროისათვის ბერძნებისთვისაც უცხოა რკინა. ისინი მთლიანად აღჭურვილნი არიან ბრინჯაოსა და სპილენძის იარაღით. მათ აქვთ რკინის ნივთები, მაგალითად სპროტული ასპარეზობისათვის რკინის ,,ბადრო“, მაგრამ იგი გმირ აქილევს ბრძოლებში გამარჯვებით მოუპოვებია:

,,პელიატმა მოყმეთ შესთავაზა ბადრო რკინისა,
მას წინათ მძლავრი ეტიონი ტყორცნიდა ხოლმე,
როცა ის მოკლა აქილევსმა, ფეხმარდმა გმირმა,
სხვა საუნჯესთან ერთად ბადროც წამოუღია“ - აღნიშნავს ჰომეროსი.

არა მხოლოდ შორი ქვეყნებისათვის, არამედ საქართველოს უახლოესი მეზობელი ხალხისათვისაც უცხო იყო რკინის წარმოების საიდუმლოება, რაც კიდევ უფრო ზრდიდა ინტერესს კოლხეთის მიმართ. ისტორია ამის შესახებ მოგვითრობს, რომ ურარტუს მეფე სარდურ II-ეს დაულაშქრავს კოლხეთის ქვეყანა, აუღია მათი სამეფო ქალაქი და ამ გამარჯვების აღსანიშნავად აქაური ხელოსნებისთვის უბრძანებია რკინის ბეჭდის დამზადება...

ძვ. წ. VIII სუკუნეში შავი ზღვის სანაპიროზე, რომელთა საკმაოდ დიდი ნაწილიც კოლხეთის ტერიტორიაზე მოდიოდა 100-ზე მეტი ბერძნული კოლონია-დასახლება იყო. მათ ჰქონდათ მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ადგილობრივ მოსახლეობასთან, მაგრამ მათთვის, როგორც ჩანს რკინის წარმოების ტექნოლოგიის საიდუმლოების მოპოვება მიუხედავად მრავალსაუკუნოვანი ინტერესისა, რასაც ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე არგონავტების ისტორია კარგად მოწმობს, შეუძლებელი

ხდებოდა, კოლხების მიერ რკინის წარმოების კერების დახურულ ხეობებში, აკრძალულ ზონებში ზემოთ აღნიშნული პრინციპით განთავსების შედეგად.

ეს ისტორიული ძეგლები (ძვ. წ. XIII-VII საუკ.) რომლებიც ნივთიერი მტკიცებულებებით ადასტურებენ, რომ საქართველო, ძველი კოლხეთი რკინის წარმოების ისტორიული სამშობლოა დღეს ჩვენს წინაშეა! იგი ქართული და ზოგადსაკაცობრიო კულტურული მონაპოვარია, რომელსაც სათანადო გაფრთხილება, მოვლა-პატრონობა, აღიარება და დაფასება ჭირდება!

გამოყენებული ლიტერატურა

1. დავით ხახუტაიშვილი. სამტომეული, ტ.,II, ბათ., 2009, გვ.187
2. გურია. მხარის კვლევა-ძიების შედეგები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. არქეოლოგიური კვლევის ცენტრი. თბ., 2001, გვ. 45
3. ამირან კახიძე. უძველესი მეტალურგიის ახლადა ღმოჩენილი კერები აჭარაში. საქართველო-უძველესი მეტალურგიის კერა. ბათუმი 2019, გვ.14
4.ირინე ტატიშვილი. ლითონი ხათურ ლექსიკაში, საქართველო უძველესი მეტალოგენური კერა, ბათ., 2019 წ., გვ. 144
5. იური სიხარულიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა. 1958წ. წიგნი 1, გვ. 91
6. გივი ინანიშვილი, ნოდარ ფოფორაძე. ამიერკავკასიაში რკინა-ფოლადის უძველესი წარმოების არქეოლოგიურ-ტექნოლოგიური ასპექტები. საქართველო, უძველესი მეტალურგიის კერა. ბათ, 2019 წ. გვ. 93.
7. ჰომეროსი. ილიადა, ქება ოცდამესამე. თბ., 1979, გვ. 517
8. დავით ხახუტაიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ.179

რ ე ზ ი უ მ ე

ამიერკავკასიაში უძველესი მეტალურგიის კერების აღმოჩენისა და შესწავლის მხრივ თითქმის საუკუნის მანძილზე ქართველი და უცხოელი მეცნიერების მიღწევების შედეგად ძალიან მნიშვნელოვანი შრომები მოგვეპოვება.

უძველესი და ანტიკური ხანის წერილობითი წყაროები ადასტურებენ საყოველთაოდ გავრცელებულ აზრს იმის შესახებ, რომ მადნიდან გამოდნობის წესით რკინის მიღება დედამიწაზე პირველად ჩაისახა და იწყო განვითარება საქართველოში, ძველ კოლხეთში.

1959-2000 წლებში მთელი კოლხეთის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილმა რკინის სადნობმა სახელოსნოებმა, რომლებიც თარიღდებიან ძვ.წ. XIII-VII საუკ. ნივთიერი მტკიცებულებებით დაადასტურეს ზემოაღნიშნული აზრი იმის შესახებ, რომ საქართველო რკინის წარმოების სამშობლოა.

დღეს ჩვენს წინაშე მდ. ჭოროხის, მდ. ჩოლოქის და ჩაქვის წყლის აუზებში დაცული უძველეს კოლხთა რკინის სადნობი სახელოსნოების სახით, ისტორიულ წერილობით წყაროებთან ერთად საკმარისი ნივთიერი მტკიცებულებები გაგვაჩნია იმისათვის, რომ საქართველო ,,იუნესკოს“ წინაშე წარსდგეს როგორც რკინის უპირველესი მწარმოებელი მსოფლიოში. მსოფლიოს ხალხთა დიდ ატლასზე საქართველო ვაზის სამშობლოსთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნას რკინის წარმოების ისტორიულ სამშობლოდ!

RESUME

As a result of the achievements of Georgian and foreign science in the discovery and study of ancient metallurgical centers in the Transcaucasia for almost a century, we will find very important works.

Ancient and ancient written sources confirm the common belief that the extraction of iron from the ore was first introduced to the earth and began to develop in Georgia, in ancient Colchis.

Archaeological excavations in the territory of Colchis in 1959-2000 revealed iron smelting workshops dating back to BC XIII-VII centuries. The above-mentioned opinion that Georgia is the homeland of iron production was confirmed by material evidence.

Today in front of us is the river. Chorokhi, river. In the form of ancient Colchian iron smelting workshops preserved in the Choloki and Chakvi water basins, we have sufficient material evidence along with historical written sources In order for Georgia to be presented to UNESCO as a first iron manufacturer in the world. At the Great Atlas of the Peoples of the World, Georgia should be presented together with the homeland of vines as the historical homeland of iron production!

მცირე და საშუალო საწარმოებში ბუღალტრული აღრიცხვის თავისებურებები COVID-19 დროს

მანანა მჭედლიშვილი
ეკონომიკის დოქტორი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

შესავალი. სამეწარმეო სექტორი, განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ეკონომიკის განვითარებაში. ძლიერი და კარგად განვითარებული მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ექსპორტს, ინოვაციებს, თანამედროვე სამეწარმეო კულტურის შექმნას და ამავე დროს, განსაკუთრებულ როლს ასრულებს ქვეყნის კეთილდღეობის დონის ამაღლებაში. განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, მცირე და საშუალო საწარმოები საწარმოების მთლიანი რაოდენობის 90%-ზე მეტს წარმოადგენენ, თუმცა მათი წილი მშპ-ში ხშირ შემთხვევაში 20%-ზე ნაკლებია. საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოებზე მოდის მოქმედი საწარმოების უდიდესი ნაწილი, მათი წვლილი მშპ-ში ძალიან დაბალია. საშუალოა საწარმო, რომელშიც წლიურად დასაქმებულთა რაოდენობა მერყეობს 20-დან 100 დასაქმებულამდე და რომლის წლიური ბრუნვა არ აღემატება 1,5 მლნ. ლარს. მცირეა საწარმო, რომელშიც წლიურად დასაქმებულთა რაოდენობა არ აღემატება 20-მდე დასაქმებულს და რომლის წლიური ბრუნვა არ აღემატება 500 ათას ლარს.

ძირითადი ნაწილი. მას შემდეგ, რაც COVID-19 მთელ მსოფლიოში გავრცელდა, ჩვენი ცხოვრებისა თუ მუშაობის წესი მკვეთრად შეიცვალა. ამგვარ გარემოში, ერთი თვე შეიძლება მარადისობად მოგვეჩვენოს. თუმცა, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (მსს), ერთი თვე თვალის დახამხამებაში იწურება. საშუალო ტიპის კომპანიას, რომელსაც 500-ზე ნაკლები თანამშრომელი ჰყავს, ფულადი რეზერვები მხოლოდ თვეზე ნაკლებ ხანს ჰყოფნის. ძნელბედობის ჟამს, ყოველი გასული დღე მორიგი ნახტომივითაა ფინიშის ხაზისკენ, რომლის გადაკვეთაც არც ერთ მათგანს სურს. ამიტომაცაა, რომ მცირე და საშუალო საწარმოებს, რომლებიც მსოფლიო ბიზნესის 90 პროცენტზე მეტს წარმოადგენენ, COVID-19-მა შეუსაბამოდ დიდი დარტყმა მიაყენა.

მცირე ბიზნესი განსაკუთრებული წნეხის ქვეშ მოექცა კორონავირუსის პანდემიის პირობებში შემცირდა მოხმარება, წარმოება და ვაჭრობა. იმის გამო, რომ აკრძალვები დაწესდა მგზავრობაზე, ღონისძიებების გამართვაზე და ა.შ. მცირე საწარმოები მსხვილ ორგანიზაციებთან შედარებით გაცილებით ძლიერი გამოწვევების წინაშე დგანან შეჩერებული ან შემცირებული სამომხმარებლო შესყიდვების და ფულადი ნაკადების თვალსაზრისით. მცირე და საშუალო ბიზნესის თითქმის 60% აღნიშნავს, რომ სამომხმარებლო შესყიდვები შეჩერდა ან შემცირდა. აღნიშნული გარემოება გავლენას ახდენს მცირე და საშუალო საწარმოების აღრიცხვასა და ფინანსური და მმართველობითი ანგარიშგების შედგენაზე. თითოეულმა საწარმომ უნდა გააანალიზონ, კონკრეტულად როგორ მოქმედებს შექმნილი სიტუაცია საწარმოზე. მნიშვნელოვანია, რომ ფინანსური და მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესში მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმოს „საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენების“ ანალიზს. კორონავირუსით გამოწვეული მოვლენები მაკორექტირებელი მოვლენებია ნებისმიერი საანგარიშგებო პერიოდისთვის. ასევე საწარმოებმა ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა განიხილონ: სააღრიცხვო შეფასებები, რეალური ღირებულების შეფასებები, აქტივების გაუფასურება; მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებები (მათ შორის დებიტორები); სესხის ხელშეკრულების შემზღუდავი

პირობები (კოვენანტები), წამგებიანი ხელშეკრულებების დებულებები.

ამჟამად, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს სხვადასხვა ხერხით თავიანთი ფულადი ნაკადების გარკვეული დონის შენარჩუნება - მათ უხდებათ ზოგიერთი გადაწყვეტილების მიღება - გასწიოს დამატებითი, გაუთვალისწინებელი შრომა თუ აიყვანოს დამატებითი თანამშრომლები, მაშინ როდესაც დაზუსტებით არაა ცნობილი ისინი შესაბამის ანაზღაურებას მიიღებენ თუ არა. საწარმოებს არ სურთ ანაზღაურების მყისიერად მოთხოვნის საფუძველზე დაძაბულობა შექმნან და გარისკონ კლიენტების დაკარგვით. თუმცა ამავე დროს არ სურთ ანაზღაურების მიღებასთან დაკავშრებით თვითონვე აღმოჩნდნენ რაიმე გაურკვევლობაში.

ანაზღაურებასთან დაკავშირებით მათ შეუძლიათ:

-შეიმუშავონ ყოველთვიური გადახდების სქემა/გრაფიკი

- სთხოვოთ კლიენტებს, გადახდები განახორციელონ მცირე ოდენობით და უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში

მცირე და საშუალო საწარმოებს ფულადი ნაკადების შენარჩუნებაში დაეხმარება აქტიურობა ინტერნეტთან და სოციალურ მედიასთან, Facebook ჯგუფები არის ის სივრცე სადაც სასურველია მუდმივად თვალყური ადევნონ სამთავრობო განცხადებებს, მუდმივი კავშირი იქონიონ კლიენტებთან და დაინტერესებულ პირებთან, მით უფრო რომ საუკეთესო დროა ონლაინ სივრცეში ახალი კავშირების მოსაძიებლად.

ყველა კომპანიამ საკუთარი გარემოებების გათვალისწინებით უნდა მიიღოს გადაწყვეტილებები, მცირე და საშუალო ფირმებმა უნდა იხელმძღვანელონ სამი ძირითადი პრინციპით.

პირველი პრინციპია — სანდო ურთიერთობების გაღრმავება. რამდენადაც საწარმოთა უმეტესობა დისტანციურად მუშაობაზე გადაერთო, ხოლო ციფრული სისტემები გაზრდილი სიმძლავრით ოპერირებენ, კლიენტებთან კავშირის დამყარება უბრალო სატელეფონო ზარით ან ელექტრონული ფოსტითაც კი გახდა შესაძლებელი.

მეორე პრინციპი — სწრაფად მოქმედებაა. ამ ეტაპზე, სისხარტე და მოქნილობა მათთვის გადამწყვეტი იქნება. ისეთ გარემოში, სადაც ინფორმაცია არასტაბილურია და ყველაფერი ყოველდღიურად იცვლება, მცირე და საშუალო საწარმოებმმა კლიენტების საჭიროებები წინასწარ უნდა განჭვრიტონ და შესაბამისად იმოქმედონ. მაგალითად, აშშ-ში, Goldman Sachs-ის მიერ ჩატარებულმა გამოკითხვამ ცხადყო, რომ მცირე და საშუალო მეწარმეთა 67%-მა არ იცის, თუ როგორ მოიპოვოს ან მოითხოვოს გადაუდებელი ფინანსური დახმარება. ასეთ მდგომარეობაში მყოფ მცირე და საშუალო საწარმოებს პროაქტიური დახმარება სჭირდებათ. მაგალითად, ეს ნიშნავს, რომ მცირე და საშუალო პრაქტიკის მქონე ფირმებმა მათთვის ცნობილი ინფორმაცია კლიენტებს უნდა გაუზიარონ, მიუხედავად იმისა, რომ ეს ცნობები შეიძლება უეცრად შეიცვალოს. ასევე პროფესიონალმა ბუღალტრებმა ფინანსურ მონაცემებთან დაკავშირებული მოსაზრებები მკაფიოდ და გასაგებად უნდა შესთავაზონ კლიენტებს, ისე, რომ მეწარმეებმა გააცნობიერონ რაოდენ მნიშვნელოვანია მათი მომდევნო გადაწყვეტილებები.

მესამე პრინციპია — ახალ გარემოსთან ადაპტაცია. ფირმებმა დღესვე უნდა დაიწყონ ფიქრი იმაზე, თუ როგორ განავითარებენ თავიანთ საოპერაციო მოდელებს. აუცილებელია ისეთი ტექნოლოგიის ფლობა, რომელიც უზრუნველყოფს ფირმის წევრების კავშირს ერთმანეთთან და კლიენტებთან. ასევე მნიშვნელოვანია, მუშაობის განახლებული წესი, რაც შეიძლება გულისხმობდეს უფრო მოქნილ სამუშაო გრაფიკს და პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების უფრო მეტ შესაძლებლობას. ამასთანავე, მცირე და საშუალო პრაქტიკის მქონე ფირმებმა უნდა

იფიქრონ თითოეულ ცალკეულ კლიენტზე მორგებული, ბიზნეს საკონსულტაციო მომსახურების რაოდენობის გაზრდაზეც.

ასევე დღეს, ბუღალტრები მცირე და საშუალო საწარმოებს უნდა დაეხმარონ მათთვის ხელმისაწვდომი რესურსების გაშიფვრაში და საოპერაციო მოდელების შეცვლაში. რესტორნები, რომლებიც მზა კერძების გატანის სერვისზე გადავიდნენ, სავარაუდოდ სჭირდებათ რჩევები ონლაინ გადახდებთან დაკავშირებით. საცალო მაღაზიებს შეიძლება დასჭირდეთ დახმარება ელექტრონული კომერციის გაძლიერებასა და ტრადიციულ ვაჭრობასთან დაკავშირებულ ხარჯთა შემცირებაში.

დასკვნა. დღეს წარმოუდგენლად მძიმე პერიოდია ყველა ტიპის ბიზნესისთვის, მაგრამ მათთვის, ვინც მცირე და საშუალო საწარმოების კატეგორიას მიეკუთვნება, იგი განსაკუთრებით ბუნდოვანია. მაგალითად, ჩინეთის მრეწველობისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამინისტროს მონაცემების თანახმად, ჩინეთის მსხვილი საწარმოების 98.6%-მა აღადგინა მუშაობა, მაშინ, როდესაც ეს მცირე და საშუალო საწარმოების მხოლოდ 76.8%-მა მოახერხა. მთელ მსოფლიოში, მცირე და საშუალო ბიზნესს სანდო ბუღალტერების რჩევა-დარიგება სჭირდება, რომლებსაც შეუძლიათ თავიანთ კლიენტებს რეალურ დროში მიაწოდონ უახლესი ინფორმაცია და ამასთანავე, დაეხმარონ მათ სრულიად განსხვავებული კურსის დაგეგმვაში, მომავალი წლისათვის და მის შემდგომაც. მცირე და საშუალო საწარმოების მიერ გულწრფელი ურთიერთობების განვითარებაზე ზრუნვა, სწრაფი, მაგრამ ჭკვიანური გადაწყვეტილებებისა და ახალი საოპერაციო მოდელების მიღება იმაზეც იმოქმედებს, თუ როგორ აღიქმება ბიზნესი მომავალში.

სერტიფიცირებული საჯარო ბუღალტრები და გლობალური მენეჯმენტის ნაფიცი ბუღალტრები მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენენ. რაც ბიზნესს და ჩვენს გლობალურ ეკონომიკას სჭირდება კრიზისის დასაძლევად და აღსადგენად.

საერთო ჯამში, მცირე და საშუალო საწარმოები უდიდეს შესაძლებლობას ქმნიან განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური და სოციალური განახლებისთვის. უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ საბაზრო სფერო არაა საკმარისი ამ პოტენციალის გამოსაყენებლად. საჭიროა პოლიტიკის მთელი სისტემა, რომელიც: შექმნის ინსტიტუტებს მცირე და საშუალო საწარმოების მხარდასაჭერად (მაგ. დამსაქმებელთა ასოციაციები); გააუმჯობესებს საერთო გარემოს (მაგ., ინფრასტრუქტურა, ფინანსები, განათლება); მოახდენს სოციალურ განახლებას (მაგ., სახელფასო მოლაპარაკებები სექტორებში, კარგი სამუშაო პირობები);

საქართველოს მთავრობა ეკონომიკური განვითარების პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მცირე და საშუალო მეწარმეობას და მიზნად ისახავს სამეწარმე გარემოს შემდგომ სრულყოფას, რაც ხელს შეუწყობს COVID-19-ის პირობებში მცირე და საშუალო საწარმოების ზრდას და განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1.დევისი ა. როგორ შეუძლიათ ბუღალტრებს კლიენტების სირთულეების მქონე ფირმების დახმარება COVID-19 პანდემიის პერიოდში. 19 ნოემბერი. 2020

2.არნოლდი კ. კრიზისის ჟამს-მცირე ბიზნესს მცირე საბუღალტრო ფირმები სჭირდება. 14 მაისი.2020.

3.ჰანსიორგ ჰერი და ზეინეპ ნეტეკოვენი მცირე და საშუალო საწარმოების როლი განვითარების პროცესში. ოქტომბერი 2019.

4.საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის.

5.საქართველოს კანონი „ბუღლტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“,

8 ივნისი 2016 წ. N5386-II ს.
6.www.geostat.ge
7.www.saras.gov.ge

რეზიუმე

დღეს წარმოუდგენლად მძიმე პერიოდია ყველა ტიპის ბიზნესისთვის, მაგრამ მათთვის, ვინც მცირე და საშუალო საწარმოების კატეგორიას მიეკუთვნება, იგი განსაკუთრებით ბუნდოვანია. სამეწარმეო სექტორი, განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ეკონომიკის განვითარებაში. ძლიერი და კარგად განვითარებული მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ექსპორტს, ინოვაციებს, თანამედროვე სამეწარმეო კულტურის შექმნას და ამავე დროს, განსაკუთრებულ როლს ასრულებს ქვეყნის კეთილდღეობის დონის ამაღლებაში. მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს სხვადასხვა ხერხით თავიანთი ფულადი ნაკადების გარკვეული დონის შენარჩუნება. მთელ მსოფლიოში, მცირე და საშუალო ბიზნესს სანდო ბუღალტერების რჩევა-დარიგება სჭირდება, რომლებსაც შეუძლიათ თავიანთ კლიენტებს რეალურ დროში მიაწოდონ უახლესი ინფორმაცია და ამასთანავე, დაეხმარონ მათ სრულიად განსხვავებული კურსის დაგეგმვაში, მომავალი წლისათვის და მის შემდგომაც. მცირე და საშუალო საწარმოების მიერ გულწრფელი ურთიერთობების განვითარებაზე ზრუნვა, სწრაფი, მაგრამ ჭკვიანური გადაწყვეტილებებისა და ახალი საოპერაციო მოდელების მიღება იმაზეც იმოქმედებს, თუ როგორ აღიქმება ბიზნესი მომავალში.

საერთო ჯამში, მცირე და საშუალო საწარმოები უდიდეს შესაძლებლობას ქმნიან განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური და სოციალური განახლებისთვის. უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ საბაზრო სფერო არაა საკმარისი ამ პოტენციალის გამო- საყენებლად. საჭიროა პოლიტიკის მთელი სისტემა, რომელიც: შექმნის ინსტიტუტებს მცირე და საშუალო საწარმოების მხარდასაჭერად (მაგ. დამსაქმებელთა ასოციაციები); გააუმჯობესებს საერთო გარემოს (მაგ., ინფრასტრუქტურა, ფინანსები, განათლება); მოახდენს სოციალურ განახლებას (მაგ., სახელფასო მოლაპარაკებები სექტორებში, კარგი სამუშაო პირობები);

საქართველოს მთავრობა ეკონომიკური განვითარების პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მცირე და საშუალო მეწარმეობას და მიზნად ისახავს სამეწარმე გარემოს შემდგომ სრულყოფას, რაც ხელს შეუწყობს COVID-19-ის პირობებში მცირე და საშუალო საწარმოების ზრდას და განვითარებას.

SUMMARY

PECULIARITIES OF ACCOUNTING IN SMALL AND MEDIUM ENTERPRISES DURING COVID-19.

The entrepreneurial sector, especially small and medium enterprises, play an important role in the development of the economy. The strong and well-developed small and medium-sized enterprise sector significantly contributes to exports, innovations, the creation of a modern entrepreneurial culture and at the same time, plays a special role in raising the level of prosperity of the country. Small and medium-sized firms should be guided by three basic principles: deepening trustworthy relationships, acting fast, adapting to a new environment. The Government of Georgia attaches special importance to small and medium enterprises in the process of economic development and aims to improve the entrepreneurial environment, which will contribute to the growth and development of small and medium enterprises under COVID-19.

სასტუმრო პროდუქტის თავისებურება და მარკეტინგის სტრატეგია

ნინი აქიმიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბიზნეს ტექნოლოგიების ფაკულტეტის დოქტორანტი

საკვანძო სიტყვები
სასტუმრო. პროდუქტი. განთავსება. მომსახურება. სპა. კონცეფცია. ღამისთევა. კვება. კურორტი. კლასიფიკაცია. ტიპოლოგია. ეკონომიკური. სასიცოცხლო. ციკლი. სპეციფიკური. ფიზიკური. ობიექტები. ადგილი. ორგანიზაცია. იდეები. მიწოდება. მოხმარება. დრო. სივრცე. რეკრეაციულ-სამკურნალო. კომპონენტები. გაყიდვა. მომხმარებელი. მოთხოვნა. მოდიფიცირება. ბაზარი. მწარმოებელი. კონკურენცია. მაღალელასტიურობა. ტრანსაქციური. ხარჯები. წარმოება. რეალიზაცია. დრო. სივრცე. კაპიტალუკუგება. ალტერნატიული. ღირებულება. ბაზარი. კატეგორია. მარკეტინგი. სტრატეგია. განსაზღვრა.

ძირითადი ტექსტი

სასტუმრო პროდუქტი გარკვეული პერიოდის განმავლობაში მომსახურების თვალსაზრისით განიხილებოდა როგორც - განთავსების საშუალებათა და კვებითი მომსახურების ერთობლიობა. თუმცა, მსოფლიოში ახლად გაბატონებულმა ,,სპა“ (SPA - SANUS PER AQUA) რაც ნიშნავს ,,ჯანმრთელობა წყლის საშუალებით“ კონცეფციამ, გარკვეულწილად შეცვალა აქამდე არსებული სასტუმრო მომსახურების სტანდარტული ფორმა, რამაც უფრო გაამდიდრა, მრავალმხრივი და სრულყოფილი გახადა მისი პროდუქტის სახე, სადაც ჩვეულებრივ ღამისთევასა და კვებას დაემატა მრავალი სხვადასხვა ელემენტი.

კონცეფცია ,,სპა“ ძირითადად განვითარდა 21-ე საუკუნიდან და ზოგიერთის აზრით, იგი წარმოიშვა ბელგიური ქალაქი სპა-დან, რომელიც საკურორტო ზონაში მდებარეობს. ასეთ სასტუმროებში არის დასასვენებელი, მინერალური და თერმული წყლების საშუალებით პროცედურების ჩატარების ადგილები, ტრენაჟორები, მასაჟის სხდასხვა ფორმები, გართობის ელემენტები, სილამაზის სალონები და სხვ.

,,სპა” სასტუმროებმა უნდა უზრუნველყონ სასტუმროს თითოეული სტუმრისათვის ინდივიდუალური მიდგომა დაკავშირებული ადამიანის დასვენებისა და მოვლის პროგრამებთან და სადაც, ჩადებულია სტუმრის როგორც ფსიქოლოგიური, ისე ფიზიკური მაქსიმალური დაკმაყოფილების ხარისხი. გამომდინარე აქედან, სასტუმროს ეს პროდუქტი ძვირია და შესაძლოა ასეც აიხსნას - ,,ეს არის სხეულისათვის აუცილებელი სერვისი და ფუფუნების ერთგვარი ჭარბი სიხშირე“.

ამჟამად, ,,სპა” სასტუმროების გამოკვეთილი კლასიფიკაცია არ არსებობს, თუმცა, შესაძლოა პირობითად დაიყოს იგი ქალაქური, საგარეუბნო, რომანტიკული და სხვა ტიპოლოგიის მიხედვით. ამჟამად, მრავალი კოსმეტიკული კომპანია ანვითარებს სპეციალურ კოსმეტიკურ საშუალებებს სპას პროცედურებისათვის და სადაც, გამოყენებულია ზღვის წყალის, მარილისა და წყალმცენარეების საფუძველზე დამზადებული პრეპარატები. მაგრამ, ,,სპა” სასტუმროების სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის მაინც მიზანშეწონილია ასეთი ობიექტები მდებარეობდეს ბუნებრივი, სამკურნალო რესურსების არეალში.

ზემოთ აღნიშნული დამოკიდებულებიდან გამომდინარე სასტუმროს პროდუქტი შესაძლოა შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: იგი არის ობიექტის, ღამის

თევის, კვებისა და მიზნობრივი მომსახურების ერთობლიობა. სხვა განმარტებით, იგი არის ერთობლიობა ყველაფრის რაც შეიძლება შესთავაზოს ბაზარზე სასტუმრო პროდუქტის მწარმოებელმა მომხმარებელს.

სასტუმრო პროდუქტი თავისი არსით ძირითადად ეკონომიკური შინაარსის მატარებელია, მაგრამ გააჩნია რიგი თავისებურებანი. ეს მჟღავნდება პროდუქტის სასიცოცხლო ციკლში, სასტუმრო პროდუქტთან დაკავშირებით კაპიტალის წრებრუნვასა და ბრუნვის თავისებურებებში და სხვ.

სასტუმრო პროდუქტის სპეციფიკური განსხვავება სხვა დარგების პროდუქტისაგან შეიძლება გამოიხატოს შემდეგში:

1) იგი მოიცავს ფიზიკურ ობიექტებს, მომსახურებას, ადგილს, ორგანიზაციას და იდეებს;

2) მისი მიწოდება და მოხმარება დროში და სივრცეში ძირითადად ერთმანეთს ემთხვევა;

3) ხანდახან ხასიათდება სეზონურობით, გეოგრაფიული თავისებურებებით, რესურსების მრავალფეროვნებით და ა.შ.;

4) იგი არ არის დაკავშირებული ისეთ ცნებებთან როგორიცაა: გადაზიდვა, დაგროვება, მალფუჭება და ა.შ.;

5) შეიძლება წინასწარ გაიყიდოს მხოლოდ დასახელებით;

6) შესაძლოა დამატებით გააჩნდეს ესთეტიკური, გასართობი, შემეცნებითი, რეკრეაციულ-სამკურნალო ან მათი კომბინაციური შემადგენელი კომპონენტები;

7) იგი შეიძლება აისახოს სარეკლამო მასალებში, განთავსდეს ელექტრონულ საშუალებებში წინასწარი გაყიდვის დროს;

8) სასტუმრო პროდუქტის შემადგენელი ნაწილი შესაძლოა ადრე იყოს შექმნილი, ვიდრე თვით პროდუქტი იქმნება მთლიანობაში;

9) სასტუმრო პროდუქტი განსხვავებით სხვა დარგის პროდუქტისაგან შესაძლებელია უფრო ადვილად იქნას მოდიფიცირებული მომხმარებლის მოთხოვნის თანახმად;

10) ბაზარზე გატანილმა სხვადასხვა მწარმოებლის მიერ შექმნილმა, სხვადასხვა შემადგენლობის სასტუმრო პროდუქტმა შესაძლოა მწარმოებლებს შორის კონკურენცია წარმოშვას. მაგალითად, ბაზარზე ერთდროულად შესაძლოა გატანილ იქნას სხვადასხვა შემადგენლობის (დასვენება მთაში ან ზღვაზე) სასტუმრო პროდუქტი, რომლებზედაც მოთხოვნა მაღალელასტიურია. სანამ მომხმარებელი აირჩევს რომელიმე მათგანს, მწარმოებლებს შორის კონკურენცია იარსებებს ანუ თითოეული პროდუქტი აწყდება კონკურენციას;

11) სასტუმრო პროდუქტისაგან განსხვავებით, ეკონომიკის სხვა დარგების პროდუქტს თითქმის ყველას გააჩნია ტრანსაქციური ხარჯები. ვინაიდან სასტუმრო პროდუქტის წარმოება და რეალიზაცია დროში და სივრცეში ძირითადად ერთმანეთს ემთხვევა, ტრანსაქციური ხარჯები იქნება მინიმალური. გამომდინარე აქედან, სასტუმრო პროდუქტის კაპიტალუკუგების ვადა იქნება მცირე და რეალურად ამცირებს სასტუმრო პროდუქტის ალტერნატიულ ღირებულებას.

ამგვარად, სასტუმრო პროდუქტი განსხვავდება სხვა დარგების პროდუქტისაგან, ხასიათდება რიგი სპეციფიკურობით, ფიზიკურად და მორალურად არ ძველდება, ხანგრძლივი დროის განმავლობაში შეიძლება მრავალგზის იქნას გამოყენებული, ბაზრიდან გავარდნის შემთხვევაში ფასების მანიპულირების საშუალებით შეუძლია რამდენჯერმე კვლავ დაბრუნდეს ბაზარზე და განაგრძოს თავისი სასიცოცხლო ციკლი. გარდა ამისა, მას სხვა სახის პროდუქტისაგან განსხვავებით ბაზარზე დასაბრუნებლად არსებითად არ ესაჭიროება კაპიტალდაბანდებები ძვირადღირებული ტექნოლოგიური

ხაზების გადასაიარაღებლად, რაც გარკვეულწილად ამცირებს მის თვითღირებულებას. გამომდინარე აქედან, სასტუმრო პროდუქტის წარმოების გაფართოებას ძალუძს მაღალი ეფექტიანობით ჩაანაცვლოს ქვეყნის მომსახურების იმპორტი – ექსპორტით, რაც გაზრდის მულტიპლიკაციის ეფექტს მთლიანად ეკონომიკისათვის.

სასტუმრო ბაზრის დაგეგმვა წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს ტურიზმის დარგის საერთო განვითარების პროცესში და აუცილებელია განხორციელდეს ადგილობრივი და უცხოელი ვიზიტორებისათვის.

სასტუმრო ბაზართან დაკავშირებული მარკეტინგის სტრატეგია შედგება რამდენიმე ძირითადი მიმართულებისაგან – მარკეტინგის მიზნების განსაზღვრისაგან, სტრატეგიის შემუშავებისაგან, სარეკლამო-საინფორმაციო პროგრამების მომზადებისა და რეალიზაციისაგან. მარკეტინგის მიზნები პირდაპირ დაკავშირებულია ბაზრის მიზნებთან, რომელიც შესაძლებელია განისაზღვროს მაქსიმუმი 5 წლის ვადით და მასში უნდა აისახოს შესაბამისი პოტენციურ სტუმართა ტიპების დაახლოებითი რაოდენობა, ქვეყანაში მათი ყოფნის საშუალო ხანგრძლივობა, ობიექტის გამტარუნარიანობა და სხვა მახასიათებლები. სასტუმრო ობიექტების მარკეტინგის მიზნები შესაძლებელია დაკავშირებული იყოს ბაზრის ტიპების შეცვლასთან, მაგ. ორიენტაციის შეცვლა უფრო მაღალხარისხიან ან სპეციალიზირებულ ბაზრებზე. Aასეთი მიდგომა ბუნებრივია გამოიწვევს სასტუმრო პროდუქტის შესაბამის ცვლილებებს დაკავშირებულს – მომსახურების ხარისხთან და ფასთან.

მარკეტინგის სტრატეგია მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

- მარკეტინგის ბუნება – მიზანმიმართული იმ სასტუმროთა სტუმრების კატეგორიაზე რომელთაც გააჩნიათ საერთო ინტერესები ან მიზანმიმართულნი არიან ბაზრის სპეციფიკურ სახესხვაობაზე. გამომდინარე აქედან, ცნობილი ხდება ძირითადი, დამატებითი და შემთხვევითი ბაზრები;
- პრიორიტეტული სარეკლამო – საინფორმაციო ღონისძიებები მიმართული სასტუმრო ბაზრის სხვადასხვა სეგმენტზე;
- სარეკლამო – საინფორმაციო საქმიანობის ძირითადი მეთოდები რომლებიც გამოყენებულ უნდა იქნას სასტუმროების მიერ თავიანთი პოტენციური მომხმარებლისათვის;
- დაგეგმვა დროში ან სარეკლამო – საინფორმაციო ღონისძიებების პრიორიტეტების განსაზღვრა, განსაზღვრული ბაზრის ტიპებისათვის. დაგეგმვა დროში შესაძლებელია დამოკიდებული იყოს სასტუმრო ობიექტების ექსპლუატაციაში შესვლის ვადებზე;
- მარკეტინგის ზემოქმედების შეფასება განვითარების მსხვილ პროექტებზე, ქვეყნისათვის ან მისი რომელიმე რეგიონისათვის;
- ქვეყნის ღირსშესანიშნაობებისა და დასვენების ორგანიზაციის ფორმების, ასევე სხვა პოტენციური შესაძლებლობების ჩამონათვალი;
- სასტუმრო ობიექტების, მომსახურების, შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და პოტენციალის შეფასება;
- მოთხოვნის დონისა და გამტარუნარიანობის პოტენციალის განსაზღვრა;
- ქვეყნის ღირსშესანიშნაობების შედარება ბაზრის პოტენციურ სეგმენტებთან;
- სასტუმრო ბაზრების სპეციფიკური კატეგორიების განსაზღვრა.

საერთოდ, მარკეტინგის სტრატეგიის განსაზღვრა უნდა შეესაბამებოდეს ქვეყანაში როგორც ტურიზმის დარგის, ისე სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების მოცემულ ვადებს. იგი დროთა განმავლობაში უნდა გადაისინჯოს იმ მოტივით თუ როგორი ტემპებით ვითარდება ქვეყანაში სასტუმრო ინდუსტრია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. JOHN R. WALKE INTRODUCTION TO HOSPITALITY (7TH EDITION). 2020.
2. PHILIP T. KOTLER, JOHN T. BOWEN, JAMES MAKENS PH.D. MARKETING FOR HOSPITALITY AND TOURISM (6TH EDITION). 2017.
3. ANDREW WOOD. THE HOTEL AND RESORT MARKETING BIBLE PAPERBACK. 2017.

დასკვნა

სტატიაში განხილულია სასტუმრო ინდუსტრიის ახალი კონცეფციის („სპა“) მიმართულების ძირითადი ასპექტები და მისი დადებითი მხარეები. სასტუმრო პროდუქტის თავისებურებები და განსხვავებები სხვა სახის პროდუქტთან მიმართებაში. სასტუმრო ბაზრების ძირითადი მიზნების დამოკიდებულების თავისებურებები პოტენციურ სტუმართა ტიპებთან, მათ ქვეყანაში ყოფნის ხანგრძლიობასთან და გამტარუნარიანობასთან მიმართებაში. სასტუმროების ფუნქციონირებისათვის აუცილებელი მარკეტინგის სტრატეგიის განსაზღვრა და ძირითადი ასპექტების გამოყოფა.

ABSTRACT

HOTEL PRODUCT FEATURES AND MARKETING STRATEGY

NINO AKIMISHVILI

Georgian Technical University
Faculty of Business-Technology
P.H. Candidate

The article discusses the key aspects of the new hotel industry concept (“SPA”) and its pros. Features and Differences of a Hotel Product in comparison to other products. Characteristics of the attitude of the main goals of the hotel markets to the types of potential guests, the length of their stay in the country and the throughput. Determination of the marketing strategy necessary for the operation of the hotels and highlighting the key aspects.

Keywords : Hotel. Product. Accommodation. Services. Spa. Concept. Overnight. Food. Resort. Classification. Typology. Economic. Vital. Cycle. Specific. Physical. Objects. Place. Organization. Ideas. Delivery. Consumption. Time. space. Recreational-healing. Components. Sell. User. Demand. Modification. Market. Manufacturer. Competition. High elasticity. Transactional. Expenses. Production. Realization. Time. Space. Capitalization. Alternative. Cost. Market. category. Marketing. Strategy. Definition.

მძლავრი ასინქრონული ძრავის გადახურების კვლევა

კონსტანტინე წერეთელი -
ტექნიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი,
ზურაბ გობიანიძე
ტექნიკის აკადემიური დოქტორი, ასოც. პროფესორი,
ჯიმშერ სირაძე -
ტექნიკის აკადემიური დოქტორი, ასოც. როფესორი.
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საკვანძო სიტყვები: ასინქრონული ძრავი, ძრავის გახურების რეჟიმი, გადახურება, გრაგნილის სადენები, სადენების მასალა, მასალის ანალიზი, სილიციუმი.

რეფერატი:

გამოკვლეულ იქნა ტუმბოს ძრავის გადახურების მიზეზები. ექსპლუატაციის პირობებში; ძრავი ხურდებოდა დასაშვებ ტემპერატურაზე მეტად ნომინალურ სიმძლავრეზე ნაკლები სიმძლავრით მუშაობის დროს. დაკვირვებამ ცხადყო, რომ გრაგნილის გამტარების წინააღმდეგობა მეტი იყო იმასთან შედარებით, რაც უნდა ყოფილიყო ნორმალურ პირობებში. გამტარის მასალის ანალიზმა აჩვენა, რომ გამტარის მასალა შეიცავდა კაჟს (სილიციუმი), რაც ზრდიდა მის წინააღმდეგობას.

შ.პ.ს'საქართველოს მელიორაციის ' კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ სასირეთის ტერიტორიაზე დადგმულია და ექსპლუატაციაშია შესული მექანიკური აწევის სარწყავი სისტემის სატუმბი სადგური,რომელშიც დამონტაჟებულია ტუმბო აგრეგატები ვერტოკალური შესრულებით. ელექტრო ძრავების კვება განხორციელებულია სპეციალურად შესრულებული დამოუკიდებული 6 კვ-იანი ელექტრო გადამცემი ხაზიდან.. ცნობილია, რომ მაღალი ძაბვის ელექტრო სატუმბ აგრეგატებში ელექტროტექნიკური მოთხოვნების შესაბამისად მუშა ელექტრო ამძრავს უნდა ჰქონდეს სათადარიგო მეორე აგრეგატი, რომლითაც განხორციელდება მორიგეობითი რეჟიმის ელექტრო კვება, რადგან თავიდან აცილებული იქნას ძრავების გადახურება, აღნიშნული მოთხოვნა ტექნიკურად შესრულებულია, თუმცა გადახურება სახეზეა, რის გამოც მოხდა აგრეგატების გამოკვლევა და სათანადო დასკვნის მიღება.

წყლის ტუმბო აგრეგატის საპასპორტო მონაცემებია; მდინარის წყლის ტუმბოაგრეგატი 1000/6000; კოლონის სიგრძით 9 მ , რომელიც შესრულებულია უჟანგავი ფოლადის გაძლიერებული ფრთოსნებით (ჩინური წარმოებისაა).

სასირეთის ზემო ხანდაკის სატუმბო სადგურის შპს „საქართველოს მელიორაცია“ -მ მოგვმართა თხოვნით, რომ გამოგვერკვია მათ სატუმბო სადგურში არსებული ტუმბოს ძრავების გადახურების მიზეზები. მათი ინფორმაციით ძრავების გადახურების გამო იძულებული არიან გამორთონ ხოლმე. ამას ადასტურებს შპს „მშენებელი-80“-ის და შპს „საქართველოს მელიორაციის“ თანამშრომელთა მიერ ჩატარებული ტესტირება.

სატუმბო სადგურში განთავსებული არის ორი ტუმბო განკუთვნილი სარწყავი სისტემისათვის. რომელთა ძრავების მონაცემებია:

ტიპი Y2L-500-4;
სიმძლავრე 1120 კვტ;
დაცვის ხარისხი IP 55;

სიხშირე 50 ჰც;
ბრუნვათა რიცხვი 1480 ბრ/წთ;
ნომინალური ძაბვა 6000 ვ;
ნომინალური დენი 130,5 ა;
შეერთების სქემა Y;
სიმძლავრის კოეფიციენტი 0,86;
იზოლაციის კლასი ;
უქმი სვლის დენი 31,1 ა;
გამტარის კვეთი 2X5=9,637 მმ2;
ჩადებულია პარალელურად ორი გამტარი ჯამური კვეთით 19,27 მმ2:
დენის სიმკვრივე 6,77 ა/მმ2:
წინააღმდეგობა მუდმივი დენის მიმართ 2000ჩ ტემპერატურაზე 0,4 ომი:
ვენტილაციის მქონე მანქანებში დენის დასაშვები სიმკვრივე არის 4-6,5 ა/მმ2.

საექსპლოატაციო პერსონალის ინფორმაციით ძრავის მუშაობის დროს ადგილი ჰქონდა გადახურებას. საჭიროდ ჩავთვალეთ გახურების მრუდი გადაღება.

ძრავი დატვირთული იყო 97,6 ა დენით, რაც შეადგენდა ნომინალური დენის 75%-ს. გარემოს ტემპერატურა 260C.

ექსპერიმენტის შედეგები მოყვანილი არის ცხრილში 1.

T, სთ	15,30	15,45	16	16,15	16,30	17	17,15	17,30	17,45	18	18,15
T_0C	26	33	49	64	78	101	110	118	128	135	143

მონაცემების მიხედვით აგებული არის მრუდი:



დიდი სიმძლავრის დახურულ ასინქრონულ ძრავებში გახურების დროის მუდმივა 2-3 საათი (ამ დროში დამყარდება ტემპერატურა).

როგორც მრუდიდან შეიძლება დავასკვნათ ძრავის გრაგნილის ტემპერატურა კიდევ არ არის დამყარებული (მრუდი არ იხრება ქვევით) და განაგრძობას ზრდას. ძრავის იზოლაციის კლასი არის , ე.ი. მაქსიმალური დასაშვები ტემპერატურა ამ კლასის იზოლაციისათვის არის 155^{0}C. ამ ტემპერატურას გრაგნილი აღწევს ნომინალური

დენის დროს. მაგრამ ძრავი დატვირთული იყო 75%-ით. ეს იმას ნიშნავს, რომ გრაგნილში გამოყოფილი სითბო არის დიდი და გრაგნილი ვერ ასწრებს გაგრილებას. ეს იმას ნიშნავს, რომ გრაგნილის წინააღმდეგობა დიდია.

საერთაშორისო სტანდარტ IEC 60317-0—4: Specification for particular types of winding wares. Part 0-4-is [3] მიხედვით გრაგნილის ელექტრული წინააღმდეგობის მაქსიმალური მნიშვნელობა არ უნდა აღემატებოდეს მნიშვნელობას, გაანგარიშებულს გამტარის მინიმალური კვეთისათვის მინიმალური სისქით და სიგანით, მაქსიმალური მოღუნვის რადიუსით და ხვედრითი წინააღმდეგობით 1/58 ომიხმმ2/მ.

როგორც სტანდარტი მიგვითითებს ელექტრული წინააღმდეგობის მაქსიმალური მნიშვნელობა უნდა იყოს გაანგარიშებული გამომდინარე ხვედრითი წინააღმდეგობიდან 1/58 ომიხმმ2/მ. ეს წინააღმდეგობა ტოლია 0,0173 ომიხმმ2/მ. რაც წარმოადგენს სუფთა სპილენძის წინააღმდეგობას 200^{0}C ტემპერატურის დროს. აქედან გამომდინარეობს, რომ გრაგნილის მასალა უნდა იყოს სპილენძი.

შესადარებლად ავიღეთ შესაბამისი რუსული ძრავის მონაცემები:

ვერტიკალური ასინქრონული ძრავი ტუმბოებისათვის ВАН 118/51, სიმძლავრე 1000 კვტ, ძაბვა 6000 ვ. ფაზის წინააღმდეგობა მუდმივი დენის მიმართ 0,3404 ომ, გამტარი ПСД 1,6 X 6,7 მმ, დენგამტარი ძარღვი - სპილენძი, იზოლაცია ორი მინის ძაფით, იზოლაციის კლასი . ბრუნვათა რიცხვი 750 ბრ/წთ. რადგანც რუსული ძრავის ბრუნვათა რიცხვი ორჯერ მეტია ჩინური ძრავის ბრუნვათა რიცხვზე ეს იმას ნიშნავს, რომ რუსული ძრავის ხვიათა რიცხვი ორჯერ მეტია ჩინური ძრავის ხვიათა რიცხვზე.

რუსული ძრავის მონაცემებით გამოვითვალეთ გრაგნილის სიგრძე (R=ρl/s). ჩინური ძრავის გრაგნილის სიგრძე ორჯერ ნაკლებია და გამოვითვალეთ მისი ხვედრითი წინააღმდეგობა და მივიღეთ 0,037 ომი x მ/მმ2, რაც ორჯერ მეტია სპილენძის ხვედრით წინააღმდეგობაზე. ამიტომ საჭირო გახდა ჩინური ძრავის გრაგნილის მასალის ანალიზი.

მასალის კვლევა ჩაატარა საქართველოს ტექნიკური უნივერსუტეტის გეოლოგიისა და მინერალურ ნივთიერებათა კვლევის, დიაგნოსტიკისა და გადამუშავების რესპუბლიკური ცენტრის საგამოცდო ლაბორატორიამ, რომელმაც დაადგინა გრაგნილის მასალის შემადგელობა. მასალის შემადგენლობა მოცემულია ცხრილში 2:

ელემენტი	შემცველობა %
Fe	0,000
Si	0,207
Ni	0,003
Mn	0,000
Pb	0,.000
Sn	0,063
As	0,000
Cu	99,599
Zn	0,116
	შემცველობა %

როგორც ცხრილიდან ჩანს გრაგნილის მასალა სპილენძის გარდა შეიცავს სხვა ელემენტებსაც. ამ ელემენტებიდან ყველაზე მეტი პროცენტული შემადგენლობა (0.207) აქვს კაჟს. კაჟის ხვედრითი წინააღმდეგობა 270^{0}C ტემპერატურაზე 2,3x103ომი.მ, ან 2,3ხ109 ომიxმმ2/მ. სპილენძის წინააღმდეგობასთან შედარებით (0,0175 ომიxმმ2/მ) კაჟის წინააღმდეგობა მეტია 13,14x109-ჯერ. ე.ი. მილიარდჯერ. კაჟი ფაქტიურად იზოლატორია.

სხვა ელემენტების წინააღმდეგობებია:

ნიკელის ხვედრითი წინააღმდეგობა 0,087 ომxმმ2/მ.

ცინკის ხვედრითი წინააღმდეგობა 0,059 ომxმმ2/მ.

შნ კალის ხვედრითი წინააღმდეგობა 9,9ხ10-8ომ.მ, ანუ 0,12 ომxმმ2/მ.

ყველაზე დიდი წინააღმდეგობა აქვს კაჟს. ის ახდენს გავლენას გრაგნილის მასალის წინააღმდეგობაზე და ზრდის მას.

აქედან შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ გრაგნილის მასალა არ არის სუფთა სპილენძი, შეიცავს კაჟს, რაც ზრდის მის წინააღმდეგობას და იწვევს გრაგნილის გადახურებას.

ამრიგად ამ ძრავის მუშაობა ნომინალური დატვირთვით ხანგრძლივად დაუშვებელია.

გამოყენებული ლოტერატურა

1. წერეთელი კ,. ზამკოვი ა., ზერეკიძე ა. „ელექტრული მანქანები“ , მეორე ნაწილი, გამომც. „ტექნიკური უნივერსიტეტი“ , თბილისი, 2005წ., 103 გვ;
2. წერეთელი კ,. ზამკოვი ა., ნათენაძე თ. „ელექტრული მანქანები“ , მესამე ნაწილი, ასინქრონული მანქანები. გამომც. „ტექნიკური უნივერსიტეტი“
3. , თბილისი, 2005წ., 210 გვ;წერეთელი კ,. ზამკოვი ა., ზერეკიძე ა. „ელექტრული მანქანები“ , მეორე ნაწილი, გამომც. „ტექნიკური უნივერსიტეტი“ , თბილისი, 2005წ., 103 გვ;
4. IEC 60317-0—4: Specification for particular types of winding wares. Part 0-4- GGeneral requirements. IEC Webstore.

INVESTIGATION OF OVERHEATING OF A POWERFUL INDUCTION MOTOR

Konstantin Tsereteli – Academic Doqtor of technical,
Zurab Gobianidze - Academic Doqtor of technical,
Djimsher Siradze - Academic Doqtor of technical,

Key words: Asynchronous motor, motor heating mode, overheating, winding wires, wire material, material analysis, silicium.

The reason for overheating of the engine of a powerful pump has been investigated. Under operating conditions, the engine heated up above the allowable temperature while operating below the rated power. Observation has shown that the resistance of the winding conductors is greater than what it should have under nominal conditions. Analysis of the conductor materials showed that the conductor material contained silicium, which increased its resistance.

წიბოების მქონე სივრცითი კონსტრუქციების გაანგარიშება ღუნვაზე

ვასილ ბერუაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
დოქტორანტი

შესავალი

თხელკედლიანი სივრცული კონსტრუქციები, ფილებისა და გარსების სახით ფართოდ გამოიყენება ტექნიკასა და მშენებლობაში. მათ ეფექტურობის ამაღლება დაკავშირებულია ახალი საანგარიშო სქემებისა და გამოთვლების მეთოდების დახვეწასთან. [1-3] ცნობილია რომ ყოველი კონსტრუქციის გამოკვლევა ემყარება გარკვეულ გამარტივებებს რომლებიც ეხება როგორც გადაადგილებების ასევე დეფორმაციის სიდიდეებს. მათ შორის დამოკიდებულებას, ძაბვების განაწილების კანონს, სიხისტეებს, დატვირთვის მოქმედებას და სხვა.[1] კონსტრუქციის მუშაობის რეალური პირობებს გათვალისწინება მოითხოვს აღნიშნული გამარტივებებეის კრიტიკულ შეფასებას და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში თუ ეს აუცილებელია მათ სრულყოფას. თხელკედლიანი კონსტრუქციები ხშირად განიცდიან ისეთი დატვირთვების ქმედებას, რომელის დროსაც გადაადგილებები აღმოჩნდებიან სისქის თანაზომადი და გაანგარიშების წრფივი თეორია ვეღარ აკმაყოფილებს ნაგებობებებისადმი წაყენებულ მოთხოვნების უზრუნველყოფას. დაბალმოდულიანი მასალების გამოყენება ეჭვქვეშ აყენებს ტექნიკური თეორიით გათვალისწინებულ მოთხოვნას შუა ზედაპირის მართობ სიბრტყეებში ძვრის მიმართ უსასრულო სიხისტის შესახებ. მრეწველობის და მშენებლობის შემდგომი განვითარება განაპირობებს ახალი კონსტრუქციების შექმნას, რომლებიც მიიღება ფილებისა და გარსების ცალკეული პანელების ერთმანეთთან სახსრულად ან ხისტად გარკვეული კუთხით შეერთების გზით.[4-13] ასეთ კონსტრუქციაში გვექნება შუა ზედაპირის გარდატეხა. ცალკეული პანელების მდოვრედ და სახსრულად შეერთების შემთხვევაში გარდატეხას მივიღებთ დეფორმაციის პროცესში, ხოლო კუთხით შეერთების შემთხვევაში გვექნება დეფორმაციამდეც. ასეთი კონსტრუქციები წამოადგენენ წყვეტილ პარამეტრებიანს და მათ გაანგარიშება საჭიროა მოხდეს წყვეტილი ფუნქციების გამოყენებით. ექსპლუატაციის პროცესში ხშირი ადგილი აქვს საანგარიშო სქემის ცვლილებას. იგულისხმება კონსტრუქციის საყრდენი კონტურის ჯდენა მთელი გვერდის ან მის ცალკეულ უბანზე. იგი შეიძლება გამოწვეული იყოს გრუნტის დასველებით, სეისმური ზემოქმედებით და სხვა. ჯდენა იწვევს დაძაბულდეფორმირებული მდგომარეობის შეცვლას მაქსიმალურად დაძაბული კვეთის მდებარეობას და მაქსიმალური ძაბვების და დეფორმაციების სიდიდეების ცვლილებას. რადგან საკითხი ისმის ექსპლუატაციაში მყოფი კონსტრუქციის მუშაობის პირობის ცვლილებაზე, საჭიროა გათვალისწიებული იყოს დროისა და გარემოპირობების გავლენა მასალის მექანიკურ თვისებებზე. არათანაბარი ჯდენის თაობაზე კი საჭიროა აღინიშნის რომ მათ შეიძლება ჰქონდეთ იმდენად არარეგულარული ხასიათ რომ გამოიწვიონ გარკვეული სიძნელეები სასაზღვრო პირობების დაკმაყოფილების დროს.[1] კონსტრუქციისადმი წაყენებული საექსპლუატაციო მოთხოვნები ხშირად ჩამოყალიბებულია სიხისტისა და სიმტკიცის გარკვეული პირობების სახით რაც ნიშნავს რომ კონსტრუქციის ზომები, (როგორც წესი სისქე) უნდა უზრუნველყოფდნენ მაქსიმალური ძაბვის ჩაღუნვის დასაშვებ მნიშვნელობას. გაანგარიშებას ჩვეულებრივ აქვს შემოწმებით ხასიათი, ალგორითმის დამუშავება, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნული მოთხოვნების დაკმყოფილებას

შეიძლება ჩაითვალოს აქტუალურად.

ძირითადი ნაწილი

როგორც ცნობილია ტრანსვერსალურად იზოტროპული გარსებისთვის სისიტემა დაიყვანება სამ განტოლებაზე ორი განტოლება ქმნის სისტემას გაღუნვის და ძაბვის ფუნქციის მიმართ, მესამე კი ჩაწერილია კუთხეთა Ψ ფუნქციის მიმართ.

სტატიაში ანიზოტროპული გარსებისთვისაც გადამწყვეტი სისტემა მიყვანილია სამ განტოლებაზე.[2] ამისათვის შემოღებულია აღნიშვნები:

მესამე განტოლება კი რჩება უცვლელი. ამგვარად ანიზოტროპული დამრეცი

$$\Delta_a = \frac{\partial^2}{\partial x^2} + a\frac{\partial^2}{\partial y^2}, \quad a = \frac{\Lambda_2^1}{\Lambda_1^1}, \quad D_{12} = D_1 \cdot a_0, \; a_{0=\frac{\beta - v_1}{2}}$$

ამავე დროს მიღებულია დაშვება რომ $a = \beta = \sqrt{\frac{v_2}{v_1}}$

გადამწყევტ განტოლებათა სისტემა არაწრფივი წევრების გათვალისწინების გარეშე ღებულობს სახეს :

$$(1 - \varepsilon_0\Delta_a)\Delta_0 F + D_1\Delta_a\Delta_a W = (1 - \varepsilon_0\Delta_a)q$$

$$\frac{1}{E_1 a^2 h}\Delta_a\Delta_a F - \Delta_k W = 0$$

$$\Delta_a \Psi - k^2\Psi = 0 \qquad (1)$$

სადაც

$$k^2 = \frac{2a}{\varepsilon_0(a - v^2)}$$

დიდი გადაადგილებების გათვალისწინებით (1) სისტემის პირველი ორი განტოლება მიიღებს სახეს:

$$D_1\Delta_a\Delta_a W + (1 - \varepsilon_0\Delta_a)[\Delta_k F + L(F, W)] = (1 - \varepsilon_0\Delta_a)q$$

$$\frac{1}{E_1 a^2 h}\Delta_a\Delta_a F + 0.5L(W, W) - \Delta_k W = 0$$

გარსების ძვრის დეფორმაციის გათვალისწინებით გადამწყვეთ განტოლებათა სისტემა ჩაიწერა იგივე სახით, როგორითაც იგი წარმოდგენილი იყო იზოტროპული გარსებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Михайлов Б.К., Кипиани Г.О. Деформированность и устойчивость пространственных пластинчатых систем с разрывными параметрами. Стройиздат СПб, С.-Петербург, 1996. -442 с.
2. მახარაძე გ., კვარაცხელია ა., ყიფიანი გ., ანიზოტროპული თხელი გარსებისა და ფირფიტების გაანგარიშება დაზუსტებული თეორიით. “ტექნიკური უნივერსიტეტი˜ თბილისი, 1998, გვ. 106.
3. გიორგაძე თ., კვარაცხელია ა., ყიფიანი გ. თხელი დამრეცი გარსების დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის გამოკვლევა. “ტექნიკური უნივერსიტეტის˜ თბილისი, 1999, გვ. 101.
4. ე. მაჩაიძე, გ. ყიფიანი. შედგენილი თხელკედლიანი სივრცითი სისტემების გაანგარიშების თეორია. Gგამომც. “ტექნიკური უნივერსიტეტი” თბილისი, 2006. -369 გვ.

5. Churchelauri Z. Kipiani G. Calculation of thin-walled prefabricated type shells with model of plastic-rigid body//selected, blind peer reviewed papers from 7th International Conference on Contemporary Problems of Architecture and Construction. November 19th-21st, 2015, Florence-Italy. 2015 pp. 19-24.

6. Gurgenidze D., Kipiani G. Bending of geometrically nonlinear shall with cut, reinforced by rib//Proceedings of the 10th International Conference on Contemporary Problems of Architecture and Construction, Beijing, China, September 22-24, 2018. Beijing University of China. Chief Editors Chengzhi Qi, George C, Sih, Chao Ma, Wuhan, China, pp. 430-343.

7. Kipiani Gela. Basic principles of analysis of thin-walled spatial systems with discontinuous parameters//Contemporary Problems of Architect and Construction. Proceedings of 11 th International Conference on Contemporary Problems of Architect and Construction. Yerevan – Armenia, October 141-16, 2019. Edited by Narine Pirumyan

8. Kipiani Gela. Definition of critical loading on three-layered plate with cuts by transition from static problem to stability problem//Contemporary Problems in Archhitecture and Construction. Selected, peer reviewed papers the 6th International Conference on Contemporary Problems of Archhitecture and Construction, June 24-27, 2014, Ostrava, Czech Pespublic. Edited by Darja Kubeckov. Trans Tech. publications LTD, Switzerland, 2014, pp. 143-150.

9. Kipiani Gela, Rajczyk Marlena, LausovaLenka. Influence of Rectangular holes on stability of three-layer plates // Applied Mechanics and Materials Vol 711 (2015) p.p. 397-401. C (2015) Trans Tech Publications, Switzerland. Doi: 10.4028/www.scientific.net/AMM.771.397

10. Kipiani Gela Deformability and stability of rectangular sandwich panels with cuts under in-plane loading//Architecture and Engineering. Volume 1. Issue 1 March, 2016. SPSUAGE. p.p. 26-30 (aej.spbgasu.ru/index.php/AE/issue/view/3)

11. Gurgenidze D.R. Kipiani G.O., Badzgaradze G.O., Suramelashvili E.R. ON ANALYSIS OF THIN-WALLED SPATIAL SYSTEMS OF COMPLEX STRUCTURE WITH DISCONTINUOUS PARAMETERS BY METHOD OF LARGE BLOCKS. // Collection of scientific papers of the St. Petersburg State University of Architecture and Civil Engineering, 2020 p. p. 171-178

12. Gurgenidze D., Badzgaradze G., Kipiani G. Analysis on stability of Having Holes Thin-walled spatial structures // Problems of Mechanics. N 1(78), Tbilisi, 2020. pp. 25-33.

13. Gurgenidze David, Kipiani Gela, Maghradze Tinatin, Badzgaradze Gocha. Arched, domed and thin-walled spatial structures in civil and hydraulic facilities // Book of abstracts. XI Annual International Meeting of the Georgian Mechanical Union. 27.08.2020- 29.08.2020. Batumi. 2020. p.p. 94-96.

რეზიუმე

მიღებულია დამოკიდებულება დეფორმაციებსა და დატვირთვებს შორის. დამუშავებულია მართკუთხა წიბოების მქონე ფირფიტების ღუნვაზე გაანგარიშების პრაქტიკული მეთოდი სხვადასხვა სახის სასაზღვრო პირობებისა და დატვირთვების მრავალსახეობის გათვალისწინებით. ამოცანების ზუსტი გადაწყვეტა სივრცითი კონსტრუქციის გრეხაზე და ღუნვაზე, სენ-ვენანის პრინციპის გამოყენების გარეშე.

SUMMARY

Calculation of spatial constructions with ridges on bending

The relationship between deformations and loads are obtained. A practical method for calculating the bending of plates with rectangular ridges has been developed, taking into account the variety of boundary conditions and the variety of loads. Accurate solution of tasks on curvature of spatial construction, without applying the Saint-Vanen principle.

საქართველოს სჭირდება რეგიონების გამოთანაბრებითი განვითარების პოლიტიკის შემუშავება

ლელა მესხიშვილი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტი

შესავალი

30 წელია საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა და უპირობოდ დაადგა საბაზრო ეკონომიკის განვითარების გზას. სავალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის მეთოდური დახმარებით ქვეყანაში გატარდა რეფორმები, რომელთა ერთი ნაწილის შედეგები კარგია, მეორე ნაწილის - საშუალო, ხოლო მესამე ნაწილის - ფაქტობრივად უშედეგო. ამ მესამე ნაწილში მოხვდა სახელმწიფო ქონების განსა-ხელმწიფოება, კერძო სექტორში სახელმწიფოს ჩაურევლობა ანუ ბიზნესის მინდობა ბაზრის „უხილავი ხელისთვის“ და ამ გზით მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება. ქვეყანაში ეს ღონისძიებები გატარდა, მაგრამ მოსახლეობა დღეს კიდევ უფრო ღარიბია, ვიდრე იყო 90-იან წლებში. ამის მიზეზი კი ის იყო (და არის), რომ 70 წლის განმავლობაში სოციალისტურ ეკონომიკაში მცხოვრებმა საქართველოს მოსახლეობამ არ იცოდა როგორ ეკეთებინა ბიზნესი. არც საქართველოს ხელისუფლებამ და არც საერთაშორისო ორგანიზაციებმა - სავალუტი ფონდმა თუ მსოფლიო ბანკმა - ეს ვალდებულება თავის თავზე არ აიღეს და მოხდა ის რაც მოხდა - ვიღაცამ მაინც გარისკა და გაკოტრდა, ვიღაცამ გარისკა და გაუმართლა. ბოლოს გაკოტრებულნი მეტი აღმოჩნდნენ გამარჯვებულებზე და ამის მიზეზი იყო (და არის) ბიზნესის არ ცოდნა. ეს საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დგას რეგიონებში, განსაკუთრებით მთიან რეგიონებში, რომელთაც ბიზნეს რესურსებიც მცირე აქვთ, სატრანსპორტო და კომუნიკაციური კავშირები (მაგალითად, ინტერნეტკავშირი) რთული და ბიზნეს-განათლების მიღებაც ხელმიუწვდომელი. მართალია, 2015 წელს საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ [1], მაგრამ მან მაინც ვერ გამოასწორა იქ შექმნილი მდგომარეობა.

ასეთი დეპრესირებული რეგიონების იდენტიფიცირება 90-იანი წლების დასაწყისშივე მოხდა და მათ მიეკუთვნა: რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონი, გურია, მცხეთა-მთიანეთი და სამცხე-ჯავახეთი. მცირე ცვლილებების მიუხედავად ეს რეგიონები დღესაც, სხვა რეგიონებთან შედარებით, ნაკლებ-განვითარებულ რეგიონებად ითვლებიან (გამონაკლისია მცხეთა-მთიანეთი) და, საქართველოს ოთხჯერ შეცვლილი მთავრობებისგან ვერცერთმა ვერ მოიცალა იმისთვის, რომ კარდინალურად შეეცვალა ამ რეგიონებისადმი ქვეყნის მთავრობის დამოკიდებულება. შედეგად, ისედაც მთის რთულ პირობებში ცხოვრების გამო, ნაკლებშემლებული მოსახლეობა სულ გაღატაკდა და ზოგმა ქალაქებისკენ ქნა პირი, ზოგმა უცხოეთისკენ. შეგახსენებთ, რომ ყველა ეს რეგიონი, გარდა გურიის რეგიონისა, თურქეთთან და რუსეთთან სასაზღვრო ზოლში მდებარეობენ და ჩვენი დაცლილი ტერიტორიის დაკავების საფრთხე პრაქტიკულად არსებობს უცხო ქვეყნების მხრიდან. ეს რომ არ მოხდეს, საჭიროა ამ რეგიონების განვითარება იმ რესურსების გამოყენებით, რომელიც იქ არსებობს. რესურსი კი, ყველა ამ რეგიონს აქვს. ზოგან მეცხოველეობა შეიძლება განვითარდეს, ზოგან მეფუტკრეობა, ზოგან ტურიზმი და ა. შ.

ყველამ კარგად ვიცით, თუ როგორი მთაგორიანია სკანდინავიის ქვეყნები - ფინეთი, ნორვეგია და სხვები. ამას არ შეუშლია მათთვის ხელი შეექმნათ ე. წ. კეთილდღეობის

სახელმწიფოები. მეცნიერი ი. სტიგლიცი მათ შესახებ წერს შემდეგს: „ამ ქვეყნებმა დაინახეს, რომ მდგრადი აყვავებისთვის აუცილებელია მისი საყოველთაობა. ფინეთმა უნივერსიტეტებიც კი ქვეყნის ყველა კუთხეში გახსნა, რომ ახალგაზრდობა არ წამოსულიყო იქიდან. ეს მნიშვნელოვანი გაკვეთილია, რომელიც უნდა ისწავლოს აშშ და ევროპის დარჩენილმა ნაწილმა“ [2].

ეს რჩევა მეტად გამოსადეგია ჩვენთვისაც, და, რაც ადრე განვახორციელებთ მას, მით უკეთესია საქართველოსთვის, როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით.

ბიზნესის განვითარების შედარებითი ანალიზი საქართველოს დეპრესირებულ რეგიონებში

ნებისმიერ რეგიონში, ქვეყანასი თუ ცალკე აღებულ რომელიმე სხვა სახის ტერიტორიულ ერთეულში, ბიზნესის განვითარების დონე ფასდება ბიზნეს-სუბიექტების რაოდენობით და მათ მიერ შესრულებული ბრუნვის მოცულობით. ეს მაჩვენებლები იანგარიშება რეგიონის ტერიტორიის 1000 კვ. კმ-ზეც და 1000 მცხოვრებზეც. როცა ეს მაჩვენებლები კატასტროფულად ჩამოუვარდება ქვეყნის საშუალო მაჩვენებლებს და, აგრეთვე, ქვეყნის ზოგიერთი სხვა რეგიონის ანალოგიურ მაჩვენებლებს, მაშინ ბუნებრივია, საქმე გვაქვს რეგიონის განვითარებაში ჩამორჩენილობასთან (ცხრილი 1).

ცხრილი 1

სამეწარმეო ბრუნვის მოცულობა საქართველოს რეგიონებში 1000 სულ მცხოვრებზე ანგარიშით 2019 წელს

რეგიონების დასახელება	მოსახლეობის რიცხვი (ათასი კაცი)	ბრუნვა (ათასი ლარი)	ბრუნვა მოსახლეობის 1000 სულზე ანგარიშით (ლარი) (4=3:2)
1	2	3	4
1.თბილისი	1184,8	81837,0	69072,4
2.აჭარის ა/რ	356,9	7399,4	20732,4
3.გურია	108,1	558,7	5168,4
4.იმერეთი	487	4285,1	8799
5.კახეთი	310,1	1871,8	6036
6.მცხეთა-მთიანეთი	93,3	1204,9	12914
7.რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	29,6	110,7	3740
8.სამეგრელო-ზემო სვანეთი	311,1	3200,3	10287
9.სამცხე-ჯავახეთი	152,1	1420,0	9336
10.ქვემო ქართლი	434,2	5130,3	11817,8
11.შიდა ქართლი	255,1	1916,0	7510,8
სულ საქართველოში	3716,1	109024,3	29338,4

წყარო: გაანგარიშებულია ჩვენს მიერ „საქსტატის“ ინფორმაციაზე დაყრდნობით

ცხრილი 1 გვიჩვენებს, რომ საქართველოს რეგიონებს შორის ყოველ 1000 სულ მცხოვრებზე მოსული სამეწარმეო ბრუნვა ყველაზე მაღალი აქვს ქ. თბილისს (69072,4 ლარი), შემდეგ ადგილზეა აჭარის რესპუბლიკა (20732,4 ლარი). საშუალო განვითარების რეგიონებად შეიძლება ჩაითვალონ მცხეთა-მთიანეთი (12914 ლარი), ქვემო ქართლი (11817,8 ლარი) და სამეგრელო-ზემო სვანეთი (10287 ლარი), ხოლო ნაკლებგანვითარებად რაჭა-ლეჩხუმი (3740 ლარი), გურია (5168,4 ლარი), კახეთი (6036 ალრი), შიდა ქართლი (7510,8 ლარი) და სამცხე-ჯავახეთი (9336 ლარი).

მაშასადამე, 1000 სულ მცხოვრებზე მოსული სამეწარმეო ბრუნვის მოცუ-ლობით საქართველოს რეგიონები შეიძლება სამ ჯგუფად დავყოთ:

1. განვითარებული რეგიონები (თბილისი და აჭარის რეგიონი). ჯგუფის საშუალო ბრუნვა 1000 სულ მცხოვრებზე - 44902 ლარი.
2. საშუალოდ განვითარებული რეგიონები (მცხეთა-მთიანეთი, ქვემო ქართლი და სამეგრელო-ზემო სვანეთი). ჯგუფის საშუალო ბრუნვა 1000 სულ მცხოვრებზე - 11673 ლარი.
3. ნაკლებგანვითარებული რეგიონები (რაჭა-ლეჩხუმი, გურია, კახეთი, შიდა ქართლი და სამცხე-ჯავახეთი). ჯგუფის საშუალო ბრუნვა 1000 სულ მცხოვრებზე 5614 ლარი.

თუ თითოეულ ჯგუფს ამ მაჩვენებლით საქართველოს საშუალო მაჩვენებელს შევადარებთ, რომელიც 29338,4 ლარს შეადგენს, დავინახავთ, რომ განვითარებული რეგიონების ჯგუფი მას ჭარბობს 15564 ლარით, ანუ 53%-ით, საშუალო და ნაკლებ¬განვითარებული რეგიონები კი, მას ჩამორჩებიან 60,3 და 80,9%-ით შესაბამისად.

მაშასადამე, ბრუნვის შეფარდებითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოში ბიზნესი ძირითადად განვითარებულია თბილისში და აჭარის რეგიონში.

იგივეს გვიჩვენებს დასაქმების მაჩვენებელიც (იხ. ცხრილი 2). მეორე ცხრილიდან ჩანს, რომ 2019 წელს საქართველოს ბიზნესში დასაქმებული იყო მოსახლეობის 20,3%. რეგიონების ჭრილში ეს მაჩვენებელი ასე გამოიყურება: მაღალგანვითარებულ თბილისსა და აჭარის რეგიონში დასაქმებულია მთელი მოსახლეობის 39 და 20,9%. შესაბამისად, ანუ საშუალოდ, 30%, საშუალოდ განვითარებულ რე-გიო¬ნებში - მცხეთა-მთიანეთსა, სამეგრელო და ზემო სვანეთსა და ქვემო ქართლში - საშუალოდ 10-11%, ნაკლებგანვითარებულ რეგიონებში - რაჭა-ლეჩხუმსა, გურიასა, კახეთსა, სამცხე-ჯავახეთსა და შიდა ქართლში - საშუალოდ 9%.

საქართველოს ნაკლებ და საშუალო დონეზე განვითარებულ რეგიონებში მოსახლეობის ბიზნესში დასაქმების დაბალ დონეს განაპირობებს ბიზნეს-სუ-ბიექტთა სიმცირე, მათი მეტად შეკვეცილი განფენილობა (საწარმოები ძირითადად რაიონულ ცენტრებში მდებაროებენ), ბიზნეს-განათლების არ ქონა და მოსახლეობის ასაკი. შევნიშნავთ, რომ რეგიონის სოფლებში, განსაკუთრებით მთის სოფლებში, დღესდღეობით მხოლოდ პენსიონერი მოხუცებულები ცხოვრობენ.

ნაკლებ და საშუალო დონეზე განვითარებულ რეგიონებში დაბალია დასაქ-მებულთა ხელფასიც (იხ. ცხრილი 3). ნაკლებგანვითარებულ რეგიონთა ჯგუფის-თვის ერთი დასაქმებულის საშუალო ანაზღაურება 2019 წელს შეადგენდა 701,5 ლარს, $\left(\frac{672.2+631.5+781.5+720.7}{4}\right)$ ხოლო საშუალოდ განვითარებულ რეგიონთა

ჯგუფის 954,6 $\left(\frac{1055.6+897+911.9}{3}\right)$ ლარს. ერთიც და მეორეც ნაკლებია ანალოგიური მაჩვენებლის საშუალო საქვეყნო დონეზე (1161,7 ლარი). ამის მიზეზი ის არის, რომ საქართველოს რეგიონებში, მით უფრო მთის რეგიონებში, ძირითადად მცირე მეწარმეობა არის განვითარებული, რადგან, საშუალო და მით უფრო მსხვილი საწარმოების განსავითარებლად იქ, არც რესურსია საკმარისი, არც მეწარმული ცოდნა აქვს მოსახლეობას და არც მოთხოვნაა დიდი დამზადებულ პროდუქციაზე. ამ მიზეზით მცირე საწარმოებს არა აქვთ წარმოების უწყვეტი ციკლი, რაც იწვევს იქ დასაქმებულთა დაბალ ხელფასებსაც.

ცხრილი 2

საქართველოს მოსახლეობის ბიზნესში დასაქმების დონე

რეგიონების ჭრილში 2019 წელს

რეგიონების დასახელება	მოსახლეობის რიცხვი რეგიონში	დასაქმების რიცხვი რეგიონის მეწარმეობაში	მეწარმეობაში დასაქმების დონე $4=\frac{3\cdot 100}{2}$
1	2	3	4
1.თბილისი	1184800	463871	39%
2.აჭარის ა/რ	356900	74804	20,9%
3.გურია	108100	9674	8,9%
4.იმერეთი	487000	58015	11,9%
5.კახეთი	310100	24619	7,9%
6.მცხეთა-მთიანეთი	93100	12344	13,2%
7.რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	29600	2603	8,8%
8.სამეგრელო-ზემო სვანეთი	311100	31889	10,2%
9.სამცხე-ჯავახეთი	152100	14006	9,2%
10.ქვემო ქართლი	434200	43751	10,1%
11.შიდა ქართლი	255100	19991	7,8%
სულ საქართველოში	3716100	756852	20,3%

წყარო: გაანგარიშებულია ჩვენს მიერ „საქსტატის“ ინფორმაციაზე დაყრდნობით

საქართველოს ნაკლებგანვითარებული რეგიონების განსავითარებლად საქართველოს მთავრობას ევალება ქმედითი ღონისძიებების გატარება. ერთი და იგივე ღონისძიება ყველა რეგიონს არ მოერგება, რადგან მათ განვითარების სხვადასხვა

რესურსი აქვთ. ამის გარდა, საქართველოს რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის სამეურნეო ჩვევებიც ურთიერთგანსხვავებულია. ამასაც უნდა გაეწიოს ანგარიში. მაგალითად, რაჭა-ლეჩხუმში სასურველია შეიქმნას რაჭული ღორის გასამრავლებელი ფერმები და შემდეგ მის საფუძველზე რაჭული შაშხის (ლორი) დამამზადებელი კომპანიები, სამცხე-ჯავახეთში მეფუტკრეობა და მესაქონლეობა, ფშავ-ხევსურეთში (მცხეთა-მთიანეთის რეგიონის ნაწილი) მესაქონლეობა და ე. წ. „დამბალხაჭოს“ წარმოება, რომელზეც საზღვარგარეთ დიდი მოთხოვნაა და ა. შ. რაც შეეხება ტურიზმს, იგი საქართველოს ყველა რეგიონში შეიძლება განვითარდეს, მხოლოდ აქაც იგი იქ არსებულ ტურისტულ რესურსს უნდა დაეფუძნოს. მაგალითად, ღვინის ტურიზმი კახეთშიც მოეწყობა და იმერეთშიც, მაგრამ არ გამოდგება მისი მოწყობა ქვემო ქართლში, შიდა ქართლში და ზოგიერთ სხვა რეგიონში.

ცხრილი 3

მეწარმეობაში დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი და გასამრჯელო საქართველოს რეგიონების მიხედვით [2]

რეგიონების დასახელება	2015 წელს	2019 წელს	დინამიკა 2019 წელი %-ად 2015 წელთან
1	2	3	4
თბილისი	1006,7	1315,5	130
აჭარის ა/რ	821,5	1019,0	124,1
გურია	641,1	672,2	104,8
იმერეთი	604,6	769,6	192,2
კახეთი	521,8	760,8	145,7
მცხეთა-მთიანეთი	890,3	1055,1	118,5
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	414,5	631,5	152,4
სამეგრელო-ზემო სვანეთი	644,7	897,8	139,2
სამცხე-ჯავახეთი	573,9	781,5	136,3
ქვემო ქართლი	779,2	911,9	117,1
შიდა ქართლი	511,3	720,7	141,3
სულ საქართველოში	896,8	1161,7	129,3

წყარო: გაანგარიშებულია ჩვენს მიერ „საქსტატის“ ინფორმაციაზე დაყრდნობით

ამ თავისებურებათა კვლევა, და, საერთოდ, საქართველოს რეგიონების განვითარების დასაბუთებული სტრატეგიების შედგენა, უნდა ხდებოდეს ეკონომიკის პროფილის კვლევით ინსტიტუტში. ასეთი ინსტიტუტი არის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი. აღნიშნული ინსტიტუტი დაკომპლექტე¬ბულია მაღალპროფესიონალი კადრისგან, რომელთა ნაწილს საბჭოური პერიოდის პერსპექტიული დაგეგმვის პტრაქტიკაც აქვს გამოვლილი, რაც არა თუ დააზიანებს ამ

საქმეს, არამედ, დადებითად წაადგება მას. ამიტომ მტკიცედ გვჯერა, რომ საქართველოს რეგიონების გამოთანაბრებითი განვითა-რების პოლიტიკა ამ ინსტი¬ტუტის მიერ უნდა იქნეს შედგენილი, ხოლო შემდეგ, საჯაროდ განხილული და დამტკიცებული.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი - „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“. თბ., 2015.
2. http://www.project-sindicate.org/commentary/lessons-anti-globalisis-by-joseph-e-stigliz-2017-0.
3. ბიზნეს-სექტორი საქართველოში. სტატისტიკური პუბლიკაცია. თბ., 2020.

რეზიუმე

სტატიაში - „საქართველოს სჭირდება რეგიონების გამოთანაბრებითი განვითარების პოლიტიკის შემუშავება“ - ბრუნვის, დასაქმების და შრომის ანაზღაურების მაჩვენებლებით დახასიათებული და ურთიერთშედარებულია საქართველოს რეგიონები და ისინი დაჯგუფებულია მაღალგანვითარებულ თბილისის და აჭარის რეგიონი), საშუალო განვითარების (სამეგრელო-ზემო სვანეთი, ქვემო ქართლი, მცხეთა-მთიანეთი) და ნაკლებგანვითარებულ (რაჭა-ლეჩხუმი, გურია, კახეთი, შიდა ქართლი, სამცხე-ჯავახეთი) რეგიონებად.

ნაშრომში აღნიშნულია, რომ სწორედ განვითარების დაბალი დონის გამო, ნაკლებგანვითარებული რეგიონების მოსახლეობა გაცილებით ღარიბია და ისინი ტოვებენ სახლ-კარს ნორმალური სამუშაოს საძებნელად. სტატიის ავტორი აღნიშ-ნავს, რომ მთის რეგიონის სოფლები, რომლებიც საზღვრისპირას მდებარეობენ, თანდათან იცლება, და, გამოთქვამს ამ ტერიტორიების დაკარგვის შიშს. ავტორს ერთადერთ გამოსავლად მიაჩნია ასეთ რეგიონებში მეტად აქტიური და თან სწრაფი ღონისძიებების გატარება. ამასთან, მისი აზრით, ეს ღონისძიებები აუცილებლად უნდა ეფუძნებოდეს და უნდა ასახავდეს საქართველოს რეგიონების გამოთანაბრებითი განვითარების გრძელვადიან სტრატეგიას, რომლის ერთადერთ კვალიფიციურ შემმუშავებლადაც მას პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის კვლევითი ინსტიტუტი მიაჩნია.

საკვანძო სიტყვები: რეგიონი; რეგიონული პოლიტიკა; გამოთანაბრებითი განვითარება.

SUMMARY

In the article - “Georgia needs to develop a policy of equal development of regions” - there are characterized and compared the regions of Georgia, in terms of turnover, employment and wages, and they are grouped in highly developed Tbilisi and Adjara regions), medium development (Samegrelo-Zemo Svaneti, Kvemo Kartli,) And less developed (Racha-Lechkhumi, Guria, Kakheti, Shida Kartli, Samtskhe-Javakheti) regions.

It is mentioned in the work that precisely because of the low level of development, the population of the less developed regions is much poorer and they leave their homes in search of a normal job. The author of the article notes that the villages of the mountainous region, which are located on the border, are gradually evacuating, and expresses fear of losing these areas. The author thinks that the only solution is to take very active and fast measures in such regions. At the same time, in his opinion, these measures should be based on and should reflect the long-term strategy for equalization development of the regions of Georgia, the only qualitative development of which he considers the Institute of Economic Research named after Paata Gugushvili.

Key words: Region; Regional policy; Equal development.

პლასტიკურობის თეორიის ამოცანების ამოხსნის მეთოდიკა ღეროვანი სისტემებისთვის

მაყვალა ბექირიშვილი
ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია
ასოცირებული პროფესორი

1.შესავალი

ლითონის სივრცითი კონსტრუქციების წინაშე მწვავედ დგას მათი მასის შემცირების პრობლემა. ამ საკითხის გადაწყვეტის ერთ-ერთ გზას წარმოადგენს ხვედრითი დატვირთვის ამაღლება კონსტრუქციებში. დრეკად-პლასტიკური გაანგარიშების არსებობა აუცილებელია საკვლევი კონსტრუქციის სიმტკიცის ნამდვილი მარაგის მართებული განმარტებისთვის. სტატიაში მოყვანილია პლასტიკურობის თეორიის ამოცანების ამოხსნის მეთოდიკა ღეროვანი სისტემებისათვის. [1 – 2]

იმ შემთხვევაში, როცა დეფორმაციები წრფივად დამოკიდებულია სხეულის წერტილების კოორდინატებზე ან დეფორმაციების და ძაბვის ტენზორის კომპონენტების უმრავლესობა ნულის ტოლია, პლასტიკურობის დეფორმაციული თეორიის ამოცანები ამოიხსნება ძალიან მარტივად. ამგვარი ამოცანების ამოხსნის მაგალითი მოყვანილია ქვემოთ.

2. ძირითადი ნაწილი

სწორკუთხოვანი კვეთის პრიზმული ძელი დატვირთულია ტორსებზე M მომენტებით, რომლებიც იწვევენ ძელის ღუნვას xoz სიბრტყეში. [3 – 5]

(ნახ.1, ა) ძელის მასალა იზოტროპულია, ერთგვარია და იდეალურად პლასტიკური. დრეკად სტადიაში ძელის ღუნვის დროს სიბრტყის კვეთის ჰიპოთეზის გამოყენებით, ამოვიწეროთ დეფორმაციის კომპონენტებისთვის შემდეგი გამოსახულება

$$\varepsilon_x = -\,{}^{z}/_{\rho}; \qquad \varepsilon_y = \varepsilon_z = -\mu_1\varepsilon_x; \qquad y_{xy} = y_{xz} = y_{yz}, \qquad (1)$$

სადაც ρ - ძელის სიმრუდის რადიუსია. ძაბვის მომენტები შესაძლებელია ვიპოვოთ, თუ მოვიშველიებთ პლასტიკურობის დეფორმაციული თეორიის დამოკიდებულებებს.

$$\sigma_x = E_1\varepsilon_x; \qquad \sigma_y = \sigma_z = \tau_{xy} = \tau_{xz} = \tau_{yz} = 0 \qquad (2)$$



ნახ. 1. სწორკუთხოვანი კვეთის პრიზმული ძელი

აქ E_1 გრძივი დრეკადობის მოდულია, რომელიც ტოლია

$$E_2(\varepsilon_i) = E_c(\varepsilon_i)/[1+E_c(\varepsilon_i)]/(3E_0), \qquad (3)$$

სადაც $E_0 = E/(1-2\mu)$.

ძაბვები (1) აკმაყოფილებენ ელემენტარული პარალელეპიპედის წონასწორობის განტოლებებს, ხოლო დეფორმაციების ერთობლივი განტოლებები (მოგვიანებით) იქნება შემოწმებული პუასონის კოეფიციენტის $\mu_1(\varepsilon_i)$ სიდიდის განსაზღვრის შემდეგ მასალის დრეკად-პლასტიკური დეფორმაციის შემთხვევაში.

ზღვრული პირობები (1) ძელის გვერდით წახნაგზე $y=\pm b/2$ და $z=\pm h/2$ იგიურად სრულდება.

ღუნვითი მომენტი ძელის სიგრძის თითოეულ კვეთში ტოლია

$$M= -\int_{-0,5h}^{+0,5h} \sigma_x zbdz = \frac{2b}{\rho}\int_0^{0,5h} E_1 z^2 bd. \qquad (4)$$

რადგანაც $E_1 = \sigma_x/\varepsilon_x$, თანაც დრეკად არეში $E_1 = E$, ხოლო პლასტიკურში $-\sigma_x = \sigma_T$, მაშინ შეიძლება ჩავწეროთ

$$E_1 = \begin{cases} E \text{ როცა } |z| < z_0 \\ \sigma_T/|\varepsilon_x| = \sigma_T\rho/|z| \quad \text{როცა } |z| > z_0. \end{cases} \qquad (5)$$

საზღვარი დრეკად და პლასტიკურ ზონების ნაწილებს შორის გადის ზოლზე, რომელიც განსაზღვრულია $|z| = z_0$ მნიშვნელობით, როდესაც ფორმულა E_1 უტოლდება E-ს

$$z_0 = \sigma_T\rho/E, \qquad \text{ან} \qquad \rho = Ez_0/\sigma_T\,. \qquad (6)$$

(6)-ში ინტეგრების ინტერვალის ორად გაყოფით (დრეკადი ზონის $0< |z| < z_0$ და პლასტიკური არეს $z_0 < |z| < 0,5h$ (5) გამოსახულების შესაბამისად მივიღებთ

$$\sigma_T(h^2/4 - z_0^2/3) = M/b. \qquad (7)$$

(7) განტოლებაში (6) გამოსახულების ჩასმით z_0 - სთვის p ფარდობითი დაშვებით, ვპოულობთ

$$1/\rho= [2\sigma_T/(Eh)]\sqrt{1/\left[3(1-M/M_{\text{დაყვ.}}0\right]}, \qquad (8)$$

$$\text{სადაც } M_{\text{დაყვ.}} = \sigma_T bh^2/4 \qquad (9)$$

σ_x ძაბვები ძელის სიმაღლეზე იცვლებიან ამგვარად.

$$\sigma_x = \begin{cases} Ez/\rho \text{ როცა } 0 \le |z| \le z_0 \\ \pm\sigma_T \text{ როცა } z_0 \le |z| \le 0,5h\,. \end{cases} \qquad (10)$$

M= M_T მომენტის მნიშვნელობა, რომელიც იწვევს დენადობის ძაბვას σ_T კოჭის მთელ კვეთზე, განისაზღვრება ფორმულით $z = \pm 0{,}5\mathrm{h}$ (9), რომელიც მიიღება (7) ფორმულიდან, როცა $z_0 = 0{,}5\mathrm{h}$

$$M_T = \sigma_T b h^2/6\,. \tag{11}$$

M= $M_{\text{დაყვ.}}$ მომენტის მნიშვნელობა როცა $z_0 = 0$.

ძაბვის ეპიურები, ძელის კვეთის სიმაღლეზე ღუნვითი მომენტის სხვადასხვა მნიშვნელობისთვის ნაჩვენებია ნახაზზე 1 ბ, გ, დ. თუ M< M_T -ზე (იხ. ნახ. 1, ბ), მაშინ კვეთმა შეიძლება განიცადოს მხოლოდ დრეკადი დეფორმაციები, თუ M_T <M< $M_{\text{დაყვ.}}$-ზე (იხ. ნახ. 1, გ), მაშინ დრეკადი დეფორმაციები ჩნდება როცა $|z| < z_{0T}$ -ზე, ხოლო პლასტიკური, როცა $z_0 \le r \le 0{,}5\mathrm{h}$ თუ M= $M_{\text{დაყვ.}}$ (იხ. ნახ. 1 დ), მაშინ კვეთის მთელი მასალა იქნება პლასტიკურ მდგომარეობაში.

(1) და (2) ფორმულებიდან გამომდინარეობს, რომ ფოლადის ძელისთვის როცა $\sigma_T = 400$ მპა, მაშინ E= $2 \cdot 10^5$ მპა და წრფივი ფიბრული დეფორმაციებისათვის $|\varepsilon_x| = 0.01$, მაშინ M≠ $0{,}935 M_{\text{დაყვ.}}$ მომენტის მნიშვნელობას. ამგვარად, უკვე შედარებით მცირე პლასტიკური დეფორმაციისათვის პრაქტიკულად მიიღება ზღვრული $M_{\text{დაყვ.}}$ მომენტის მნიშვნელობა.

დასასრულს, დავუბრუნდეთ იმ საკითხს, აკმაყოფილებენ თუ არა დეფორმაციის კომპონენტების გამოსახულებები დეფორმაციების თანამედროვეობის (1) განტოლებებს.

თუ ძაბვის (2) და დეფორმაციის (1) მნიშნელობებს შევიტანთ (4)-ში და ამოხსნით ამასთან ერთად მიღებულ განტოლებას ფარდობითად μ_1- თვის, მივიღებთ $\mu_1 = 1/2 - E_1/2E$, ან, თუ გავითვალისწინებთ (5) და (6) დამოკიდებულებებს, მივიღებთ

$$\mu_1 = \begin{cases} \mu \text{ როცა } |z| < z_0 \\ \frac{1}{2}\left[1 - \frac{z_0}{|z|}(1 - 2\mu)\right] \end{cases} \tag{12}$$

ახლა შეგვიძლია ადვილად დავრწმუნდეთ, რომ (1) დეფორმაციის კომპონენტები აკმაყოფილებენ დეფორმაციების თანამედროვეობის ყველა განტოლებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Михайлов Б.К., Кипиани Г.О. Деформированность и устойчивость пространственных пластинчатых систем с разрывными параметрами. Стройиздат СПб, С.-Петербург, 1996. -442 с.
2. მაყვალა ბექირიშვილი - გემბანის ტიპის ლითონის სივრცითი კონსტრუქციების დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის გამოკვლევა. დისერტაცია. [ხელმძრ.: ვახტანგ თარხნიშვილი; გელა ყიფიანი; რეცენზენტები: მურად ყალაბეგაშვილი; ზურაბ მაძაღუა]. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 0175, საქართველო , 2009 წელი.
3. Тархнишвили В.А. Расчет тонких упругих пластин и оболочек с отверстиями. Тбилиси, Технический университет. 1990.- 222 с.
4. Гузь А.Н., Бабич И.Ю. Трехмерная теория устойчивости стержней пластин и оболочек. Киев: Вища школа, 1988. 167 с.
5. Даревский В.А. Об основных соотношениях теории тонких оболочек ,// ПММ. 1961. Т. 25, вып. 3. С. 519-535.

რეზიუმე

განხილულია ერთმალიანი და მრავალმალიანი კოჭების, გემის ჩარჩოების და გადახურვების ზღვრული მდგომარეობის გაანგარიშების მეთოდები. დამაჯერებლადაა ნაჩვენები ზღვრული დატვირთვის მეთოდის სიმარტივე დრეკადპლასტიკური დეფორმაციის არეს გაანგარიშებებთან შედარებით. ეს მეთოდი საშუალებას გვაძლევს დავაპროექტოთ „რაციონალური“ კონსტრუქცია, რომლის ყველა ელემენტი თანაბარგამძლეა. ამოცანათა წრედი, რომლებშიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ზღვრული დატვირთვის მეთოდი, მისაღები გემებისათვის, წლიდან წლამდე ფართოვდება.

SUMMARY

Methodology for solving problems of plasticity theory for stem systems

Methods for calculating the limit state of single and multiple spools, ship frames and roofs. The simplicity of the marginal loading method compared to the calculations of the area of elastic deformation is convincingly demonstrated. This method allows us to design a `rational 'construction, all elements of which are equal. The range of tasks in which the marginal loading method can be used for receiving vessels is expanding from year to year.

ფენოვანი თხელკედლიანი სივრცითი კონსტრუქციების გაანგარიშება

იოსებ გიორგობიანი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დოქტორანტი

ფირფიტისა და გარსის ტიპის მრავალფენიანი თხელკედლიანი კონსტრუქციები სულ უფრო ფართოდ გამოიყენება ტექნიკის სხვადასხვა დარგებში. მშენებლობაში ყოველივე ეს კონსტრუქციების მაღალი სიმტკიცისა და წონის საგრძნობი შემცირების აუცილებლობითაა გამოწვეული. რიგ შემთხვევებში ეს ბგერით, თბო და ვიბროსაიზოლაციო მოთხოვნების უზრუნველყოფითაა განპირობებული. ამ აუცილებელი თავისებურებების ერთობლიობა უზრუნველყოფილია მრავალფენიანი კონსტრუქციების ცალკეული ფენებისთვის სხვადასხვა სახის შემავსებლების გამოყენებით.[1 – 4] მზიდი ფენებისთვის გამოიყენება არა მარტო ლითონები და მათი შენადნობები, არამედ კომპოზიციური მასალებიც. როგორც წესი, შემავსებლები და კომპოზიციური მასალები ხასიათდებიან ძვრის დაბალი სიხისტით, რაც მათი უარყოფითი თვისებაა. ეს გარემოება უნდა იყოს გათვალისწინებული მრავალფენიანი გარსებისა და ფირფიტების გაანგარიშების თეორიაში. ისეთი დამახასიათებელი ფაქტორები, როგორიცაა ნორმალური განივი ძაბვებისა და განივი დეფორმაციების გავლენა, მრავალ თეორიაში უგულებელყოფილია. მაგრამ ცნობილია, რომ ამ უკანასკნელთა იზრდება გარსის ფარდობით სისქის ზრდასთან ერთად და შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს ისეთი შემავნებლების გამოყენებისას, რომლებიც დამყოლნი არიან განივი ძვრისა და განივი დაწნევის მიმართ.[5 – 8] ამასთან დაკავშირებით, მრავალფენიანი გარსებისა და ფირფიტების თეორიის შექმნა, რომელიც სრულად ითვალისწინებს მაღალი რიგის ფაქტორებს და ამასთანავე შედარებით მარტივი იქნება, მეტად აქტუალური პრობლემაა.

2. ძირითადი ნაწილი

ვთქვათ, მრავალფენიანი და საკმაოდ დამრეცი გარსი თავისუფლადაა დაყრდნობილი სწორკუთხა ფორმის კონტურით და მასზე მოქმედებენ მთავარი მიმართულებების მქონე ტანგენციალური თანაბრადგანაწილებული დატვირთვები ამ დროს [5]

$$N_{11} = \beta N;\ N_{22} = \gamma N;\ N_{12} = 0. \qquad (1)$$

სადაც β და γ რიცხვითი კოეფიციენტებია, რომლებიც ახასიათებენ დატვირთვის სიდიდეს, ჩავთვალოთ, რომ სხვა ზემოქმედებები ნულის ტოლია.

მრავალფენიანი გარსების მდგრადობის გამოკვლევის საფუძვლად ვიღებთ ეილერის კონცეფციას წონასწორობის ფორმების გაორების შესახებ კრიტიკული N^* დატვირთვის მოქმედების დროს.

კრიტიკული დატვირთვის სიდიდე განისაზღვრება პირობიდან

$$\mathrm{Det}(A + B) = 0, \qquad (2)$$

რამდენადაც მდგრადობის დაკარგვისას ვექტორი $\ddot{X} = 0$.

შემოვიტანოთ აღნიშვნები:

$$d^* = d_{P1} - d_{33} - d_{k1} + d_{P2} - d_{k3c} - d_{P3};$$
$$d_1^* = d_{23} + d_{4S} - d_P + d_{k\sigma c}; \quad d_2^* = d_{2S} - d_{13} - d_{k\sigma}; \tag{3}$$

და მათი გათვალისწინებით (1)-ში მივიღებთ:

$$\begin{vmatrix} d_F & d_{1S} - d_k & -d_2^* \\ d_k - d_{1S} & d_D - d_{38} - N(d_N - d_{N1}) & d_1^* \\ d_{2S} & d_{SS} - d_P & d^* \end{vmatrix} = 0 \tag{4}$$

აქედან განისაზღვრება გარე დატვირთვის კრიტიკული მნიშვნელობა

$$N^* = N_0 \eta (1 - d) \tag{5}$$

სადაც კომპონენტებისთვის გვაქვს შემდეგი გამოსახულებები:

$$N_0 = \frac{d_D - d_{3S}}{d_N} + \frac{(d_k - d_{1S})^2}{d_F d_N (1+\alpha)};$$
$$\eta = \frac{1}{1 - d_{N1}/d_N}; \quad \alpha = \frac{d_{2S} d_2^*}{d_F d} \tag{6}$$

$$d = \frac{1}{N_0 d_N (1+\alpha)} \left\{ (d_{5S} - d_P) \frac{d_1^*}{d^*} + \frac{(d_k - d_{1S})}{d_1 d^*} [(d_{5S} - d_P) d_2^* + d_{2S} d_1^*] \right\}$$

როდესაც α=0; $N_0 = N_э$- ეილერის კრიტიკული დატვირთვაა. η - მაღალი რიგის პარამეტრული წევრების გათვალისწინების კოეფიციენტი, α - სტრუქტურული ასიმეტრიულობასთან დაკავშირებული კოეფიციენტი, d - მაღალი რიგის ფაქტორების გათვალისწინების კოეფიციენტი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Михайлов Б.К., Кипиани Г.О., Москалева В.Г. Основы теории и методы расчета на устойчивость трехслойных пластин с разрезами. «Мецниереба», Тбилиси, 1991. -189 с. М 607 (106)-91
2. Kipiani Gela. Analysis of sandwich orthotropy plates on Local loadings // Procedings of 9-th International Conference contemporary problems of architecture and construction. Batumi-Georgia. September 13-18, 2017. Edited by Gela Kipiani. Publishing House “UNIVERSAL” Tbilisi. 2017. Pp 429-432
3. Михайлов Б.К., Кипиани Г.О. Устойчивость трехслойных прямоугольных пластинок, подкрепленных ребрами // Изв. вузов. Стр. и архит. -1989. №1. –С.29-30.

4. Михайлов Б.К., Кипиани Г.О. Устойчивость трехслойных пластин с вырезами // Строительная механика и рачет сооружений. –М.:, 1989. -№4, -С.34-36.
5. Kipiani G.O. Review of works on the calculation of thin-walled spatial systems with discontinuous parameters (1980-2013)// Current problems of architecture and construction, materials V international conferences. 25-28 июня 2013 года/ Под общей редакцией Е.Б. Смирнова, СПГАСУ. –в. 2, ч. 1. –СПБ, 2013, с. 262-267
6. ყიფიანი გელა, ხმელიძე თამაზ, ვერულაშვილი ფატიმა. არასიმეტრიული ფენოვანი კომპოზიტებისაგან შემდგარი ფირფიტების მექანიკა. // II საერთაშორისო სიმპოზიუმი სეისმომედეგობა და საინჟინრო სეისმოლოგია. მოხსენებათა კრებული. „სტუ“.თბილისი. 2019. გვ. 126-136.
7. Kipiani G. Stability of Rectangular sandwich ribbed plate with discrete filler. 17-th International Conference "Modeling in Mechanics" 23-24 May 2019. Proceedings of extended abstracts. VSB-Technical University of Ostrava, Faculty of Civil Engineering. Czech Republic. 2019. p.11
8. Khmelidze Tamaz, Kipiani Gela, Kristesiashvili Elina. Composite construction structures and their features with taking into account the anisotropy// International Scientific Conference "Related Problems of Continuum Mechanics", Proceedings. 12.10.2018 – 13.10.2018. Kutaisi, pp. 278-287. (In Georgian).

რეზიუმე

განხილულა დიფერენციალური განტოლებების შედგენის ზოგადი მეთოდი, მისი გამარტივების ხერხი კერძო შემთხვევებში, არაწრფივი დეფორმაციის პირობებში, ხვრეტების მქონე ფენოვანი თხელკედლიანი კონსტრუქციების გაანგარიშებისათვის. დაკონკრეტებულია ცვლადი და იმპულსური კოეფიციენტების მქონე დიფერეციალური განტოლებების ამოხსნის მეთოდი. ხვრეტით შესრულებული სამფენოვანი ფირფიტებისათვის ამოხსნილა კრიტიკული მკუშავი დატვირთვის განსაზღვრის ამოცანა თხელი ფირფიტების თეორიისა და განზოგადებული ფუნქციათა თეორიის გამოყენებით.

SUMMURY

CALCULATION OF MULTY-LAYERED THIN-WALLED SPATIAL CONSTRUCTIONS

The general method of compiling differential equations is discussed, its simplification method in private cases, for non-linear deformation conditions, for the calculation of layered thin-walled structures with holes. The method for solving differential equations with variable and momentum coefficients is specified. The problem of determining the critical working load for perforated three-layer plates is solved using the theory of thin plates and the theory of generalized functions.

ჟურნალ ,,მოამბე”-ს რედაქციაში შემოსულ ორივე წერილს უცვლელად გთავაზობთ

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს
ბატონ თეიმურაზ ბაბუნაშვილს
გენერალ-ლეიტენანტის და აკადემიკოსის სამხედრო-პოლიტიკური სპეციალობით,
საქართველოს ეკონომიკისა და ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიების ნამდვილი წევრის -
აკადემიკოსის გივი იასეშვილის

საგანგებო თხოვნა

ბატონო თეიმურაზ

გასაცნობად გიგზავნით სპეციალურად თქვენთვის მომზადებულ ჩემს ახალ საინფორმაციო ფურცელს დასათაურებით „საინფორმაციო ფურცელი 80 წლის ასაკში“. ვინაიდან თსუ-ს ყოფილმა რექტორმა ბატონმა ლადო პაპავამ და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა ბატონმა ოთარ კვესიტაძემ არ დამიფინანსეს ამ შრომების საზღვარგარეთის სპეციალიზირებულ ინგლისურენოვან ჟურნალებში გასაგზავნად ნობელის საერთაშორისო სამეცნიერო პრემიის მოსაპოცვებლად ეკონომიკში კონკურსში მონაწილეობის მიზნით, გთხოვთ ეს შრომების ციკლი “გლობალიზაციის შედეგები ნავთობის საერთაშორისო ტრანზიტისა და სამხედრო მეცნიერების-კიბერომი განვითარების სისტემური სინთეზით” , რომელიც უკვე შედგება ხუთი საუკეთესო მეცნიერული ნაშრომისაგან. გამოაქვეყნოთ ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ნახევარგვერდიანი ფორმატით გამოქვეყნების მიზნით 2021 წლის ივლისამდე გთხოვთ დაწეროთ ტექსტი სათაურის შემდეგი ფორმულირებით:

“გენერალ-ლეიტენანტის და აკადემიკოსის სამხედრო-პოლიტიკური სპეციალობით, საქართველოს ეკონომიკისა და ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიების ნამდვილი წევრის - აკადემიკოსის გივი იასეშვილის სამოქალაქო-სამხედრო-სამეცნიერო პორტრეტი.”

მაქვს პატივი შეგახსენოთ, რომ როგორც წესი მე გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ვაქვეყნებ წერილებს და მათ შორის რიგით მეთორმეტე 2017 წლის 19 აპრილს N80-ში. რუბრიკით ადამიანი დროში, ჟურნალისტ გივი სიდამონიძის ვრცელი წერილი სათაურით „მეცნიერის, გენერლის, მოქალაქის შემოქმედებითი შუადღე“, რომელშიც თქვენ აღნიშნეთ ჩემი დაბადების 77 წლისთავი . რისთვისაც ერთხელ კიდევ დიდ მადლობას გიხდით.

და ბოლოს, საზოგადოებას ერთხელ კიდევ მინდა შევახსენო, ოდნავ მივიწყებული საერთაშორისო რანგის მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის და სხვა ბევრი რამის დამაარსებელი, ვინც ჩემთვის აკადემიკოსობის მინიჭება პირველმა წერილობით დააფიქსირა ბატონი ალექსანდრე კუჭუხიძე და მოვახდინო თქვენთვის კარგად ნაცნობი მისი გენიალური ფრაზის ციტირება, რომ ადამიანებს სიცოცხლეშივე სჭირდებათ ყურადღება და პატივისცემა და არა გარდაცვალების შემდეგ.

გულწრფელად პატივისცემით

თქვენი გივი იასეშვილი

საინფორმაციო ფურცელი 80 წლის ასაკში

გივი იასეშვილი

გენერალ-ლეიტენანტი, აკადემიკოსი სამხედრო-პოლიტიკური სპეციალობით. საქართველოს ეკონომიკისა და ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსი.

ეკონომიკაში ნობელის საერთაშორისო სამეცნიერო პრემიის მოსაპოვებლად კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით შესრულებულ სამეცნიერო ნაშრომთა ციკლი.

გლობალიზაციის შედეგები ნავთობის საერთაშორისო ტრანზიტისა და სამხედრო მეცნიერების-კიბერომი განვითარების სისტემური სინთეზით:

1. გლობალიზაცია და კიბერნეტიკული ბრძოლის ხელოვნება. რეცენზენტი ემდ, კათედრის ხელმძღვანელი ელგუჯა მექვაბიშვილი. რეცენზია გამოქვეყნებულია გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“. N68, 2015 წ. ;

2. ეკონომიკა, კიბერომი და კიბერუსაფრთხოება. რეცენზენტები, აკადემიის პრეზიდენტები, ემდ ლეო ჩიქავა და ემდ იაკობ მესხია. რეცენზია გამოქვეყნებულია გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“. N3, 2016 წ. 2015 წლის საუკეთესო მეცნიერული ნაშრომია;

3. ეკონომიკა, ჰიბრიდომი და ჰიბრიდუსაფრთხოება. რეცენზენტი ემდ, აკადემიის პრეზიდენტი თეიმურაზ ბაბუნაშვილი. რეცენზია ბ/ა-11/26; 15.12.2016 წ.;

4. რეიგანეკონომიკა, კიბერუსაფრთხოება და კიბერჰაკათონი. რეცენზენტი ემდ მიხეილ ჯიბუტი - აკადემიის პრეზიდენტი;

5. გლობალიზაცია, კიბერუსაფრთხოება და ეკონომიკური უსაფრთხოება კორონავირუსის- COVID-19 -ის გლობალურმა პანდემიამ ნოკდაუნში ჩააგდო და არა ნოკაუტში. იმყოფება მეცნიერული შესწავლისა და დამუშავების პროცესში.

შინაარსობრივად ნაშრომთა ციკლში შემავალი მეცნიერული შრომები ერთი მეორედან გამომდინარეობს, სისტემურად ურთიერთკავშირშია, ერთმანეთის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს და საერთაშორისო თვალსაზრისით უაღრესად თანამედროვე და აქტუალურია.

21-ე საუკუნის მსოფლიოს მთავარი სტრატეგიული გამოწვევა კიბერუსაფრთხოებაა, ხოლო კიბერდანაშაული კი გადამწყვეტია. კიბერშეტევა ცოდნის ჭიდილია, ხოლო კიბერსივრცე დიდი, ბნელი, უცნობი უბანია, სადაც კონტროლი ძალიან რთულია.

თაღლითობის ახალი სქემის მიხედვით, კიბერდამნაშავეები შეტევის დროს იყენებენ Google-ის საძიებო სისტემას, სადაც ისინი თაღლითური ვებგვერდების რეკლამას აკეთებენ. ასეთი ყალბი გვერდების მისამართი ხშირ შემთხვევაში მიმსგავსებულია კომერციული ბანკების ინტერნეტ ბანკის ნამდვილ მისამართებთან. ბმულზე გადასვლის შემთხვევაში იხსნება კონკრეტული ბანკის ინტერნეტ ბანკის მსგავსი ყალბი ვებგვერდი, რომელიც ითხოვს მომხმარებლის სახელის და პაროლის შეყვანას, რითაც ბოროტად სარგებლობენ თაღლითები.

რეცენზენტთა გუნდი წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკური მეცნიერული აზროვნების წამყვან ელიტას, მათ შორის ერთი ელგუჯა მექვაბიშვილი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის პრინციპების კათედრის ხელმძღვანელია, ხოლო ოთხი ლეო ჩიქავა, იაკობ მესხია, თეიმურაზ ბაბუნაშვილი და მიხეილ ჯიბუტი საქართველოს ეკონომიკისა და ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიების პრეზიდენტები ბრძანდებიან შესაბამისად წარსულში და აწმყოში.

გამოყენებულია აშშ-ის პრეზიდენტების ბარაკ ობამას, დონალდ ტრამპის და რონალდ რეიგანის ინტელექტუალური ცოდნა და სახელმწიფოებრივი მმართველობის მდიდარი გამოცდილება, რამაც მსოფლიო აღიარება ჰპოვა. ხოლო ამჟამად ჯო ბაიდენის მიღწევებიც იქნება მეცნიერულად შესწავლილი და ჩართული.

2018 წლის პრემია ეკონომიკაში ამერიკელ პოლ რომერს გადაეცა ტექნოლოგიურ სიახლეებზე, რასაც შინაარსობრივად თანხვდება ქართველი მეცნიერის გივი იასეშვილის ზემოთ აღწერილი ნაშრომთა ციკლი.

P.S. რედაქცია წარმოდგენილ ინფორმაციას ტოვებს უკომენტაროდ.

რეცენზია

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, პროფესორ გურამ ჯოლიას მონოგრაფიაზე "განათლება და დასაქმება ციფრულ გარემოში" საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი", თბილისი, 2021 წ. გვ. 370

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ფარგლებში, პროფესორმა გურამ ჯოლიამ გამოაქვეყნა მონოგრაფია "განათლება და დასაქმება ციფრულ გარემოში". თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი", 2021 წ. გვ. 370

მონოგრაფია ეხება უახლესი პერიოდის თემას, სადაც ნაშრომის ავტორი, ციფრული ტექნოლოგიების ფენომენს განიხილავს ეკონომიკურ და სოციალურ კონტექსტში.

მონოგრაფიის მიზანია მკითხველი აღჭურვოს ციფრული ტექნოლოგიების უპირატესობების ცოდნით, ახლებურად აჩვენოს ციფრული პროცესების სოციალურ-ეკონომიკური შედეგები, არგუმენტირებულად უპასუხოს განათლებასა და დასაქმებაში ტრასფორმაციის საჭიროებას, თანამიმდევრულად წარმოადგინოს ცვლილებების სახელმწიფოებრივი შედეგები.

მონოგრაფიას განსაკუთრებულ ხიბლს სძენს სამი ძირითადი მიმართულების კომპლექსურად განხილვა, რომელიც აკადემიურად პასუხობს კვლევისას დასმულ მიზნებსა და ამოცანებს.

ნაშრომის პირველ თავში გადმოცემულია ეკონომიკის ციფრული ტრანსფორმაციის საკითხები, ყურადღება გამახვილებულია ციფრული ტექნოლოგიების განვითარების კანონზომიერებებზე, წარმოჩენილია ნეტოკრატები, გაანლიზებულია ელექტრონული მთავრობის სტრუქტურული და ფუნქციური კომპონენტები, განხილულია ციფრული დემოკრატიის საკითხები, მიმზიდველი ენით გადმოცემულია ხელოვნური ინტელექტის გავრცელების მოსალოდნელი შედეგები.

ნაშრომის მეორე თავში „განათლების ციფრული ტრანსფორმაცია" ძირითადი აქცენტები დასმულია საგანმანათლებლო სისტემის ხარვეზებსა და გამოწვევებზე, ყურადღება განახვილებულია განათლების ტრანსფორმაციის აუცილებლობასა და თანამედროვე მოთხოვნებზე, შთამბეჭდავად არის ნაჩვენები უმაღლესი განათლების ტრასფორმაცია ციფრულ გარემოში და მომავალი საგანმანათლებლო სისტემის სტრუქტურა.

საყურადღებოა ნაშრომის მესამე თავში განხილული დასაქმების ციფრული ტრანსფორმაციის საკითხი. ყურადღებას იმსახურებს დასაქმების მოდელი და ციფრული პარადიგმები.

ნაშრომის ღირსებად უნდა ჩაითვალოს ავტორის მიერ წარმოჩენილი საკითხები: covid-19 პანდემიის როლი ციფრულ ეკონომიკაში, ციფრული ქალაქის კონცეფციის ჩვენება, ადამიანის „შერწყმა" მანქანასთან - ადამიანი 2.0, განათლების კრიზისის მიზეზები და აქცენტები, დასაქმების ციფრული პარადიგმები, თაობათაშორისი მახასიათებლები და ციფრული ტექნოლოგიები.

მონოგრაფიაში, ორიგინალურად არის შერწყმულია თანამედროვე თეორიული დებულებები და ანტიკური პერიოდის ავტორების იდეები. ასევე, ნაშრომს ორიგინალურობას მატებს პროფესორ გურამ ჯოლიას საყურადღებო დასკვნები და პროფესიული პროგნოზები, რომლითაც მეცნიერს წონადი წვლილი შეაქვს ციფრული

ეკონომიკის თეორიული და პრაქტიკული პრობლემების დამუშავებაში.

ხაზგასასმელია, როგორც ნაშრომის შინაარსი და ჩამოყალიბებული მეთოდოლოგიურ-კონცეპტუალური საფუძვლები, ასევე ბიბლიოგრაფიაში მოყვანილი შრომები და შრომის ავტორები.

მონოგრაფიის გამოცემით, ავტორს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ციფრული ეკონომიკის, ციფრულ გარემოს, განათლებისა და დასაქმების ციფროვიზაციის აქტუალური საკითხების კომპლექსურ აღქმასა და შესწავლაში.

მთლიანობაში, მონოგრაფიაში მაღალ მეცნიერულ დონეზეა გაშუქებული ეკონომიკისა და განათლების ციფრული ტრანსფორმაციის პრობლემები. აღნიშნული კვლევის შედეგების გაცნობა, ჩვენი აზრით, დაეხმარება მეცნიერ-ეკონომისტებს, ეკონომიკისა და ბიზნეს ადმინისტრირების სპეციალობის სტუდენტებს. აგრეთვე, კერძო და სახელმწიფო სექტორის წარმომადგენლებს.

რატი აბულაძე

ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს
ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი
საქართველოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

P.S. საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია გულითადად ულოცავს ამავე აკადემიის აკადემიკოსს, გამოჩენილ მეცნიერ-ეკონომისტს, პროფესორ გურამ ჯოლიას კიდევ ერთ შემოქმედებით გამარჯვებას. წარმოდგენილი მონოგრაფია ზუსტად და დროულად ასახავს თანამედროვე მოთხოვნებს განათლების სფეროში დასაქმების პროგრამების უზრუნველყოფას ციფრულ გარემოში.

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია გულითადად ულოცავს საიუბილეო თარიღებს აკადემიკოსებს



ნოდარ ჭითანავას

ნაირა
გალახვარიძეს



რევაზ გოგოხიას

აკიფ
სულეიმანოვს

ნატრული
ხარჭავანიძეს

გურამ
ახალაიას



გელა ყიფიანს

ნატალია
ჭანტურიას

იური პაპასკუას

გიორგი ცაავას

მაია გელანტიას

ნოდარ
გრძელიშვილს

ხართოლელის ბიბლიის მეცნიერებათა აკადემია
ილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!